



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ქეთევან მეფარიშვილი

სამართლის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, როგორც სამართლიანი  
სასამართლოს უფლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი სამართლის დოქტორი კავკასიის საერთაშორისო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნინო ხუნაშვილი

თბილისი, საქართველო, 2024 წელი

## განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო ნაშრომის სტანდარტის შესაბამისად.

ქეთევან მეფარიშვილი

05.02.2024წ.

## ანოტაცია

ნაშრომში „გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლება“, განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ სამოქალაქო საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფის პრობლემური საკითხები. ნაშრომი იკვლევს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ისტორიას საერთაშორისო და ქართულ სასამართლო პრაქტიკაში. ასევე ქართული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობას ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლთან. ნაშრომში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა განიხილება, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილი და ქართული მართლმსაჯულების სისტემის ეფექტური მუშაობისათვის შემუშავებულია რეკომენდაციები.

კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა. ასევე გაანალიზებულ იქნა საერთო სასამართლოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ნაშრომის ძირითადი

პრობლემები სწორედ ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის შედეგად გამოვლინდა.

კვლევის დროს გამოიკვეთა, რომ მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი მეცნიერული კვლევისა და პრაქტიკული გამოცდილების მიუხედავად, ზემოაღნიშნული საკითხების მიმართ შემუშავებული დებულებები ჯერ კიდევ საჭიროებს გადასინჯავს და შესაბამისად განახლებას.

იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო სამართალი ბოლო პერიოდში გადაწყვეტილების აღსრულებას აქტიურად განიხილავს, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ ნაწილს, ნაშრომი მიზნად ისახავს დისერტაციაში არსებულ საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებულ ხარვეზული ნორმებისა და ინსტიტუტების ანალიზს და წინადადებათა შემუშავებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ხარვეზულ ნორმათა სრულყოფის მიზნით.

### **Annotation**

In the paper "Ensuring the enforcement of decisions as a right of a fair court", the problematic issues of ensuring the enforcement of decisions made by the general courts of Georgia in civil cases are discussed. The paper examines the history of enforcement of decisions in international and Georgian judicial practice. as well as compliance of Georgian judicial practice with Article 6 of the European Convention on Human Rights. In the paper, ensuring the execution of the court decision is considered as part of the right to a fair trial, and recommendations are developed for the efficient operation of the Georgian justice system.

In the research process, various scientific literature was studied. The practices of common courts and the European Court of Human Rights were also analyzed. The main problems of the paper were identified as a result of literature and court practice.

During the research, it was revealed that despite the scientific research and practical experience accumulated over many years, the regulations developed in relation to the above-mentioned issues still need to be revised and updated accordingly.

Based on the fact that international law recently actively considers the enforcement of the decision as a part of the right to a fair trial, the paper aims to analyze the flawed norms and institutions related to the research problem in the thesis and to develop proposals for the purpose of perfecting the flawed norms of the Civil Procedure Code.

## სარჩევი

|   |           |
|---|-----------|
| <b>შესავალი .....</b>   | <b>7</b>  |
| <b>თავი I. სარჩელის სახეები და მათი გავლენა სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფაზე .....</b>  | <b>20</b> |
| 1.1. სარჩელის არსი .....  | 20        |
| 1.2. სარჩელის კლასიფიკაცია.....   | 22        |
| 1.3 სარჩელთა სახის გავლენა სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფაზე.....  | 35        |
| <b>თავი II. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, როგორც სასამართლოს ეფექტიანობის განმსაზღვრელი ასპექტი.....</b>                  | <b>43</b> |
| 2.1. უზრუნველყოფის ინსტიტუტი, როგორც საკუთრების უფლების დაცვისა და სამართლიანი სასამართლოს ელემენტი ევროსასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკაში..... | 43        |
| 2.2. სარჩელის უზრუნველყოფის წესების გამოყენება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფისას.....                                       | 45        |
| 2.2.1. <b>ზოგადი დებულებები.....</b>  | <b>45</b> |
| 2.2.2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელობა და გამოყენების საფუძველი.....   | 45        |
| 2.2.3. განცხადება, როგორც სარჩელის/ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი.....  | 49        |
| 2.2.4. აღსრულების გამწვანება, როგორც გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი .....                                      | 50        |
| 2.2.5. აღსრულების შეუძლებლობა, როგორც გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი .....                                     | 52        |
| 2.2.6. ზიანის მიყენების საფრთხე, როგორც გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი .....                                   | 53        |
| 2.2.7. სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შესახებ მიღებული განჩინების აღსრულების წესი.....  | 57        |
| 2.2.8. სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შესახებ მიღებული განჩინების გასაჩივრების თავისებურება.....  | 59        |

|  |            |
|--|------------|
| <b>III თავი. მოპასუხის უფლებები გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას .....</b>        | <b>61</b>  |
| 3.1. პროპორციულობის დაცვის ვალდებულება გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას .....     | 61         |
| 3.2 მოსალოდნელი ზარალის მოპასუხისათვის ანაზღაურების უზრუნველყოფა.....                                    | 64         |
| <b>IV თავი. სარჩელის /გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიებები....</b>                                 | <b>72</b>  |
| 4.1. ყადაღის არსი და ქონებაზე მისი დადების საფუძველი.....  | 72         |
| 4.1.1. გადაწყვეტილების/სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქონებაზე ყადაღის დადების საფუძველი და პირობები..... | 78         |
| 4.1.2. გარდაცვლილის სახელზე რეგისტრირებული ქონების დაყადაღების შესაძლებლობა.....                         | 86         |
| 4.2. ყადაღის დადების პირობები მოპასუხის ქონებაზე .....   | 90         |
| 4.3. ყადაღის ინსტიტუტი მომიჯნავე კანონმდებლობაში .....   | 91         |
| 4.4. ყადაღის ინსტიტუტი საარბიტრაჟო და საჯარო რეესტრის შესახებ კანონმდებლობაში .....                      | 95         |
| 4.5. უზრუნველყოფის სხვა მექანიზმებით ყადაღის ჩანაცვლების მცდელობა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში .....     | 99         |
| 4.6. სეკვესტრის ცნება და მნიშვნელობა .....   | 100        |
| 4.7. სეკვესტრის ინსტიტუტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში.....                          | 109        |
| 4.8. აღმასრულებელი მმართველის როლში .....  | 112        |
| 4.9. სეკვესტრისა და ყადაღის ღონისძიებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.....                           | 115        |
| 4.10. სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებები...  | 118        |
| <b>დასკვნა.....</b>  | <b>121</b> |
| <b>ბიბლიოგრაფია.....</b>   | <b>131</b> |

## შესავალი

სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფა სამოქალაქო სამართალწარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელიც ძირითად ფუნქციასაც სასამართლო გადაწყვეტილების მომავალში (ანუ მისი ძალაში შესვლის შემდეგ) აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო პროცესი ხშირ შემთხვევებში საკმაოდ ხანგრძლივ პროცედურებთან საჭიროებს, არსებობს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დავის საგნის განადგურების, გასხვისების, უფლებრივად დატვირთვის ან სხვაგვარი ხელისშემშლელი ფაქტორების წარმოშობის რისკი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებაში. სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფა სწორედ ამგვარი რისკების პრევენციაა. სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფა წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ იმ იძულებით ღონისძიებათა სისტემას, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც ეძლევა სასამართლოს მოსარჩელის შუამდგომლობით და იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს გონივრული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ მომავალში შესაძლებელია საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისათვის შემაფერხებელი გარემოებების ანდა საერთო აღსრულების შესაძლებლობის არარსებობა. ასევე ისეთ შემთხვევაში, თუ შესაძლოა მოსარჩელეს მიადგეს აუნაზღაურებელი ზიანი სარჩელის მატერიალური საგნის განკარგვის უფლების შეზღუდვის გამო. ყოველივე ეს იძლევა გარანტიას იმისა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოხდეს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულება.

სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული ამა თუ იმ სამართლებრივი შედეგის დადგომა (თანხის გადახდა, ნივთის გადაცემა და სხვა) დამოკიდებულია როგორც გადაწყვეტილების ძალაში შესვლაზე, ასევე მოპასუხის (მოვალის) ნებაზეც. იმ შემთხვევაში კი, როდესაც არ არსებობს ასეთი ნება, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებაზე ხდება დამოკიდებული. თუ მოვალეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისთვის უკვე აღარ ექნება ქონება, რომლის რეალიზაციითაც შესაძლებელი გახდება კრედიტორის დაკმაყოფილება, გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი ხდება. სასამართლომ კი, უნდა უზრუნველყოს სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულება, ვინაიდან მისი ფუნქცია სწორედ დასახელებული მიზნის მიღწევაში მდგომარეობს. თავისთავად ის, რომ სამოქალაქო საქმეზე მართლმსაჯულება ეფექტურად განხორციელდეს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის საგანია, თუმცა, ამავდროულად, მისი ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად სწორედ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა უზრუნველყოფი არსებული კანონიერი მექანიზმები ემსახურება უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ მიზანს, რაც მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. სსსკ-ის 191-ე მუხლის დანაწესის თანახმად, ზემოთ ხსენებული საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობა მხოლოდ ამის შემდეგ აღასრულოს თავისი ვალდებულება რაც მის მიერ სარჩელის დაკმაყოფილებასი მდგომარეობს.<sup>1</sup>

სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში დადგენილია იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებითაც შეუძლია ხელმძღვანელობა მოსამართლეს სარჩელის უზრუნველსაყოფის პროცესში, ხოლო ამავე მუხლის

---

<sup>1</sup> სსსკ-ის 191-ე მუხლი, მიღებულია 14.11.1997 წ.

მე-3 ნაწილში მითითებულია, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს აქვს სხვა ნებისმიერ ღონისძიებათა გამოყენების უფლებაც უფლება შეუძლია გამოიყენოს სხვა ნებისმიერი ღონისძიება.<sup>2</sup> მაშასადამე, კანონით დადგენილია მოსამართლის ვალდებულება აუცილებლობის სტანდარტით ხელმძღვანელობის თაობაზე.

სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ინსტიტუტი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ისეთი ღონისძიებების გამოყენებას, რომლებიც გარანტირებულს ხდიან გადაწყვეტილების აღსრულებას, სასარჩელო მოთხოვნების განხორციელებას, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში. სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფა პირთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი ეფექტიანი ქმედითი მექანიზმია, რომელიც გათვალისწინებულია როგორც სამოქალაქო საპროცესო, ისე სხვა (ადმინისტრაციული, სისხლის საპროცესო) კანონმდებლობით. უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანია სამოქალაქო თუ სხვა სახის სამართალდარღვევის შედეგად დარღვეული პირთა ქონებრივი უფლებების რეალური და სრული აღდგენა.

დავის განხილვა ეფექტიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, როდესაც გადაწყვეტილება აღსრულდება. უზრუნველყოფის ინსტიტუტის სწორი გამოყენება უზრუნველყოფს სასამართლო აქტების ჯეროვან და ეფექტიან აღსრულებას. დაინტერესებული პირის უფლება, ზოგიერთ შემთხვევაში, დაცული შეიძლება იქნეს სადავო ქონების მიმართ სწრაფი უზრუნველყოფითი ღონისძიებების მიღების გზით ჯერ კიდევ სარჩელის აღძვრამდე.

უზრუნველყოფის ღონისძიებების ინსტიტუტის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში იმაში მდგომარეობს, რომ ის სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტისათვის ფაქტობრივად უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობის განხორციელების ერთ-ერთი წონადი გარანტიაა. სასამართლოთა საქმიანობის ეფექტიანობა უშუალოდ არის დამოკიდებული სასამართლოთა აქტების რეალურად აღსრულებაზე. დავის გადაჭრა, თუკი ამას

---

<sup>2</sup> სსსკ-ის 198-ე მუხლი, მიღებულია 14.11.1997 წ.



არ მოჰყვება სასამართლო აქტის აღსრულება (მოთხოვნის საბოლოო დაკმაყოფილება), პრაქტიკულად უსარგებლოა იმ პირისთვის, ვინც თავისი უფლებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად მიმართა სასამართლოს.

### თემის აქტუალობა

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტადიას წარმოადგენს სამოქალაქო მართლმსაჯულებაში. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკა ბოლო პერიოდში გადაწყვეტილების აღსრულებას აქტიურად განიხილავს, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილს, რის დასტურსაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი წარმოადგენს. საქართველოში აღნიშნული პრინციპის გაზიარება არცთუ ისე დიდი ხნის წინ მოხდა, თუმცა დღევანდელ დღეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება მაინც მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთ სუსტ რგოლად რჩება. თემის აქტუალობაც სწორედ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებული ხარვეზების კვლევასა და ისეთი მექანიზმების შემუშავებაში მდგომარეობს, რომელიც ხელს შეუწყობს სისტემაში არსებულ გამოწვევებთან გამკლავებას, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

გადაწყვეტილების აღსრულებისათვის რიგ შემთხვევაში გარდაუვალად აუცილებელია იმ პრევენციული ღონისძიებების წინასწარ გატარება, რაც სამომავლოდ გარანტირებულს ხდის გადაწყვეტილების აღსრულებას. ყოველ ადამიანს, თავისი უფლებების დასაცავად, გარანტირებულად გააჩნია უფლება მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მისი სარჩელის საფუძველზე აღძრული საქმის დროული და სამართლიანი განხილვა და ეს მკაფიოდ არის განმარტებული საქართველოს კონსტიტუციში, საერთაშორისო აქტებსა და ეროვნული კანონმდებლობაში. თავად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფი ინსტიტუტის არსებობა სასამართლო აქტის აღსრულების უზრუნველყოფით არის ნაკარნახევი. კონსტიტუციის 31-ე მუხლით (რომელიც დადგენილია სასამართლო წესით უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას შეეხება),

გარანტირებული უფლება არარეალური და არაქმედითი აღმოჩნდება სასამართლოს (ანდა სხვა უფლებამოსილი ორგანოს) მიერ დარღვეული უფლების აღსადგენად მიღებული აქტის დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, რასაც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ისეთ მძიმე შედეგამდე მივყავართ, რაც გამოიხატება მართლმსაჯულების აღუსრულებლობაში. ეფექტიანი და ჯეროვანი მართლმსაჯულების მისაღწევად აუცილებელია სასამართლოს მიერ არამხოლოდ კონკრეტული კონფლიქტის გადამწყვეტი აქტის მიღება, არამედ უკვე ძალაში შესული აქტის დროული აღსრულების უზრუნველყოფაც.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის მუდმივი განვითარების აუცილებლობა, განაპირობებს სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ინსტიტუტის მოდიფიცირებასაც. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლამდე არსებული საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ცალკეული კატეგორიის საქმის განხილვის თავისებურებას და შესაბამისად, არ ითვალისწინებდა აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სარჩელის უზრუნველყოფის შესაძლებლობასა და თავისებურებებს. სამოქალაქო საპროცესო სამართლის მოდიფიცირებისა და უნიფიცირების ერთ-ერთი გარდაუვალი შედეგია სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის დახვეწა და შეცვლაც კი. ტერმინი „სარჩელის უზრუნველყოფა“ სრულად ვერ გამოხატავს სარჩელის უზრუნველყოფის თავში გაერთიანებული ნორმების იურიდიულ ბუნებას. აღნიშნული ნორმები სცდებიან სარჩელის უზრუნველყოფის საზღვრებს. ამ ნორმათა სისტემას, როგორც ახალ საპროცესო ინსტიტუტს, შეიძლება ეწოდოს ახალი სახელწოდება - „უზრუნველყოფის ღონისძიებები“. შესაბამისად, მათი ანალიზისას მხოლოდ ისეთი კატეგორიებით ოპერირება, როგორებიც არის „სარჩელის უზრუნველყოფა“, „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები“, შეცდომა იქნება, რამეთუ დავიწროვდება აღნიშნულ დანაწესთა მოქმედების არეალი. შედარებისათვის, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლიათვის უცხოა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისთვის ნაცნობ „სარჩელის უზრუნველყოფის“ ცნება. ასეთი

ფუნქციები გააჩნია სანივთო ყადაღასა და დროებით განკარგულებას. ორივე საპროცესო მოქმედებას გამარტივებულად „დაჩქარებულ წარმოებასაც“ უწოდებენ. როგორც ჩანს, გერმანულ სამართალშიც არ აღინიშნება ზუსტი ტერმინით უზრუნველყოფის ღონისძიებათა არსი. ნაშრომში გამოკვლეულია აგრეთვე მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი ისეთი ღონისძიებები, როგორებიც არის ყადაღა და სეკვესტრი. ყადაღის ინსტიტუტისადმი ინტერესი განპირობებულია იმით, რომ როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს ღონისძიება „ყველაზე ხშირად გამოყენებადი ღონისძიებაა“.

ხშირია მასთან დაკავშირებული საპროცესო მოქმედებების არასწორი განხორციელების ფაქტები, რაც მოითხოვს არსებული სასამართლო პრაქტიკის სიღრმისეულ მეცნიერულ ანალიზს. რაც შეეხება სეკვესტრს, მისი უაღრესად დიდი მნიშვნელობისა და თანამედროვეობისათვის აქტუალობის მიუხედავად, პრაქტიკულად ერთეული შემთხვევების გარდა, სასამართლოთა საქმიანობაში არ გამოიყენება. სეკვესტრის მნიშვნელობას ხაზი გაესვა ჯერ კიდევ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. საკონსტიტუციო სასამართლომ მიერ განიმარტა, რომ აღსრულების პროცესში უნდა გათვალისწინდეს მოვალის ინტერესებიც. მოქმედ კანონმდებლობაში სეკვესტრი აუქციონის უწყინარ ალტერნატივად არის მიჩნეული იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს არა ქონების რეალიზაციას, არამედ მის სამართავად გადაცემას. სამართავი ქონების კარგი მმართველისათვის გადაცემის შემთხვევაში, სეკვესტრი მოვალის ქონების შენარჩუნების, მისი საწარმოსა თუ მეურნეობის გამოცოცხლებისა და გაჯანსაღების, ასევე კრედიტორის ინტერესთა დაკმაყოფილების ხელშემწყობი ხდება. იმდენად, რამდენადაც სეკვესტრი არის როგორც იძულებითი აღსრულების სახე, ისე სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საშუალება, მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს, რომ მოცემულ ნაშრომში სეკვესტრი გამოყენებულია სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აზრით.

მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი ღონისძიებების კვლევისას ინტერესს იწვევს შემდეგი პრობლემები: არსებული მოწესრიგების

პირობებში ყადაღის გამოყენება რამდენად თანაზომად ღონისძიებად გამოიყურება და შესაბამისად, არსებული რეგულაცია რამდენად წარმოადგენს საკუთრების უფლებაში დასაშვებ ჩარევას ისეთ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი არ კმაყოფილდება, ხოლო დავის დასრულებამდე ყადაღის გაუქმება ძალაში არ შედის და ფაქტობრივად შენარჩუნებულია; რამდენად არის ყადაღა მოქცეული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედების სფეროში; ყადაღა მოპასუხის უფლებათა მხოლოდ კერძოსამართლებრივი ხასიათის შეზღუდვაა, თუ საჯაროსამართლებრივი შეზღუდვაც და შესაბამისად, უნდა შეიზღუდოს თუ არა მოპასუხე სარგებლობის უფლებაში. ეს საკითხები რელევანტურია იმდენად, რამდენადაც მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში თითქმის უცვლელად იქნა გადმოტანილი მანამდე არსებული კანონმდებლობის დანაწესები სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე. ძველი წესები აგებული იყო სოციალისტური მეურნეობის შესაბამისად, მაშინ როცა ახალი კანონმდებლობა შეიქმნა საბაზრო მეურნეობის პირობებში. აღნიშნული კი განაპირობებს მრავალი დრომოჭმული ინსტიტუტის გადახედვას და ახლებურ გააზრებას, მათ შორის უზრუნველყოფის ინსტიტუტის სფეროშიც. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან შეუსაბამობაში მყოფი წესების ახალ რეალიებთან მორგების გარეშე შესაძლოა უამრავი ქონება უბრალოდ ვერ ჩაერთოს სამოქალაქო ბრუნვაში, რაც უკიდურესად დამაზიანებელია კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისათვის. განსაკუთრებით მტკივნეული პრობლემა სწორედ ამის გამო არის მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღუდავი ღონისძიებების საკითხი, რაც განაპირობებს ნაშრომის აქტუალობას.

სარჩელების დიფერენცია სხვადასხვა ნიშნით, მათი სახეობები, მათი განმასხვავებელი ნიშნები და სხვა ფაქტორები თუ რაზეც არის დამოკიდებული თუ რომელი სარჩელი უნდა აირჩიოს მოსარჩელემ სასამართლოსთვის მიმართვისას, არის აქტუალური საკითხი, ვინაიდან გადაწვეტილებების უზრუნველყოფაც სწორედაც რომ განუყოფლად უკავშირდება სარჩელს,

რომელზეც ის არის მიღებული. ამავდროულად მოსარჩელემ უნდა აირჩიოს მისთვის ყველაზე ოპტიმალური სარჩელი, თავისი მოთხოვნის შესაბამისად.

სარჩელთა სახეობების შესწავლით უფრო ნათელი ხდება თუ როგორ ხდება მათი კანონმდებლობით, სასამართლო პრაქტიკითა და საპროცესო მეცნიერებით დაყოფა.

### **საკვლევი პრობლემა**

ცნობილია, რომ სწრაფი მართლმსაჯულება დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. სასამართლო სისტემის ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად სწორედ მართლმსაჯულების სისწრაფეზეა დამოკიდებული, მის ხარისხიანობასთან ერთად. მართალია, ქართული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უმრავი დანაწესი ეფუძნება საპროცესო ეკონომიის პრინციპს, მაგრამ პრაქტიკაში სასამართლოების განსჯად საქმეებზე ხშირია ვადების დარღვევა სასამართლოების გადატვირთულობის გამო, რაც ზოგად გლობალურ პრობლემას წარმოადგენს მთელ მსოფლიოში, მზარდი საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე. უნდა აღინიშნოს, რომ სამართალწარმოება/პროცესი გადაწყვეტილების გამოტანით არ სრულდება და სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებაც სამართალწარმოების/პროცესის შემადგენელი ნაწილია.

თუმცა გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემა ხშირად გადახდისუუნარობასთან არის დაკავშირებული და ამიტომ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების აღსრულებისთვის წინასწარ პრევენციული ღონისძიებების მიღება, რაც მეტ-ნაკლებად გარანტირებულს ხდის სამომავლოდ გადაწყვეტილების აღსრულებას.

სამოქალაქო სამართალწარმოების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საქმის სასამართლოში განხილვა სამივე ინსტანციის სასამართლოში ხშირად ხანგრძლივ დროსთან არის დაკავშირებული. კერძო დავებზე, როგორც წესი, სამართალწარმოება დიდ დროს მოითხოვს და კონკრეტული საქმის განხილვა

და ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება სამივე ინსტანციის სასამართლოში ხშირად წლების განმავლობაში მიმდინარეობს. ამის მიზეზად შეგვიძლია რამდენიმე გარემოება დავასახელოთ: მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა, თავად მხარეების მოუმზადებლობა, საპროცესო ვადების დაცვის შეუძლებლობა, მოდავე მხარეების მხრიდან საპროცესო ნორმების არაკეთილსინდისიერი გამოყენება და სხვა. თუმცა პრობლემებს ვაწყდებით არა მხოლოდ საქმის სასამართლომ განხილვის სტადიაზე, არამედ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესშიც, რაც უზრუნველყოფის ღონისძიების წინასწარ განუხორციელებლობითაც არის გამოწვეული.

გადაწყვეტილების აღსრულებლობით ირღვევა არა მარტო სამართლიანი სასამართლოს უფლება (რაც გარანტირებულია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით), არამედ საკუთრების უფლებაც. სტრასბურგის სასამართლოს მიერ ბოლო პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით, როდესაც დარღვეულია აღსრულების უფლება, ამით დარღვეულია ევროკონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით უზრუნველყოფილი საკუთრების უფლებაც. სასამართლოს მიერ დადასტურებული უფლება მიიჩნევა კრედიტორის საკუთრების უფლების ობიექტად, რომელსაც ვერ იღებს აღსრულების წესით. ამრიგად, უზრუნველყოფის წინასწარი განხორციელება იცავს იმ საკუთრების უფლებასაც, რომელიც დადასტურდება სასამართლო აქტით. აღნიშნული საკითხების და პრობლემატიკის მიუხედავად, გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმის იურიდიული ბუნება, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის.

### **კვლევის მიზნები და ამოცანები**

საკვლევი თემის მიზანია სამოქალაქო სამართალწარმოებაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ნაწილში არსებული საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზების კვლევა მისი ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, რომ განხორციელდეს სამართლიანი სასამართლოს

უფლების დაცვის განმტკიცება. ნაშრომის მიზანია გამოკვეთოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების პრობლემატიკა და შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საშუალებით შემოგვთავაზოს რეკომენდაციები კანონმდებლობაში არსებული პრობლემური საკითხების დასახვეწად. ამასთანავე მიზანს წარმოადგენს, სამოქალაქო სამართალწარმოების სრულყოფის, საპროცესო ეკონომიის პრინციპის უზრუნველყოფისა და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებაზე გავლენის მოხდენის ასპექტით სარჩელთა სახეების შესწავლა, შესაძლო საკანონმდებლო ხარვეზების გამოვლენა და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შეთავაზება.

#### **კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:**

- სარჩელის ცნებისა და შინაარსის, მისი ელემენტების კვლევა;
- სარჩელთა სახეებად დაყოფის თეორიული საფუძვლების შესწავლა და მათი გავლენა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობაზე;
- სარჩელთა კონკრეტული სახეების მსგავსებისა და განსხვავების გამოკვეთა.
- გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის გათვალისწინებით;
- სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის პრობლემატიკა ქართულ კანონმდებლობაში;
- ქართული და ზოგიერთი უცხოური კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი;

#### **საკვლევი კითხვები**

კვლევის საგანია საქართველოში საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და მისი კავშირი სამართლიანი სასამართლოს

უფლებასთან, ანუ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება როგორც სამართლიანი სასამართლო უფლების შემადგენელი ნაწილი, - სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უფლება რამდენად შეიძლება იყოს სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ფაქტორი და გადაწყვეტილების აღსრულებისათვის წინასწარ პრევენციული ღონისძიებების მიღება რამდენად გარანტირებულს ხდის სამომავლოდ გადაწყვეტილების აღსრულებას. ნაშრომში განხილულია სარჩელის სახეები ქართული კანონმდებლობის, საპროცესო სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით. ასევე, მოცემულია სარჩელის სახეები ზოგიერთი უცხოური ქვეყნის სამართლის დოქტრინასა და კანონმდებლობაში. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სარჩელის, როგორც დარღვეული უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის სასამართლოში მიმართვის უნივერსალური საპროცესო ფორმის მნიშვნელობასა და ცნებაზე, ასევე სარჩელის ელემენტებზე. სარჩელის ერთ-ერთი ელემენტის-სარჩელის საგნის განსაზღვრას პრინციპული მნიშვნელობა აქვს სარჩელის პროცესუალურ-სამართლებრივი კვალიფიკაციისთვის. ნაშრომში გადმოცემულია სარჩელთა მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო სამართლებრივი კლასიფიკაციის მნიშვნელობა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით და მოცემულია ავტორის კონკრეტული დასკვნები სარჩელთა სახეების არსებული დაყოფის მიზანშეწონილობაზე და მათი გავლენის თაობაზე უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენებაზე.

**კვლევის ობიექტია** უცხოური და ქართული კანონმდებლობა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ მათი გავლენა გადაწყვეტილებების აღსრულების შედეგებზე.

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია არა მარტო ქართული, არამედ უცხოური ლიტერატურა. წყაროები საფუძვლიანად არის დამუშავებული, გაანალიზებული და შესაბამისი თემატიკის მიხედვით შერჩეული. ქართული



ლიტერატურიდან გამოყენებულია ავტორთა კოლექტივის (შ. ქურდაძე, გ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი) მიერ გამოცემული „სამოქალაქო სააღსრულებო სამართალი“, ასევე შ.ქურდაძის, გ. ქურდაძის, ნ.ხუნაშვილის და ზ.ჭყონიას თანაავტორობით გამოცემული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი“, „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“ გამოცემული ავტორების შ. ქურდაძის, ნ.ხუნაშვილის, მ.ცქიტიშვილის, მ.ახალაძის. მ.კუბლაშვილისა და გ. ქურდაძის მიერ, ა. კობახიძის გამოცემული „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, მ. ცქიტიშვილის, , სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია „სარჩელის პრობლემა სამოქალაქო პროცესში“, ზ.ძლიერიშვილის „სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის( ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა და სხვა. ნაშრომში ასევე გამოყენებულია გერმანული, ჰოლანდიური და რუსული ლიტერატურა, მათ შორის: Litigation in the Netherlands, Civil procedure, Arbitration and Administrative Litigation. Wolters Kluwer, Кулахметов Шамиль Баязитович, Особенности рассмотрения арбитражными судами дел о защите прав и законных интересов группы лиц (ავტორეფერატი, 2011), Zivilprozessrecht: Erkenntnisverfahren, Arwed Blomeyer, Springer-Verlag GmbH Berlin Heidelberg, 1963, Stichelbrock B. Inhalt und Grenzen richterlichen Ermessens im Zivilprozess, Köln, 2002. ასევე ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი ანალიზისთვის გერმანიის კონსტიტუცია და საკვლევ თემასთან რელევანტური ნორმები.

### **კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები**

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ ცალკე კვლევა ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში არ არსებობს, შესაბამისად, ნაშრომი საინტერესო იქნება უშუალოდ აღნიშნული ან მონათესავე საკითხების კვლევით დაინტერესებული როგორც აკადემიურ სფეროში მოღვაწე, ასევე იურიდიულ პრაქტიკაში დასაქმებული პირებისათვის. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა საკმაოდ აქტუალურია და შესაბამისად მნიშვნელოვანია მოხდეს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, რაც

დაინერგება პრაქტიკაში. კვლევის თეორიული საფუძველია: საკანონმდებლო აქტები, საპროცესო სამართალში მოღვაწე ქართველი და უცხოელი მეცნიერების, ასევე მოსამართლეთა სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და კომენტარები, ქართული და ევროსასამართლოს პრაქტიკა.

### **კვლევის მეთოდები**

ნაშრომში განხორციელებული მეცნიერული ხედვების ანალიზი ხელს შეუწყობს უზრუნველყოფის მექანიზმის არსის სწორ გაგებას და გამოყენებას, გადაწყვეტილების ეფექტიანად აღსრულების უზრუნველყოფას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ზრდას. სასამართლო პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების ანალიზით შემუშავებული იქნება რეკომენდაციები, რაც ვფიქრობ ხელშემწყობ როლს ითამაშებს თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისთვის.

გამოყენებული კვლევის მეთოდებია:

1. ნორმატიული;
2. შედარებით-სამართლებრივი;
3. ლოგიკური ანალიზის მეთოდი;

კვლევის თეორიული ბაზა შეადგინა სამოქალაქო საპროცესო სამართლისა და სხვა მომიჯნავე სფეროში მოღვაწე მეცნიერების ნაშრომებმა.

### **ნაშრომის მეცნიერული სიახლე და თეორიულ/პრაქტიკული**

#### **მნიშვნელობა**

ქართულ სამეცნიერო სივრცეში შეიქმნება სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც მოახდენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის, როგორც სამართლიანი სასამართლოს და საკუთრების უფლების განხორციელების საშუალების კვლევას კანონმდებლობასა და

პრაქტიკაში არსებული გამოწვევების გამოსავლენად, მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლებასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე არის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მოდერნიზება, იმისათვის რომ ის გახდეს ორივეს მხარის ინტერესების დაცვის ეფექტიანი მექანიზმი. უფრო კონკრეტულად კი, სიახლეს წარმოადგენს ის, რომ თუკი დღევანდელ დღემდე მეცნიერებაში აქცენტი კეთდება მოსარჩელის უფლებების უზრუნველყოფაზე, ჩვენს მიერ შემოთავაზებულია უზრუნველყოფის ინსტიტუტის ფართო გაგება, რომელიც მოპასუხის უფლებების გაფართოების გზით ორივე მხარის ინტერესების სამართლიანი დაბალანსების შესაძლებლობას იძლევა.

ნაშრომში დასაბუთებულია გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ინსტიტუტის ვიწრო გაგების შეცვლის აუცილებლობა. შემოთავაზებულია უზრუნველყოფის მექანიზმის ქმედითი გამოყენება მოპასუხის უფლებათა გაფართოების გზით. არსებულ მექანიზმში ნაკლები ადგილი ეთმობა მოპასუხის უფლებების უზრუნველყოფას.

## **ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა**

ნაშრომი შედგება შესავალის, ოთხი თავის, ოცდაექვსი ქვეთავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან.

### **თავი I**

**სარჩელის სახეები და მათი გავლენა სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფაზე**

#### **1.1 სარჩელის არსი**

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ყოველ ადამიანს ანიჭებს როგორც საკუთარი უფლებების დასაცავად სასამართლოსთვის მიმართვის, ასევე დროული და სამართლიანი განხილვის მოთხოვნის უფლებას.

სსსკ-ის მე-3 მუხლში ნათქვამია, რომ მხარეთა მიერ სასამართლოში საქმის წარმოება იწყება, ასევე სსსკ-ის მიერ განსაზღვრულ წესთა შესაბამისად, მათ მიერ სარჩელის (ანდა განცხადების) შეტანის გზით, რომელშიც მათ უნდა განსაზღვრონ დავის საგანი და თავადვე მიიღონ გადაწყვეტილება სარჩელის შეტანის თაობაზე.

არსებული საპროცესო კანონმდებლობა არ ადგენს სარჩელის დეფინიციას. გავრცელებული მოსაზრებით, სარჩელი წარმოადგენს სასამართლო წესით უფლების დაცვის მექანიზმს<sup>3/4</sup>. გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით კი, სარჩელი გამოიყენება როგორც მოსარჩელის შუამდგომლობა სასამართლოსადმი მისი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.<sup>5</sup>

სასამართლოში კანონით დადგენილი წესის შესაბამისად სარჩელის აღძვრითა და მოპასუხისადმი კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის წაყენებით, უკვე იქმნება ვარაუდი, რომ მოსარჩელეც და მოპასუხეც სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები არიან, რაც სავსებით საკმარისი არგუმენტია სასამართლოს მიერ სარჩელის მიღებისა და მისი განხილვისათვის (რა თქმა უნდა, სარჩელის მიღებისათვის საჭირო სხვა წინაპირობების არსებობის შემთხვევაში (სსკ 186-ე მუხლი).<sup>6</sup>

მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი განისაზღვრება სარჩელში მითითებული ფაქტებისა და გარემოებების მიხედვით, რაც სასამართლო პრაქტიკის

---

<sup>3</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, გვ. 344.

<sup>4</sup> სუხიტაშვილი დ., ვადები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, საქართველოს მაცნე, 2019, 251.

<sup>5</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, გვ.344.

<sup>6</sup> ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014, გვ.144.

მიერ სარჩელის შემადგენელ ელემენტებად არის აღიარებული. სარჩელის ინდივიდუალიზაციაც სწორედ ამ ელემენტების მიხედვით ხდება. სარჩელი, როგორც სსსკ-ის რიგ მუხლებშია (მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე) განმარტებული, ორი ელემენტისაგან შედგება. ესენია: სარჩელის საგანი და სარჩელის საფუძველი. 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი სარჩელის საგანად განსაზღვრავს მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხისადმი, სარჩელის საფუძველს კი, ამავე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს – კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებზეც არის დამყარებული მოსარჩელის მოთხოვნა.<sup>7</sup>

მხარეთა მიერ დისპოზიციური უფლებების გამოყენები შესაძლებელია პროცესის მსვლელობაზე ზეგავლენის მოხდენა და სწორედ დასახელებული უფლებების განკარგვით ხდება სხვადასხვა სამართლებრივ შედეგთა წარმოშობა. მხარეები უფლებამოსილნი და თავისუფალნი არიან თავის დაცვის საშუალებების თავიანთი შეხედულებების მიხედვით არჩევაში. გერმანული დოქტრინის თანახმად, „არ არის მოსარჩელე, არ არის მოსამართლე“. პროცესის დაწყების მომენტად განისაზღვრება მხარეთა ინიციატივა და, შესაბამისად, იგივეში მდგომარეობს ნების ავტონომიის პროცესუალური გაგრძელება. მისი მოქმედება არამხოლოდ პროცესის დაწყებით არ არის შემოფარგლული, არამედ ადგილი აქვს მთლიანად სამოქალაქო საპროცესო სამართალზე მის გავრცელებასაც.<sup>8/8</sup>

მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტის მიერ ხდება არამხოლოდ იმის მითითება - რომელი მხარის მიერ რომელი ფაქტის დამტკიცება უნდა მოხდეს, არამედ მხარეებს ასევე იმ ფაქტებსაც განუსაზღვრავს, რომელთა დამტკიცებისაგანაც თავისუფლდებიან ისინი. შესაბამისად, მოსარჩელის მოვალეობაა ყველა იმ გარემოების დამტკიცება, რომლებიც მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს, ხოლო მოპასუხის

---

<sup>7</sup> სუსგ №ას-1215-2018, 29 მარტი, 2019.

<sup>8</sup> Walter Zeiss, Klauss Schreiber, 2003, Zivilprozessrecht, 10. Auflage, Mohr Siebeck. Tubingen.

მოვალეობაა – ყველა გარემოების დასაბუთება, რასაც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიიჩნევს.<sup>9</sup>

## 1.2 სარჩელის კლასიფიკაცია

სარჩელთა დაყოფა ანუ სარჩელთა კლასიფიკაცია ხორციელდება საპროცესო მიზნის მიხედვით, ე.ი. საპროცესო-სამართლებრივი ნიშნით ან მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის ხასიათის მიხედვით, ე.ი. მატერიალურ-სამართლებრივი ნიშნით.<sup>10</sup>

სარჩელის მიზანი შეიძლება მდგომარეობდეს როგორც სამართალურ-თიერთობის არსებობის, აგრეთვე არარსებობის სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებაშიც. მაგალითისათვის, სასამართლოს მიერ შეიძლება მიღებულ იქნას გადაწყვეტილება გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი გადაწყვეტილების მიხედვით, სარჩელების დაყოფა შესაძლებელია ორ სახედ: მიკუთვნებითი სარჩელი და აღიარებითი (უფლედამდგენი) სარჩელი.<sup>11/12</sup>

სარჩელების დაყოფა საპროცესო სამართლებრივი ნიშნის მიხედვით მოიცავს უფლების დაცვის ყველა სახეს და ასეთ დაყოფას აქვს მრავალმხრივი პრაქტიკული მნიშვნელობა როგორც მტკიცების საგნის ზუსტად და სრულად განსაზღვრისათვის, ისე სარჩელის ინდივიდუალიზაციისათვის – ერთი სარჩელის მეორისაგან გამიჯვნისათვის.<sup>13</sup>

არა მარტო ქართულ, რუსულ სამეცნიერო პროცესუალურ დოქტრინაშიც სარჩელთა სახეები ტრადიციულად კლასიფიცირებულია მიკუთვნებით,

---

<sup>9</sup> ბოელინგი ჰ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ.64.

<sup>10</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, გვ.354.

<sup>11</sup> იქვე, გვ.354.

<sup>12</sup> მეფარიშვილის ქ., უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სამოქალაქო პროცესში, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(78), გვ.95.

<sup>13</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2005, გვ.280.

ალიარებით და გარდაქმნით სარჩელებად.<sup>14/15</sup> თუმცა ზოგიერთი პროცესუალისტი ტრადიციული დაყოფის გარდა, მიუთითებს ჯგუფურ, ირიბ და გამაფრთხილებელ (პრევენციულ) სარჩელებზე.<sup>16</sup>

რუსულ სამართლებრივ დოქტრინაში, ზოგი ავტორი გამაფრთხილებელ (პრევენციულ) სარჩელებს მიკუთვნებითი სარჩელის ქვესახეობად განიხილავს და აღნიშნავს, რომ ეს სარჩელები მიმართულია მომავალში დასაბუთებული მოსალოდნელი დარღვევის თავიდან ასაცილებლად. მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებასთან დაკავშირებული მოქმედებების გავრცელება, სათანადო ნებართვების გარეშე მასობრივი საბინაო მშენებლობების განხორციელება, პრევენციულ სარჩელებს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვის ეფექტურ საშუალებად ხდის.<sup>17</sup>

გერმანულ სამართალში, საქართველოს საპროცესო სამართლისგან განსხვავებით, ძირითად სარჩელთა სახეობად გვევლინება: მავალდებულებელი და ალიარებითი სარჩელები. მავალდებულებელი სარჩელი ასევე მოიაზრებს გარკვეული მოქმედებებისგან თავშეკავების მოთხოვნასაც კი. ასევე გავრცელებულია სარჩელები, რომლითაც მოსარჩელები ითხოვენ სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლას და სარჩელები, რომლითაც ითხოვენ ვალდებულებების შესრულების ვადის ცვლილებებს, მათ სამომავლო პერიოდისთვის გადავადებას.<sup>18/19</sup>

---

<sup>14</sup> Мясникова Наталия Константиновна, Виды исков в гражданском судопроизводстве, 1999, 3.

<sup>15</sup> Макаров Вадим Владимирович, Теория иска в гражданском процессуальном праве России и Германии, 2006, 6.

<sup>16</sup> Мясникова Наталия Константиновна, Виды исков в гражданском судопроизводстве, 1999, 4.

<sup>17</sup> Макаров Вадим Владимирович, Теория иска в гражданском процессуальном праве России и Германии, 2006, 7.

<sup>18</sup> დაწვრილებით, იხ. ჰაგენლოხი უ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, (GIZ), 2020, გვ. 634-651.

<sup>19</sup> მეფარიშვილის ქ., უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სამოქალაქო პროცესში, თბილისი, მათელმსაჯულება და კანონი, N2(78), გვ. 95.

სარჩელების კლასიფიკაცია სამ ძირითად სახეობად გავრცელებულია ავსტრიულ, გერმანულ და შვეიცარიულ კანონმდებლობებში და მათი განხილვა მიმდინარეობს ასევე ფრანგულ და იტალიურ კანონმდებლობებშიც კი.<sup>20/21</sup>

ნიდერლანდების სასამართლო პროცესების უმეტესობა იწყება სარჩელის შესატყვისი მოწვევის ფურცლით. წერილობითი განცხადებები არის ის ფურცლები რომლითაც მხარეები მიმართავენ სასამართლოს.<sup>22</sup>

მიკუთვნებითი სარჩელს ადგილი აქვს იმ გარემოებაში, რომლის დროსაც მოსარჩელის მოთხოვნა მდგომარეობს მოპასუხისგან რაიმეს მიკუთვნებაში, რაიმე მოქმედების შესრულებაში ან მოქმედებისგან თავის შეკავებაში. ასეთი სახის სარჩელები სასამართლო პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული სარჩელის სახეობას წარმოადგენს.<sup>23</sup> მაგალითად, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისგან ამა თუ იმ ნივთის დაბრუნებას, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ვალის დაბრუნებას, ლიზინგის ან რაიმე სხვა პირობებში დროებით სარგებლობაში გადაცემული საგნის დაბრუნებას, საცხოვრებლის გათავისუფლებას, სამსახურში აღდგენას, ალიმენტს და სხვ.<sup>2425</sup>

მიკუთვნებითი სარჩელის შემთხვევაში მოსარჩელეს მიერ მოითხოვება არამხოლოდ მატერიალური უფლებების არსებობის ფაქტების დადასტურება/აღიარება, არამედ აგრეთვე ითხოვს სასამართლოს მიერ მოპასუხის იძულებას ამა თუ იმ მოქმედების შესრულებაზე ანდა ამა თუ იმ მოქმედებისაგან თავის შეკავებაზე. ანუ ამით ეკრძალება მოპასუხეს მოქმედების

---

<sup>20</sup> Schlosser P. 1966. *Gesta ltungsk lagenund Gestaltungsurteile*, Bielefeld:Gieseking. S. 107.

<sup>21</sup> *Civil Procedure in Austria*. Walter H. Rechberger. Wolters Kluwer. P 40.

<sup>22</sup> *Litigation in the Netherlands, Civil procedure, Arbitration and Administrative Litigation*. Wolters Kluwer. 6.1.4.1. p 42.

<sup>23</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, გვ. 355.

<sup>24</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2005, გვ.280.

<sup>25</sup> მეფარიშვილის ქ., უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სამოქალაქო პროცესში, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2 (78), გვ. 95.



შესრულება იმდენად, რამდენადაც უფლების დაცვის ფორმა განისაზღვრება უფლების (რომლის დაცვასაც ითხოვს მოსარჩელე) დარღვევის ხასიათით.<sup>26</sup>

იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელი, საკმარისი ვერ იქნება მხოლოდ ის, რომ დადასტურდეს მხარებს შორის ურთიერთობა. ასევე, აუცილებელია, ნათლად იყოს გამოკვეთილი, რომ ადგილი აქვს უფლების დარღვევის ფაქტს,<sup>27</sup> გამონაკლისის სახით არის განსაზღვრული (სსკ 181-ე მუხლი)<sup>28</sup> ისეთი შემთხვევა, რომლის დროსაც არსებობს სარჩელი ვალდებულებების მომავალში აღსრულების თაობაზე.<sup>29</sup> შესაძლოა სასარჩელო მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ იყოს დამდგარი, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელის უფლების დარღვევა არის სახეზე. ამ შემთხვევაშიც მოპასუხეს ეკისრება გარკვეული მოქმედების შესრულების ვალდებულება, მხოლოდ ისეთი აუცილებლობის შემთხვევაში, თუ არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლოა მოვალის მიერ თავიდან იქნას არიდებული ვალდებულების დროულად შესრულება (მაგ. სსკ-ის 367-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა). მიკუთვნებითი სარჩელების დაკმაყოფილება ასეთ პირობებში დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, ამ პირობების ზუსტად და უტყუარად დადასტურებისას.<sup>30</sup>

მოსარჩელეს უფლება აქვს მოითხოვოს არა მხოლოდ აქტიური მოქმედების შესრულების დაკისრება მოპასუხისათვის, არამედ, იმ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების დაკისრება, რომელიც ხელს უშლის მოსარჩელეს თავისი კონკრეტული უფლების განხორციელებაში.

---

<sup>26</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, გვ.355.

<sup>27</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2005, 281.

<sup>28</sup> სსკ-ის 181-ე მუხლი, მიღებულია 14.11.1997 წ.

<sup>29</sup> მეფარიშვილის ქ., უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სამოქალაქო პროცესში, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(78), გვ. 95.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 282.

მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფია, სამართლებრივი წესრიგის განმტკიცების ფუნდამენტურ წინაპირობას წარმოადგენს<sup>31</sup> და მხოლოდ და მხოლოდ მიუკერძოებელ, დამოუკიდებელ, დროულ და, რაც მთავარია, სამართლიან სამართალწარმოებაში გამოიხატება.<sup>32</sup>

იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილება დარჩა აღუსრულებელი, ყველანაირ აზრს მოკლებულია სწრაფი მართლმსაჯულება, გადაწყვეტილების სამართლიანობა და კანონიერება.<sup>33</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, საქართველოს კონსტიტუციით (და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით) გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება... უნდა იყოს რეალური, უნდა უზრუნველყოფდეს პირის უფლებებში ჯეროვნად აღდგენის რეალური შესაძლებლობების არსებობას და იყოს პირის უფლების დაცვის ეფექტური საშუალება.<sup>34</sup>

კონკრეტულ სამოქალაქო საქმეში, სადაც მოსარჩელების მოთხოვნას წილებზე საკუთრების უფლების აღდგენა (დაბრუნება) წარმოადგენდა, უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა მიერ მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელია აღძრული. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არა გადაწყვეტილებაში (სარეზოლუციო ნაწილში) გარიგების ბათილად ცნობის, არამედ აღსრულებითი სარჩელის განხილვის შედეგის მითითება, ვინაიდან, თავის მხრივ, გარიგების ბათილად ცნობით ვერ იქნება მიღწეული რაიმე სახის იურიდიული შედეგი, თუ აღიარებითი სარჩელის განხილვა არ მოხდა წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით.<sup>35</sup>

<sup>31</sup> სუსგ №ა-2968-შ-77-2021, 24 ივნისი, 2021.

<sup>32</sup> შმიტი შ., რიჰტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, (GIZ), 2013, გვ. 3.

<sup>33</sup> სუსგ №ა-2968-შ-77-2021, 24 ივნისი, 2021.

<sup>34</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება, II-30.

<sup>35</sup> სუს-ს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 17 მარტი, 233-ე პუნქტი.

აღიარებითი სამართალი არსებობდა რომის სამართალშიც და მასში „პრეიუდიციულ სარჩელს“ უწოდებდნენ. აღიარებითი სარჩელი პირის უფლების სასამართლო წესით დასადასტურებლად წარდგენილი სარჩელია, და სხვა არაფერი.<sup>3637</sup>

აღიარებითი სარჩელის შეტანის მომენტისათვის ჯერ კიდევ არ არის დამდგარი მოსარჩელის უფლების დარღვევის ფაქტი, თუმცა უკვე ნათლად არის გამოკვეთილი საფრთხე მომავალში მისი დარღვევისა, რაც ვინმეს მიერ მის ამ უფლებაში შედავების ფაქტში გამოიხატება. თუმცა მიკუთვნებითი სარჩელების, დროს კი სხვა გარემოებაა. ამ შემთხვევაში უკვე დარღვეული უფლების დაცვისკენაა მიმართული ამ სახის სარჩელები.<sup>38</sup>

აღიარებითი სარჩელის დროს მოსარჩელის მიზანს წარმოადგენს სასამართლოს გზით საბოლოოდ იქნას აღიარებული მისი უფლებები. აღიარებითი სარჩელი შეასრულოს რაიმე მოქმედება ს მოპასუხე მხარე კი არ არის ვალდებული მოსარჩელის სასარგებლოდ.<sup>39 40</sup>

ხშირად აღიარებითი სარჩელის გაერთიანება ხდება მიკუთვნებით სარჩელთან. მაგალითად, ამას ადგილი ექნება მაშინ, როცა მოსარჩელე მოითხოვს გარიგების ბათილად ცნობას.<sup>41</sup>

საპროცესო კანონმა (181-ე მუხლი) გაითვალისწინა ეგრეთ წოდებული „სარჩელი ვალდებულების მომავალში შესრულების შესახებ“, რომელიც ზოგიერთი ავტორის აზრით, ფაქტობრივად აღიარებითი სარჩელია. მაგალითად, არსებობს (დადებულია) მხარეთა შორის ხელშეკრულება და მისი რომელიმე პუნქტის ნამდვილობა სადავოა, რაზეც დამოკიდებულია ამ

---

<sup>36</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, გვ. 357.

<sup>37</sup> მეფარიშვილის ქ., უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სამოქალაქო პროცესში, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(78), გვ. 95.

<sup>38</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2005, გვ. 283.

<sup>39</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, 357. ასევე ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2005, გვ.284.

<sup>40</sup> მეფარიშვილის ქ., უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სამოქალაქო პროცესში, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(78), გვ.95

<sup>41</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, გვ.358.

ვალდებულების მომავალში შესრულება, ამიტომ მხარე მოითხოვს, რომ სასამართლომ ეხლა აღიაროს ხელშეკრულების ამ პუნქტის და ვალდებულების ნამდვილობა, რომ შემდგომში მხარეს ჰქონდეს მოთხოვნის უფლება.<sup>42</sup>

**აღიარებითი სარჩელი** საპროცესო ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე მხოლოდ მაშინ უნდა იყოს დასაშვები, როცა მოსარჩელეს აქვს ამის იურიდიული ინტერესი (სსსკ-ის 180-ე მუხლი). იურიდიული ინტერესის არსებობა სსსკ-ის 180-ე და 181-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელების დასაშვებობის უმთავრესი პირობაა, რაც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ასეთი სარჩელების წარმოებაში მიღების დროს.<sup>43</sup>

კიდევ რომ არსებობდეს სარჩელის აღძვრის ანუ სარჩელის მიღების ყველა წინაპირობა, მაგრამ არ არსებობს იურიდიული ინტერესი, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას აღიარებითი სარჩელის მიღებაზე (დაშვებაზე) და განხილვაზე.<sup>44/45</sup>

გასათვალისწინებელია, რომ დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემოწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს. იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის განხორციელება შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით.<sup>46</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ დოქტრინაზე დაყრდნობით აღნიშნა,<sup>47</sup> რომ სსსკ-ის 180-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელი შემდეგი კრიტერიუმები: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების

---

<sup>42</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, გვ.358.

<sup>43</sup> თოდუა მ., ქურდაძე შ., ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, საია, 2005, გვ. 159-164.

<sup>44</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2005, გვ.283.

<sup>45</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა, თბილისი, სამართალი, 2007, გვ. 310-311.

<sup>46</sup> სუსგ №ას-1297-2019, 31 იანვარი, 2020.

<sup>47</sup> სუს-ს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017, 232-ე პუნქტი.

მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის. აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებას მოსარჩელისათვის სასარგებლო შედეგი უნდა მოჰქონდეს და მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის საჭიროება აღარ არსებობდეს.<sup>48</sup>

დოქტრინაში ზემოაღნიშნულთან ერთად, ასევე მითითებულია აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის კიდევ ერთი წინაპირობა-აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ უკვე შესაძლებელია სარჩელი თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე, ე.ი. თუ შესაძლებელია აღიარება მიკუთვნებით (აღსრულებითი) სარჩელი.<sup>49</sup>

აღიარებითი სარჩელი შესრულების სარჩელთან შედარებით მეორადია და გვხვდება მხოლოდ მაშინ, როცა მიკუთვნებითი სარჩელის გამოყენება არ არის შესაძლებელი. ეს გარემოება თუმცა არ არის სიტყვიერად კანონში დადგენილი, მაგრამ გამომდინარეობს მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესიდან აღიარებითი სარჩელის სპეციალური ფორმის მიმართ, ეს არის სსსკ-ის 180-ე მუხლის წინაპირობაც. აღნიშნულიდან გამომდინარეობს მიკუთვნებითი სარჩელის უპირატესობა აღიარებითი სარჩელთან მიმართებაში: ყოველთვის, როცა მოსარჩელეს შეუძლია მიკუთვნებითი

---

<sup>48</sup> თოდუა მ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, (GIZ), 2020, 688.

<sup>49</sup>56. ლილუაშვილი თ, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2005, გვ. 284.

სარჩელით სარგებლობა, აღიარებითი სარჩელის გამოყენება დაუშვებელია.<sup>50/51/52</sup>

მაშასადამე აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს, მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა.<sup>53</sup>

ზოგიერთი პროცესუალისტის აზრით, აღიარებითი სარჩელი ამოსაღებია საპროცესო კოდექსიდან. სარჩელთა კლასიფიკაცია დოქტრინის საქმეა და არა კანონმდებლობისა. იურიდიული ინტერესი მოსარჩელეს არა მარტო აღიარებითი, არამედ მიკუთვნებით სარჩელშიც უნდა ჰქონდეს. თავად მოსამართლეა მოვალე საქმის განხილვისას გაარკვიოს, გააჩნია თუ არა პირს რეალური იურიდიული ინტერესი. საკმარისი იქნება კანონი ადგენდეს ნებისმიერი სახის სარჩელისათვის ერთნაირ და ერთიან რეკვიზიტებს. ამასთან იურიდიული ინტერესის მითითება სარჩელში სავალდებულო არ უნდა იყოს.<sup>54</sup>

<sup>50</sup> ჰ. ბოელინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, სიესტა, 2004-2009, გვ. 11.

<sup>51</sup> დაუშვებელი აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში საქმისწარმოების შესახებ დამატებით იხ. ჰ. ბოელინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, სიესტა, 2004-2009, 12. ასევე, მ. თოდუა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, (GIZ), 2020, გვ. 689.

<sup>52</sup> სუსგ №ას-1297-2019, 31 იანვარი, 2020.

<sup>53</sup> სუს-ს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017, 232-ე პუნქტი.

<sup>54</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, გვ.356.

გარდაქმნითი სარჩელი მიმართულია მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. როგორც წესი, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეები იურიდიულ ურთიერთობას ცვლიან, გარდაქმნიან და წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ანუ სასამართლოს გარეშე; თუმცა, ზოგჯერ ეს არ შეუძლიათ სასამართლო კონტროლის გარეშე.

გარდაქმნითი სარჩელები, ანუ კონსტიტუტიური სარჩელები, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ კანონი ითვალისწინებს ურთიერთობის შეწყვეტის ან შეცვლის შესაძლებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს შეუძლია შეწყვიტოს ან შეცვალოს ურთიერთობა, თუ დადასტურდება ფაქტები, რომლებსაც კანონი ასეთ შეცვლას (შეწყვეტას) უკავშირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მაგალითად, მშობლებს შეიძლება ჩამოერთვათ მშობლის უფლება მხოლოდ იმ პირობით, თუ დადასტურდება სსკ 1205-ე მუხლით გათვალისწინებული ფაქტები.<sup>55</sup>

გარდაქმნითი სარჩელები, როგორც სარჩელების ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახესხვაობა, არაა აღიარებული ყველა პროცესუალისტის მიერ, ისინი თვლიან, რომ ეს სარჩელები სინამდვილეში აღიარებითი სარჩელებია.<sup>56</sup>

საარბიტრაჟო სასამართლოში ჯგუფური სარჩელის წარდგენის წინაპირობაა-მოსარჩელეთა მრავალსუბიექტობა, რაც იმას ნიშნავს, რომ სარჩელი უნდა წარადგინოს მინიმუმ ხუთმა მოსარჩელემ და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე შესაძლებელი უნდა იყოს ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრა.

საარბიტრაჟო პროცესში პირთა განუსაზღვრელი წრის უფლებების დაცვის სამართლებრივი ინსტიტუტი გულისხმობს, როგორც ჯგუფის სახელით მოსარჩელე-წარმომადგენლის მიერ სარჩელის აღძვრას ან

<sup>55</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2005, გვ. 287.

<sup>56</sup> კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003, გვ. 292.

აქციონერთა ჯგუფის სარჩელს თავისი სახელით, მხოლოდ სააქციო საზოგადოების ინტერესებში.<sup>57</sup>

ჯგუფური სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს, მხოლოდ სავალდებულო თანამონაწილეობის ასპექტში. მოსარჩელის მხარეს პროცესუალურად აქტიური ფიგურა მხოლოდ სარჩელის აღმძვრელია. ამასთან მთელი ჯგუფის დაცვა სარჩელის აღმძვრელი პირის სახელით ხორციელდება.<sup>58</sup>

საარბიტრაჟო პროცესუალურ სამართალში მოცემულია ჯგუფური სარჩელის შემდეგი დეფინიცია: ჯგუფური სარჩელია საარბიტრაჟო სასამართლოს ქვემდებარე ერთი ტიპის მატერიალურ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირთა ჯგუფის მოთხოვნის პროცესუალური ფორმა, ჯგუფის თითოეული მონაწილის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, პროცესში პირთა ჯგუფისა და მოსარჩელე-წარმომადგენლის ერთობლივი მონაწილეობით.

ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, დაშვებულია შესაძლებლობა, რომ ჯგუფის მონაწილე-მოსარჩელეს ჰქონდეს უფლება, სასამართლოს მიერ სათათბიროდ გასვლამდე, გავიდეს ჯგუფიდან და თავისი მოთხოვნა მოპასუხის წინააღმდეგ დამოუკიდებელი სამართალწარმოებით გადაწყვიტოს.<sup>59</sup>

ვინაიდან სარჩელი მრავალრიცხოვანი პირის უფლების დასაცავად აღმძვრება, სარჩელის აღმძვრისას ჯგუფის ყველა მონაწილის დადგენა სავალდებულო არაა, არამედ ხორციელდება სივრცითი, დროითი და სხვა კრიტერიუმებით, რომლებიც მიუთითებს სასარჩელო მოთხოვნების ერთიანობაზე.<sup>60</sup>

---

<sup>57</sup> Кулахметов Шамиль Баязитович, Особенности рассмотрения арбитражными судами дел о защите прав и законных интересов группы лиц, АВТОРЕФЕРАТ, 2011, 6.

<sup>58</sup> Журбин Бронислав Александрович, Процессуальные особенности рассмотрения судами дел по групповым и производным искам, 20 13, 6.

<sup>59</sup> Кулахметов Шамиль Баязитович, Особенности рассмотрения арбитражными судами дел о защите прав и законных интересов группы лиц, АВТОРЕФЕРАТ, 2011, 6.

<sup>60</sup> Журбин Бронислав Александрович, Процессуальные особенности рассмотрения судами дел по групповым и производным искам, 20 13, 7.



დოქტრინა უშვებს შესაძლებლობას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს არ მიენიჭოს პრეიუდიციული მნიშვნელობა, ჯგუფიდან გასული წევრის დამოუკიდებელ წარმოებაში.<sup>61</sup>

საარბიტრაჟო სასამართლომ ოფიციალურად უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია ჯგუფური სარჩელის აღძვრის შესახებ.<sup>62</sup>

სარჩელთა ერთ-ერთ პროცესუალურ სახედ სამართალში გამოყოფენ **დერივაციულ (ნაწარმოებ, ირიბ)** სარჩელებს. მსგავსი სარჩელები წარმოადგენს საზოგადოების აქციონერის/პარტნიორის მიერ ინიცირებულ მოთხოვნას, რომელსაც იგი წარადგენს კორპორაციის სასარგებლოდ და მისი ხელმძღვანელების წინააღმდეგ. დერივატიული სარჩელის წარდგენისას, პარტნიორი/აქციონერი გამოდის საწარმოს წარმომადგენლად.<sup>63</sup> დერივატიული სარჩელის სამართლებრივი წინაპირობები მოიცავს , მოსარჩელის დასაბუთებას, რომ მას აქვს დერივატიული სარჩელის აღძვრის უფლება, მითითებას ფაქტებზე, რომლებიც ადასტურებს კომპანიისათვის ზიანის მიყენებას მესამე პირ(ებ)ის ქმედებით, და ასევე კომპანიის უფლების დასაბუთებას ზიანის ანაზღაურებაზე. ამასთან უნდა დაასაბუთოს გარემოება, რომ მოთხოვნის განსახორციელებლად მიმართა კომპანიას კანონის შესაბამისად, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. თუ მას აღნიშნული მოქმედება არ შეუსრულებია, დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს, რომ ასეთ მიმართვას არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა.<sup>64</sup>

აშშ-ში არაპირდაპირი სარჩელის ინსტიტუტი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბდა. აღნიშნული სარჩელის გამოყენებით აქციონერს შესაძლებლობა ეძლევა დაიცვას საკუთარი კორპორაციის უფლებები, როდესაც

---

<sup>61</sup> Кулахметов Шамиль Баязитович, Особенности рассмотрения арбитражными судами дел о защите прав и законных интересов группы лиц, АВТОРЕФЕРАТ, 2011, 6.

<sup>62</sup> Журбин Бронислав Александрович, Процессуальные особенности рассмотрения судами дел по групповым и производным искам, 20 13, 7.

<sup>63</sup> თოდუა მ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, (GIZ), 2020, გვ. 673.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 673.

იგი კომპანიის ხელმძღვანელთა მხრიდან აწყდება არასწორად განხორციელებულ, კომპანიისათვის საზიანო მართვას.<sup>65</sup>

რუსული დოქტრინის მიხედვით, ირიბი სარჩელი ეს არის აქციონერთა ჯგუფის ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მონაწილის (დამფუძნებლის) მოთხოვნა საზოგადოების ერთპიროვნული ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ საზოგადოების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.<sup>66</sup>

ცნობილია, კომპანია არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, შესაბამისად, ლოგიკურია, რომ მას უნდა ჰქონდეს უფლება, დაიცვას თავისი უფლებები.<sup>67</sup> უფლება-მოვალეობების გადანაწილებისას, ადმინისტრაციულ უფლებამოსილებასთან ერთად, დირექტორებს აქვთ შესაძლებლობა დაიწყონ სამართალწარმოება. ჩვეულებრივ, დირექტორთა საბჭო წყვეტს კომპანიის სახელით აღძრას თუ არა სარჩელი, პარტნიორებს კი მსგავსი უფლებამოსილება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აქვთ და ისინი ვერ ჩაერევიან ამ საქმიანობაში. მესამე პირების წინააღმდეგ, მათ შორის დირექტორის წინააღმდეგ მიმართული ამ სარჩელის სახის გამოყენება დღითი დღე იზრდება. ამ მოვლენას აქვს ორი ახსნა: პირველ რიგში, ესეთი სარჩელები დიდ როლს თამაშობენ ეკონომიკის განვითარებაში, მეორე მიზეზი კი ის არის, რომ ამ ინსტიტუტის მზარდმა სასამართლო და საკანონმდებლო ცნობიერებამ, უფრო წახალისა დერივაციული სარჩელის გამოყენება.<sup>68</sup> მოსამართლე რიფკინდი აღნიშნავს, რომ ზოგადად ასეთი სარჩელები „ნელი, შრომატევადი და ძვირი არის ყველა დაინტერესებულისთვის“. დერივაციული სარჩელების განვითარების და მათი უფრო ხშირი გამოყენების ნიადაგზე, კორპორაციის დირექტორებმა მეტი ისწავლეს მათი ფიდუციური პასუხისმგებლობისა და საზოგადოებისადმი ერთგულების შესახებ. მათ ასევე ნაკლები მოტივაცია

---

<sup>65</sup> Morrissey D.J, New rulings Threaten the Derivative Suit – Will the „Needed Policeman ”Keep Walking the Beat, South Carolina Law Review. Vol.36,1985, p.632

<sup>66</sup> Кулахметов Шамиль Баязитович, Особенности рассмотрения арбитражными судами дел о защите прав и законных интересов группы лиц, АВТОРЕФЕРАТ, 2011, 6.

<sup>67</sup> A Comparative Look at Protection of the Shareholders' Interest: Variations on the Derivative Suit

<sup>68</sup> The Revival of the Derivative Suit.

მისცეს იმ ადამიანებს, რომლებიც არ არიან დაინტერესებულები კორპორაციის მართვაში, ვინაიდან არსებობს მექანიზმი, რომელიც მათ არასწორ ქმედებებზე პასუხს აგებინებს. საწინააღმდეგო აზრი არის განხილული შემდეგ სტატიაში, სადაც ავტორი ამბობს, რომ აქციონერის დერივაციულ სარჩელს “გადაშენება” ემუქრება. “კორპორატიული მენეჯმენტის მთავარი მექანიზმი” აშშ-ში 1855 წლიდან არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტ განმარტებას ამ მექანიზმის გაქრობის ვარაუდისა არავინ არ იძლევა, არსებობს საკითხი რომლის სამართლებრივი ახსნა-განმარტება დღემდე ვერ მოიძებნა. პროცედურა, რომ დერივაციული სარჩელის აღძვრის მსურველმა აქციონერმა თავდაპირველად გარკვეული ვადის განმავლობაში უნდა მიმართოს თავად საზოგადოებას რომ მან თავად დაიცვას თავისი ინტერესები, მიიჩნევა პროცესის დაბრკოლებად, დროში „გაწელვად“ და საფუძველს მოკლებულად. სხვა მხრივ კი, მიზანი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მესამე პირის მიმართ სარჩელის აღძვრის საკითხი თავდაპირველად საზოგადოების მიერ იქნას განხილული, მდგომარეობს საზოგადოების მიერ, საკუთარი ინტერესების დასაცვის მიზნით, აქციონერის ნაცვლად გადაწყვეტილების თავად მიღებაში, სავსებით რაციონალურ მიდგომას წარმოადგენს.<sup>6970</sup>

---

<sup>69</sup> The Survival of the Derivative Suit: An Evaluation and a Proposal for Legislative Reform

<sup>70</sup> მეფარიშვილის ქ. ნ., უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სამოქალაქო პროცესში, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(78), გვ.95.

სკ-ის მე-11 მუხლში (თანასწორობის უფლების შესახებ) გათვალისწინებულია სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდულის შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს ვალდებულებაა შშმ პირებს შეუქმნას განსაკუთრებული პირობები მათი უფლებების და ინტერესების რეალიზებისთვის. 2014 წელს საქართველოს მიერ განხორციელდა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის რატიფიცირება - მოხდა შშმ პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების აღიარება, აიღო რიგი ვალდებულებები, როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობაში გაჩნდა სპეციალური მოსარჩელის ცნება, რაც იმას ნიშნავს რომ შშმ პირების უფლებების დასაცავად, საამისოდ შექმნილ ორგანიზაციებს შეუძლიათ შეიტანონ სარჩელი.<sup>71</sup>

### **1.3 სარჩელთა სახის გავლენა სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფაზე**

როგორც სარჩელის ერთიანი გაგების თეორიაშია მოცემული, სასარჩელო განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს არამხოლოდ პროცესუალური, არამედ სამოქალაქო მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნაც. სწორედ ეს ორი მოთხოვნა ქმნის გაუყოფად ერთიან სარჩელს.<sup>7273</sup>

სარჩელი წარმოადგენს მოთხოვნას, რომელიც სასამართლოს წინაშე, განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად, წარმოდგენილია საპროცესო კანონით დადგენილი წესის შესაბამისად და შეიცავს ერთი პირის მიერ მეორე პირისაგან მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნას, რაც გამომდინარეობს

---

<sup>71</sup> შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონი. მე-19 მუხლი.

<sup>72</sup> სუხიტაშვილი დ., ვადები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, საქართველოს მაცნე, 2019, გვ. 257.

<sup>73</sup> მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღუდველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), გვ. 97

სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან და დაფუძნებულია იურიდიულ ფაქტებზე.<sup>74</sup>

სარჩელის ინდივიდუალიზებას ხდება მისი სამართლებრივი ბუნების განმსაზღვრელი შემადგენელი ელემენტების მიხედვით.<sup>75</sup> **სარჩელი შედგება ორი ძირითადი ელემენტისგან: სარჩელის საგანი და საფუძველი.** სარჩელის საგნად უნდა დაკვალიფიცირდეს მოსარჩელის მიერ მოპასუხისადმი წაყენებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნისა და სასამართლოსაგან გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის მიხედვით. ამავდროულად სასარჩელო მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ ფაქტებს. შესაბამისად, სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეს მიმართ.<sup>76</sup>

მოსარჩელის მიერ სარჩელის აღმკრის მიზანია მისთვის სასურველი, რომ დადგეს მისთვის სასურველი შედეგი (მიიკუთვნოს ნივთი, დაიბრუნოს ვალი, აინაზღაუროს ზიანი, შეწყვიტოს ან გააუქმოს ხელშეკრულება და ა.შ.) და ეს უნდა იქნას ასახული სარჩელის საგანში. ამრიგად, სარჩელის საგანი იქმნება მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის შესაბამისად, მაგრამ, მოსარჩელის მიერ სასურველი და მოთხოვნილი შედეგის დადგომის ანუ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზეა შესაძლებელი.<sup>77</sup>

სარჩელთა კლასიფიკაცია ხორციელდება საპროცესო მიზნის მიხედვით, ე.ი. საპროცესო-სამართლებრივი ნიშნით ან მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის ხასიათის მიხედვით, ე.ი. მატერიალურ-სამართლებრივი ნიშნით.<sup>78</sup> თუ სარჩელების დაყოფას მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ვახდენთ, მაშინ ყოფენ ცალკეული ინსტიტუტების მიხედვით, როგორცაა

---

<sup>74</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, გვ. 346.

<sup>75</sup> იქვე, გვ. 346.

<sup>76</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამომუშავებული და შესწორებული გამოცემა, თბილისი, სამართალი, 2007, გვ.307.

<sup>77</sup> სუსგ №ას-992-2020, 29 სექტემბერი, 2021.

<sup>78</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, გვ. 354.

სანივთო სარჩელები (ვინდიკაციური სარჩელები, ნეგატორული სარჩელები), ვალდებულებითი სარჩელები, სარჩელები ზიანის ანაზღაურების შესახებ, საალიმენტო სარჩელები და ა.შ. სარჩელების დაყოფა წარმოებს აგრეთვე სამართლის ცალკეული დარგების მიხედვით, როგორცაა სამოქალაქო, შრომის, სამეწარმეო, ადმინისტრაციული და ა.შ.<sup>79</sup>

სარჩელები სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში იყოფა რამდენიმე სახედ და მათი კლასიფიკაცია ხდება სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად, მაგალითად თუ მოსარჩელეს მოთხოვნა მდგომარეობს მოპოასუხისაგან რაიმეს მიღებაში, ანდა მისგან რაიმეს ცნობა/აღიარებაში, ან მოპასუხესთან გარკვეული სახის ურთიერთობის შეცვლაში ან შეწყვეტაში.<sup>80</sup><sup>81</sup>

ყველა სარჩელის მიზანს, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ წარმოადგენს და ეს მოსარჩელის სადავო ან დარღვეული უფლების/უფლებების დაცვაში მდგომარეობს ანუ მთავარი მიზანი სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებაა, რომლის შემდეგი პროცესი მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება უნდა იყოს. იმ შემთხვევაში თუ სარჩელი იქნა დაკმაყოფილებული და გამოტანილ იქნა მოსარჩელისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება, სასამართლო მოპასუხეს აკისრებს მოსარჩელის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების განხორციელების ან ამ მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების ვალდებულებას (მაგალითად, ზიანის ანაზღაურება, უკანონოდ დაუფლებული ნივთის დაბრუნება, იმ შემთხვევაში თუ კანონიერი მესაკუთრეა და ა.შ.).<sup>82</sup><sup>83</sup>

დოქტრინის მიზნის თანახმად, სარჩელის ძირითადი სახეებია შემდეგი სარჩელები: **მიკუთვნებითი სარჩელი, გარდაქმნითი სარჩელი და აღიარებითი სარჩელი.**

<sup>79</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2005, გვ.279.

<sup>80</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2005, გვ.280.

<sup>81</sup> მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), გვ.97

<sup>82</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, გვ. 354.

<sup>83</sup> მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), გვ.97

მიკუთვნებითი სარჩელისა და გარდაქმნითი სარჩელის, რომელთაც ხშირად აღსრულებად სარჩელებად მოიხსენიებენ, დამახასიათებელია ის, რომ მათზე რეალური და აღსრულებადი გადაწყვეტილებების მიღებაა შესაძლებელი, ხოლო აღიარებითი სარჩელის მიმართ კი, რომელიც ზემოთ ხსენებული სარჩელების მსგავსად ასევე სადავოდ ქცეული ან დარღვეული უფლების დაცვის საპროცესო მექანიზმს წარმოადგენს, განსხვავებული საკანონმდებლო დათქმები არსებობს.<sup>8485</sup>

მიკუთვნებითი სარჩელის დასაკმაყოფილებლად საკმარისი არაა მხოლოდ ის, რომ დადასტურებულ იქნას მხარეებს შორის ურთიერთობის არსებობა და აუცილებელია ამ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლების დარღვევის ფაქტის გამოვლენა.<sup>86</sup>

გამონაკლისის სახით არის განსაზღვრული (სსკ 181-ე მუხლი)<sup>87</sup> ისეთი შემთხვევა, რომლის დროსაც არსებობს სარჩელი ვალდებულებების მომავალში აღსრულების თაობაზე.<sup>88</sup> შესაძლოა სასარჩელო მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ იყოს დამდგარი, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელის უფლების დარღვევა არის სახეზე. ამ შემთხვევაშიც მოპასუხეს ეკისრება გარკვეული მოქმედების შესრულების ვალდებულება, მხოლოდ ისეთი აუცილებლობის შემთხვევაში, თუ არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლოა მოვალის მიერ თავიდან იქნას არიდებული ვალდებულების დროულად შესრულება (მაგ. სსკ-ის 367-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა). მიკუთვნებითი სარჩელების დაკმაყოფილება ასეთ პირობებში დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, ამ პირობების ზუსტად და უტყუარად დადასტურებისას.<sup>89</sup>

---

<sup>84</sup> სუსგ №ას-1297-2019, 31 იანვარი, 2020.

<sup>85</sup> მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), გვ. 97

<sup>86</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2005, 281.

<sup>87</sup> სსკ-ის 181-ე მუხლი, მიღებულია 14.11.1997 წ.

<sup>88</sup> მეფარიშვილის ქ., უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სამოქალაქო პროცესში, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(78), გვ. 95.

<sup>89</sup> იქვე, გვ. 282.

როგორც ზემოთ ვთქვით, მიკუთვნებით სარჩელებს ხშირად აღსრულებითი სარჩელის სახელით მოიხსენიებენ და ამის მიზეზი არის ის, რომ ასეთი სარჩელის დაკმაყოფილებისა და სასამართლოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, მის კანონიერ ძალაში შესვლისთანავე მოსარჩელეს უფლებამოსილია ამ გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებისა და სააღსრულებო ფურცლის გამოწერის მოთხოვნაში.<sup>90</sup>

სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამართლებრივი შედეგი დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე გამოხატავს განახორციელოს გარკვეული ქმედების განხორციელების ნებას, მაგრამ ასეთი ნების არარსებობის შემთხვევაში დგება იძულებითი აღსრულების გამოყენების საჭიროება.<sup>91/92</sup>

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უპირობოდ დიდი მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებშია ხაზგასმული, რომლებშიც განმარტებულია, რომ სასამართლოს წინაშე განსახილველად სარჩელის წარდგენის უფლება არა თეორიული, არამედ რეალური უფლებაა, რომელიც მხოლოდ უფლების აღიარების უზრუნველყოფას არ გულისხმობს და გადაწყვეტილების აღსრულების ლეგიტიმური მოლოდინის შემცველია.<sup>93</sup>

საერთო სასამართლოები სტრასბურგის სასამართლოს განმარტებების გავლენით აღნიშნავენ, რომ სამართლიანი განხილვის უფლებაში იგულისხმება ასევე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უფლებაც.<sup>94</sup> აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულება სასამართლო პროცესის განუყოფელ

---

<sup>90</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2005, გვ. 281.

<sup>91</sup> სუსგ №ა-1133-შ-29-2020, 6 ივლისი, 2020.

<sup>92</sup> მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), გვ. 97

<sup>93</sup> „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №40765/02; ასევე, Burdov v. Russia, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; Hornsby v. Greece, judgment of 19 March 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II, p. 510, §40 Hornsby; Mutishev and Others v. Bulgaria, 18967/03, §129, 3 December 2009; Antonetto v. Italy, no. 15918/89, §28, 20 July 2000).

<sup>94</sup> სუსგ №ა-65-შ-1-2021, 17 მარტი, 2021.



ნაწილად იქნას აღქმული, რაც ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებშიც მკაფიოდაა გადმოცემული.<sup>95</sup>

აღსრულებადად ცხადდება, როგორც წესი, მიკუთვნებითი გადაწყვეტილებები, რომლის დროსაც საჭიროა გარკვეული ვალდებულებების აღსრულება. ამის გამო, გადაწყვეტილებები, რომელთაც დამადასტურებელი და პროცესუალური ცვლილებების დამამტკიცებელი ფუნქციები გააჩნიათ, აღიარებითი გადაწყვეტილებები, მარტივად რომ ვთქვათ, არააღსრულებადია.<sup>96</sup>

**აღიარებით სარჩელი** შეიცავს მოსარჩელის მიერ სასამართლოს გზით მოპასუხესთან სადავო უფლების ანდა მატერიალური სამართალურთ-ერთობის არსებობა/არარსებობის ფაქტის აღიარების მოთხოვნას სასამართლოს მიერ. ასეთი **სარჩელი უფლებადამდგენ (დამდგენ) სარჩელადაც მოიხსენიება.**<sup>97/98</sup>

პრობლემურია აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის საკითხი.<sup>99/100</sup> „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით რეგულირებულ სამართლიანი სასამართლოს პრინციპზე მითითებით, სასამართლომ არაერთგზის მიუთითა, რომ მართლმსაჯულების განხორციელება ფორმალური ხასიათის მატარებელი კი არ უნდა იყოს, არამედ სამართალწარმოების მიზანს დარღვეული უფლების ეფექტური და რეალური დაცვა უნდა წარმოადგენდეს. სწორედ ამაში მდგომარეობს ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე ორიენტირება.<sup>101</sup>

სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით შეამოწმოს სარჩელის დასაშვებობა საქმის ნებისმიერ ეტაპზე, ისევე როგორც აღიარებითი სარჩელის

---

<sup>95</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის საქმე „მპს „იზა“ და მკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება, საჩივრის ნომერი 28537/02. §42.

<sup>96</sup> გაგუა ი., ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2017, გვ. 113.

<sup>97</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015, 356.

<sup>98</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2005, 283.

<sup>99</sup> ახალაძე მ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი (2016-2018 წლები, 2019 წლის პირველი ნახევარი), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2020, გვ. 228.

<sup>100</sup> სუს-ს გადაწყვეტილება 12 სექტემბერი, 2018, #ას-609-609-2018.

<sup>101</sup> სუსგ 16.06.2017, #ას-302-285-2017.

დასაშვებობა და მისი დასაბუთებულობის საკითხი, თუნდაც პროცესის მონაწილე მხარეს არ გააჩდეს პრეტენზია.<sup>102</sup> იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო საკასაციო პალატა სარჩელებს ტოვებს განუხილველად.<sup>103</sup>

**გარდაქმნითი სარჩელი** მიმართულია მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ანდა შეწყვეტისკენ. უმეტეს შემთხვევებში, მხარეების მიერ ხდება იურიდიული ურთიერთობის შეცვლა, გარდაქმნა ან შეწყვეტა სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მაგრამ ხშირია, ასევე, სასამართლოს ჩართულობაც. მაგალითად, განქორწინების პროცესი, მართალია, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებში ხდება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავის საგანი მისი შესრულება სასამართლოს ჩართულობის აუცილებლობას საჭიროებს (სსკ-ის 1123-ე მუხლი).<sup>104</sup>

სამართალში, მეცნიერების მიერ სარჩელის ერთ-ერთ პროცესუალურ სახედ არის გამოყოფილი **დერივაციული სარჩელი**, სხვაგვარად **ნაწარმოებ**, **ირიბ** სარჩელებსაც უწოდებენ.

დერივაციული სარჩელი, რომლის დროსაც საწარმოს წარმომადგენლის სახით პარტნიორი/აქციონერია,<sup>105</sup> რომელიც ასეთი სახის სარჩელის აღსაძვრელად გარკვეულ წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს: იმ შემთხვევაში, თუ პირს სურს დერივაციული სარჩელის აღძვრის უფლებამოსილების მოპოვება ის უნდა იყოს სპეციალური სუბიექტი, შპს-ს პარტნიორი ან სს-ს აქციონერი; უნდა შეეძლოს იმ ზიანის დასაბუთება, რომელიც კომპანიას მიადგა მესამე პირის ქმედების შედეგად; უნდა დაასაბუთოს რომ კომპანიას კანონით განსაზღვრული წესით მიმართა, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. ხოლო თუ მას არ მიუმართავს

---

<sup>102</sup> სუსგ 31 ივლისი, 2018, #ას-91-91-2018.

<sup>103</sup> სუს-ს გადაწყვეტილება, 26 მარტი, 2018, #ას-1071-991-2017. ასევე იხ. სუს-ს გადაწყვეტილებები: 12 სექტემბერი, 2018, #ას-609-609-2018, 16 ნოემბერი, 2018, #ას-955-2018.

<sup>104</sup> თოდუა მ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, (GIZ), 2020, გვ. 657.

<sup>105</sup> თოდუა მ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, (GIZ), 2020, გვ. 673.

კომპანიისთვის, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს რომ მსგავს მიმართვა შედეგის მომტანი არ იქნებოდა.<sup>106</sup>

ირიბ სარჩელზე მოსარჩელეა (იურიდიული პირი), რომლის დამფუძნებელი, აქციონერი იჭერს კანონიერი წარმომადგენლის პროცესუალურ სტატუსს.<sup>107</sup>

აღსანიშნავია რომ **სპეციალური მოსარჩელის** ცნება გაჩნდა კანონმდებლობაში. მაგალითად: იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო პროცესში შემოღებულია სპეციალური მოსარჩელის სტატუსი, რაშიც იგულისხმება, რომ დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებით საამისოდ შექმნილ ორგანიზაციებს შეუძლიათ დაიცვან შშმ პირების უფლებები და მათ შეიტანონ სარჩელი.<sup>108</sup> თუმცა აქ ბუნდოვანებას იწვევს ის გარემოება, ხომ არ შეეწინააღმდეგება ეს თავად ამ პირების უფლებებს, მათ ნამდვილ ინტერესებს. ვინაიდან ამ სახის სარჩელი არ ითხოვს შშმ პირების ნების გამოხატვას პროცესის წარმოებაზე.

## თავი II

### სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, როგორც სასამართლოს ეფექტიანობის განმსაზღვრელი ასპექტი

---

<sup>106</sup> იქვე, გვ. 673.

<sup>107</sup> Васильева Татьяна Андреевна, Косвенный иск в цивилистическом процессе: сравнительно-правовое исследование, 2019, 8.

<sup>108</sup> შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონი. მე-19 მუხლი.

## 2.1 უზრუნველყოფის ინსტიტუტი, როგორც საკუთრების უფლების დაცვისა და სამართლიანი სასამართლოს ელემენტი ევროსასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკაში

გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არ ვრცელდება წინასასამართლო პროცედურებზე, საინტერესოა, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საკუთრების დაცვასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებაში მოიაზრება თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტიც?! ერთ-ერთი საქმის განხილვის პროცესში ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მიერ,<sup>109</sup> ზემოაღნიშნული კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის უფლება სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ ელემენტად იქნა მიჩნეული.

შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ აღიარებულია, რომ მე-6 მუხლი სასამართლო აკრძალვის სამართალწარმოებას არ შეეხება.

ევროსასამართლოს მიერ არის განმარტებული მე-6 მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებადობა, რაც მდგომარეობს იმასი სასამართლო აკრძალვის პროცედურები და მათ სამართლიანობასთან დაკავშირებული სარჩელი სამართალწარმოების ერთი ნაწილია, რაშიც მიზეზის არსი მდგომარეობს და მათი ცალ-ცალკე განხილვა სწორი არაა. წინასასამართლო სამართალწარმოების მე-6 მუხლთან არათავსებადობის მიუხედავად კი, სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ დროებით ღონისძიებებთან და, ასევე სასამართლო აკრძალვის პროცესებთან მიმართებით მე-6 მუხლის გამოყენების შესახებ. აღნიშნული პოზიციის გაზიარება მოხდა, ასევე, ევროპის თანამეგობრობის სასამართლოს მხრიდანაც. იმ შემთხვევაში, თუკი მოსამართლის გადაწყვეტილება სასამართლო აკრძალვის თაობაზე ზედმეტად ხანგრძლივ დროში გაიწელა, ხდება მისი

---

<sup>109</sup> გადაწყვეტილება საქმეზე N123 (2009 წ. ოქტომბერი). (მიკალეფი მალტის წინააღმდეგ – 17056/06, გადაწყვეტილება 15.10.2009 [GC]).

გატოლება გადაწყვეტილებასთან სარჩელის არსებითი ნაწილის შესახებ. ხშირ შემთხვევაში, ორსავე (დროებით და ძირითად) სამართალწარმოების ფარგლებში ხდებოდა არა ერთიდაიგივე „სამოქალაქო უფლებების ან ვალდებულებების“ გადაწყვეტა მე-6 მუხლის ფარგლებში, რაც ერთნაირ ეფექტსა და შედეგს განაპირობებდა. გამომდინარე აქედან, სასამართლოს მიერ ასეთი მიდგომა გამართლებულად აღარ მიიჩნევა. ამასთან, სასამართლო ასევე ვერ გამოხატავს დარწმუნებულობას ასეთ სამართალწარმოებაში ნაკლოვანების უპირობოდ გამოსწორების თაობაზე, ვინაიდან ხანგრძლივი დროის პერიოდში მიღებულმა ნებისმიერმა ზიანმა, შესაძლოა შეუქცევადი ხასიათი შეიძინოს და გამოსწორების შანსებიც ბევრად ნაკლები დარჩეს და ეს შანსებიც მხოლოდ ფინანსური ანაზღაურების ხასიათისდა იყოს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ დადგინდა პრეცედენტულ სამართალში ცვლილებების შეტანის საჭიროება, რაც მდგომარეობს მე-6 მუხლის გამოყენებაში ისეთი საფრთხის ქვეშ არსებულ უფლებათა შემთხვევებში, როდესაც მას „სამოქალაქო უფლების“ მნიშვნელობა გააჩნია მე-6 მუხლის მიზნებში და დროებითი ღონისძიება არამხოლოდ ძირითად, არამედ აკრძალვის სამართალწარმოებაშიც, საფრთხის ქვეშ მყოფ სამოქალაქო უფლებად მიიჩნევა ან ვალდებულებათა ეფექტური განმარტებაა. აქედან გამომდინარე, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა რელევანტურად იქნა მიჩნეული.<sup>110</sup>

## **2.2. სარჩელის უზრუნველყოფის წესების გამოყენება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფისას**

მართალია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შემთხვევაში XXIII თავით დადგენილი წესები გამოიყენება, მაგრამ გარკვეული თავისებურებებიდან გამომდინარე, რასაც განაპირობებს თავად გადაწყვეტილების მიღების ფაქტი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის

---

<sup>110</sup>[https://hudoc.echr.coe.int/eng#f%22appno%22:\[%2217056/06%22\],%22itemid%22:\[%22001-121967%22\]](https://hudoc.echr.coe.int/eng#f%22appno%22:[%2217056/06%22],%22itemid%22:[%22001-121967%22])

დანაწესის სიტყვასიტყვით გამოყენება დაუშვებელია. რიგი წესებისა, რომლებსაც XXIII თავი შეიცავს, მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის შემთხვევაში მოქმედებს და არ გამოიყენება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ეტაპზე. მაგალითად, სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის წესი მხოლოდ საკუთრივ სარჩელის უზრუნველყოფის შემთხვევაში გამოიყენება. გადაწყვეტილების უზრუნველყოფისას აღარც იმის ეჭვი არსებობს, დაკმაყოფილდება თუ არა სარჩელი, ამიტომ სრული მოცულობით არ მოქმედებს სსსკ-ის 191-ე მუხლის დანაწესი. სარჩელის უზრუნველყოფა ემსახურება მხოლოდ მოსარჩელის უფლებების დაცვას. გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა კი კრედიტორის დაცვის მექანიზმია. სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენებით დასაშვებია იმ სარჩელთა უზრუნველყოფა, რომელზე გამოტანილი გადაწყვეტილებაც დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება.

### **2.2.1. ზოგადი დებულებები**

### **2.2.2. სარჩელის/ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების მნიშვნელობა და გამოყენების საფუძველი**

სამოქალაქო მატერიალურ-სამართლებრივი მექანიზმების ანალოგიურად, როგორებიც არის ანგარიშსწორება ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშის მეშვეობით, ანგარიშსწორება აკრედიტივის გზით,<sup>111</sup> რომლებიც სამოქალაქო ბრუნვაში ვალდებულების ურთიერთშესრულებას გარანტირებულს ხდიან, სასამართლო განხილვის ფარგლებში გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები წარმოადგენენ სამართლის სუბიექტების ინტერესების დაცვის საშუალებებს/მექანიზმებს.

სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს ვალდებულების უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალების გამოყენება შეუძლიათ, როგორებიც არის: თავდებობა,

---

<sup>111</sup> რომელიც ფართოდ გამოიყენება არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვარგარეთულ ურთიერთობებში - რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2014 წ., გვ. 330

გირავნობა და სხვა. სამოქალაქო სამართლის კვალდაკვალ, სამოქალაქო საპროცესო სამართალშიც არის შემოღებული სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფი ღონისძიებები, რომლებიც თავიანთი ბუნებით საჯარო-სამართლებრივი და იმპერატიული ხასიათისანი არიან, რამეთუ მათი გამოყენება ნებაყოფლობით კი არ ხორციელდება, როგორც ამას სამოქალაქო ბრუნვაში აქვს ადგილი, არამედ სასამართლო აქტის საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში გადაწყვეტილებების უზრუნველყოფის ინსტიტუტის უქონლობა რეალურად აღსრულებადი სასამართლო აქტების შემცირებას გამოიწვევდა, მოპასუხეს კი საქმის განხილვის გაჭიანურებისა და დავის საგნის გასხვისების (მესამე პირთათვის გადაცემის) სტიმულს მისცემდა და სხვა ნეგატიურ შედეგებსაც გამოიწვევდა.

როგორც გერმანულ დოქტრინაშია აღნიშნული, გადაუდებელი შემთხვევებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ყადაღას<sup>112</sup> და დროებით აკრძალვას, როგორც დროებითი დაცვის ღონისძიებებს. ყადაღის საშუალებით კრედიტორმა შესაძლოა უზრუნველყოს თავისი წვდომა მოვალის აქტივებზე.<sup>113</sup> ყადაღამ უნდა უზრუნველყოს შემდგომი იძულებითი აღსრულება. უზრუნველყოფა როგორც წესი ხორციელდება ყადაღის დადებით.<sup>114</sup>

გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების უმთავრეს და საბოლოო მიზანს მოსარჩელისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების თავიდან არიდება წარმოადგენს. სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლა არ განაპირობებს მის უპირობოდ აღსრულებას, არამედ ის, ასევე, დიდწილად, დამოკიდებულია მოვალის ნებაზე. იმ შემთხვევაში თუ ხდება გადაწყვეტილების უზრუნველყოფა, აღარ არსებობს კრედიტორის

---

<sup>112</sup> გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 916 და შემდგომი პარაგრაფები

<sup>113</sup> Zivilprozessrecht, Professor Dr. Christian Gomille, Universität des Saarlandes, 2020/2021, გვ. 276

<sup>114</sup> Zivilprozessrecht: Erkenntnisverfahren, [Arwed Blomeyer](#), Springer-Verlag GmbH Berlin Heidelberg, 1963, გვ. 658

დამოკიდებულება მოვალის კეთილსინდისიერ მოქმედებებთან მიმართებით. მოსარჩელის მიზანს წარმოადგენს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება და მოპასუხის მიერ მისი აღსრულება. აღსრულების გართულების ანდა ისეთი ზიანის დადგომის საფრთხის წარმოშობის, რომლის ანაზღაურება შეუძლებელი იქნება, მოლოდინის შემთხვევაში დგება აღსრულების უზრუნველსაყოფად გასატარებულ ღონისძიებათა გამოყენების საჭიროება.

საქართველოს სსკ-ის 191-ე, 198-ე და 271-ე მუხლების მიზანია სასამართლო აქტის აღსრულების გართულების ან შეუძლებლობის, აგრეთვე მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების დაუშვებლობა. შესაბამისად, ეს ნორმები წარმოადგენენ სასამართლო გადაწყვეტილებათა რეალურად აღსრულების სამართლებრივ გარანტიას.

სსსკ 191-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფად საჭირო ღონისძიებების გატარების მიზანს დავის საგნის დაცვა წარმოადგენს, რაც გულისხმობს იმას, რომ არ იყოს შესაძლებელი მოვალის მხრიდან დავის საგნის განკარგვა.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტში იგულისხმება სასამართლოს მიერ ისეთი ღონისძიებების მიღება/გამოყენება, რომლებიც სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ სასარჩელო მოთხოვნების განხორციელების გარანტიებს უზრუნველყოფს.

განხილული ღონისძიების მთავარ მიზანს წარმოადგენს, მისი საშუალებით მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა, ისეთი ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, როდესაც ღონისძიებების განუხორციელებლობით მოსალოდნელია სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილათა აღსრულების გართულება და მოპასუხის მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოქმედების შედეგად მოსარჩელის დაზარალება.

შესაძლებელია როგორც პირვანდელი, ისე შეგებებული სარჩელის უზრუნველყოფა. იქიდან გამომდინარე, რომ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული უზრუნველყოფის



შესახებ საკითხის დროულად გადაწყვეტაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ნორმას, რომლის თანახმადაც, საქმის მომზადების მიზნით მოსამართლის მიერ შესრულებულ სხვა მოქმედებებთან ერთად, მოსამართლეს უფლება აქვს გადაწყვიტოს ასევე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საკითხი (203-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “ზ” პუნქტი). სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფა შესაძლებელია როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, თუ ასეთი ღონისძიება არ ყოფილა მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ინსტიტუტი გამოიყენება გამოტანილი, მაგრამ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიმართ. დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი არ გამოიყენება.

### **2.2.3. განცხადება, როგორც სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი**

თუ სარჩელის უზრუნველყოფას საფუძვლად ედება სავარაუდო ფაქტები, რომ სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს, გადაწყვეტილების უზრუნველყოფა ასეთ ვარაუდს აღარ ეფუძნება, რადგან სარჩელი უკვე დაკმაყოფილებულია. ისეთ გარემოებათა არსებობის ალბათობის შემთხვევაში, რომლის დროსაც უზრუნველყოფის განუხორციელებლობისას მხარეს აქვს დავის საგნის განკარგვის შესაძლებლობა, გადაიწონება მისი არარსებობის ვარაუდი, უფრო კონკრეტულად, ვარაუდს იმის თაობაზე, რომ მოპასუხის მიერ არ მოხდება სადავო საგნის გასხვისება.<sup>115</sup> აღნიშნული ფაქტები აისახება განცხადებაში. განცხადებაში იგულისხმება, როგორც ცალკე დოკუმენტის სახით შეტანილი განცხადება, ისე სარჩელში უზრუნველყოფისას მასში ასახული შუამდგომლობა. კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების

---

<sup>115</sup> მ. ცქიტიშვილი, სარჩელის პრობლემა სამოქალაქო პროცესში (სადოქტორო დისერტაცია), გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბ., 2021 წ.

გამოყენების შესახებ თხოვნა მოსარჩელემ შეიძლება ჩამოაყალიბოს ან თვითონ სარჩელში, ან სარჩელის შეტანისას და კანცელარიაში დაფიქსირებისას ცალკე განცხადება დაურთოს სარჩელს და სარჩელთან ერთად შეიტანოს სასამართლოში, ან ამის შესახებ საქმის განხილვის დროს შეიტანოს განცხადება, ასევე მიმართოს სასამართლოს ცალკე განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, სარჩელის აღძვრამდე.

სსკ-ის 191-ე მუხლში დადგენილია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძვლები, 198-ე მუხლში კი - უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებები. განცხადებაში, რომელიც შედგენაც ხდება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე საჭიროა: 1. იმ გარემოებების მითითება, რომლებმაც შესაძლოა გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, ანდა ზიანს მიაყენებს მოსარჩელეს და 2. მოსარჩელის მხრიდან შესაბამისი დასაბუთება, მისი მხრიდან მოთხოვნილი კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების აუცილებლობის თაობაზე (სსსკ, მუხლი 191). სასამართლოს მხრიდან ისეთი დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში, რომლის თანახმადაც შესაძლებელია გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელება ან შეუძლებლობა იმ პირობებში, თუ არ დააკმაყოფილებს უზრუნველყოფის ღონისძიების შუამდგომლობას, იგი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და დააკმაყოფილებს მოსარჩელის შუამდგომლობას.

სასამართლო მოთხოვნის შინაარსისა და მისი ხასიათიდან გამომდინარეობს, რომ იგია უფლებამოსილი გადაწყვიტოს, ამა თუ იმ შემთხვევაში რა სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაა საჭირო. შესაბამისად, მოსარჩელის ვალდებულებაა მის მიერ შედგენილ (სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ) განცხადებაში არა მარტო განმარტოს იმ ღონისძიების სახე, რომლის გამოყენების უფლების მოპოვებაც სურს მას, არამედ ასევე დაასაბუთოს აღნიშნული ღონისძიების განხორციელების აუცილებლობაც.

რაც შეეხება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განცხადების განხილვის ვადას, აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის განმხილველი სასამართლო (193-ე მუხლი) ერთ სამუშაოდ დღეში, მოპასუხის ინფორმირების გარეშე. თუ უზრუნველყოფა სასამართლო სხდომაზე ხდება, მაშინ საქმის ყველა მონაწილეს, მათ შორის მოპასუხესაც შეუძლია მისცეს ახსნა-განმარტება.

#### **2.2.4. აღსრულების გაძნელება, როგორც გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი**

სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ, სამწუხაროდ ხშირად ხდება, რომ სასამართლოები ვერ ახორციელებენ კანონის მოთხოვნის დაცვას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ არ წარმოიქმნას სირთულეების სასამართლო გადაწყვეტის აღსრულებაში და ასეთი შემთხვევები, განსაკუთრებით ხშირი და გამოკვეთილია ყადაღის ინსტიტუტის გამოყენების დროს.

ყადაღის გამოყენებისას, მოპასუხეს (ან ნებისმიერ იმ პირს, რომელთანაც მდებარეობს დავის საგანი) სასამართლოს მიერ ეკრძალება მოპასუხის კუთვნილი ქონების (ფულადი სახსრების თუ მატერიალური საგნის) განკარგვა ნებისმიერი საფუძველით, იმისდა მიუხედავად თუ რა მიზეზით არის აღნიშნული საგანი მის მფლობელობაში მოცემულ მომენტში, ანუ მას არ აქვს უფლება გაყიდოს, გაცვალოს, გააჩუქოს, გაქრიავოს, იჯარით გასცეს და ა.შ. აღნიშნული ქონება. ამავდროულად, ყადაღის დადების შემთხვევაში, მესაკუთრეს უნარცუნდება სადავო ქონებით სარგებლობის უფლება, თუმცა მხოლოდ იმ პირობით, თუ არ არსებობს ამ ქონების დაზიანების, განადგურებისა და მისი ღირებულების შემცირების საფრთხეები. აღნიშნულის შესახებ, გვინდა გამოვთქვათ, ჩვენი კრიტიკული მოსაზრება ყადაღის ინსტიტუტთან მიმართებით, რაც, ჩვენი აზრით, სასამართლო პრაქტიკაში არსებულ არასწორ მიდგომას უკავშირდება: კერძოდ, სასამართლო პრაქტიკაში ხშირად არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მიერ ყადაღის მოთხოვნის შესახებ შეტანილი განცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, რის საფუძველზეც მოპასუხე კარგავს ნივთის გასხვისებისა და იპოთეკით

დატვირთვის უფლებას.<sup>116</sup> მიგვაჩნია, რომ ასეთი მიდგომა ყადაღის არსის არასწორი გაგებით არის გამოწვეული. ყადაღის არსი მდგომარეობის ნივთის განკარგვის აკრძალვაში. განკარგვა კი არ ნიშნავს გასხვისებას, მასში გაცილებით ფართო ცნება იგულისხმება და განკარგვა უფრო ფართე ცნებაა და მოიცავს გასხვისების ყველა სახეს, მათ შორის უფლებრივ დატვირთვასაც.<sup>117</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს ნაწილობრივ აკმაყოფილებს სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებას და მოპასუხისათვის ყადაღის დაკისრების ნაცვლად, იღებს მისთვის ქონების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვის გადაწყვეტილებას, მოპასუხეს რჩება აღიშნული ქონების იჯარით ან ქირავნობით გაცემის უფლება. შედეგად, მოსარჩელე მხარის მოგებისა და მისთვის სადავო ქონების მიკუთვნების შემთხვევაში რთულდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ღონისძიებების განხორციელება, რასაც მოცემული მონეტისათვის სადავო ქონების იმ მომენტისათვის სხვა პირის მიერ სხვადასხვა სახის დროებით სარგებლობაში არსებობა განაპირობებს. ამიტომ თუკი დავის / სარჩელის საგანი და უზრუნველყოფის საგანი ერთმანეთს ემთხვევა, ანუ თუ მოთხოვნილია ქონების ნატურით მიკუთვნება, სასამართლოებმა აუცილებლად ყადაღა უნდა გამოიყენონ, რითაც გამოირიცხება აღსრულების გაძნელება დაყადაღებული ქონების მიმართ.

#### **2.2.5. აღსრულების შეუძლებლობა, როგორც გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი**

სწორედ იმიტომ ითხოვს მოსარჩელე სარჩელის უზრუნველყოფას, რომ არ მოხდეს მოპასუხის მიმართვა მარეგისტრირებელი ორგანოსადმი და ქონების/დავის საგნის გასხვისება დავის დასრულებამდე. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აშკარაა საქმიის მომგებიანობა, თუ მოსარჩელე წინასწარ არ მიიღებს შესაბამის ზომებს იზრუნებს სარჩელის უზრუნველყოფისათვის, შესაძლებელია, მაინც იმედგაცრუებული დარჩეს, ვინაიდან, შესაძლებელია აღმოჩნდეს

<sup>116</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/34416-22; თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის განჩინება საქმეზე №2/183-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/36434-22

<sup>117</sup> თ. შოთაძე, სანივთო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, 2014 წელი, გვ. 121

ისეთი ფაქტის პირისპირ, როდესაც სადავო ქონება მისთვის კანონიერად გადაცემის უფლების მოპოვების მომენტისათვის უკვე სხვა პირის მფლობელობაში იყოს.<sup>118</sup> თუკი არაკეთილსინდისიერი მოპასუხე მიმართავს შესაბამის ორგანოს და გაასხვისებს უზრუნველყოფის საგანს, ასეთ ვითარებაში, მართლმსაჯულების აქტი, მისი მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანის შემთხვევაში, ფორმალურ აქტად გადაიქცევა, რადგან ვერ აღსრულდება. აღსრულება, როგორც ეს სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით არის დადგენილი, სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელიც ნაგულისხმევია ევრო კონვენციის მე-6 მუხლში. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ მიუთითა, რომ უფლებათა და თავისუფლებათა სასამართლო წესით დაცვის უფლება ილუზორული (არარეალური) იქნებოდა, თუკი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა სავალდებულოდ აღსასრულებელი აქტის აღსრულებლობას დაუშვებდა ერთ-ერთი მხარის საზიანოდ. ევროპის სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითა, რომ ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, უნდა მივიჩნიოთ „სამართლიანი სასამართლოს უფლების“ ხელშეუვალ და განუყოფელ ნაწილად.<sup>119</sup> უზრუნველყოფის გარეშე შესაძლოა დავას ჰქონდეს აზრი, რამეთუ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ხშირად არის დავის საგნის ნატურის სახით შენარჩუნება და მიკუთვნება.

სსსკ 191-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, რა შესაძლო შედეგი შეიძლება მოჰყვეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობას და შესაბამისად, რატომ გახდება შეუძლებელი ან რატომ გაძნელებულია გადაწყვეტილების აღსრულება. მხოლოდ აღნიშნული საკითხის

---

<sup>118</sup> შ. ქურდამე, საპროცესო მოქმედების შესრულების თავისებურება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2010 წ., გვ. 218

<sup>119</sup> ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს 1997 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება HORNSBY v. GREECE (ნომერი 18357/91); აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ.

გარკვევის შემდეგ არის უფლებამოსილი სასამართლო, დადებითად გადაწყვიტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი.

## **2.2.6. ზიანის მიყენების საფრთხე, როგორც გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი**

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოცემული საფუძველი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში აისახა საკანონმდებლო ნოვაციის სახით, კერძოდ, 2016 წლის 24 ივნისის კანონით შესული დამატების შედეგად. სამწუხაროდ, იმთავითვე არასწორად იქნა გაგებული აღნიშნული საკანონმდებლო სიახლის არსი.<sup>120</sup>

არასწორი მიდგომის განმაპირობებელი არის ნორმათა არასრულყოფილება. კერძოდ, არასწორია სსსკ-ის 191-ე მუხლის ფორმულირება, რომლის თანახმადაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველია ისეთ ზიანის მიყენების საფრთხე, რომელიც კომპესირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ნორმაში აქცენტი უნდა კეთდებოდეს არა ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე, არამედ იმაზე, რომ ერთი მხრივ, ზიანის თანხის მოპასუხისთვის დაკისრება ყოველთვის როდი შეიძლება შედიოდეს მოსარჩელის ინტერესში, კერძოდ მაშინ, როდესაც მოსარჩელის ინტერესი ქონების ნატურით მიკუთვნებაში მდგომარეობს, მეორე მხრივ, დაკისრებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს და აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ზიანს საკომპენსაციო ხასიათი აქვს, მაგრამ კანონი გულისხმობს ვიწრო მნიშვნელობით დავის საგნის დაკარგვის საფრთხეს და არა ფულადი ზიანის მიყენების საფრთხეს, ვინაიდან ფულში გამოხატულ ნებისმიერ ზიანს ექნება საკომპენსაციო მნიშვნელობა.

სამომავლო სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობაა მისი გამოყენების გადაუდებელი აუცილებლობა. 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინებაში საქმეზე №2/1510263-16 უზრუნველყოფაზე უარის თქმის პირველ

---

<sup>120</sup> მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე N2/1510263-16

არგუმენტად სასამართლომ მიუთითა სარჩელის უზრუნველსაყოფად გადაუდებელი აუცილებლობის არარსებობაზე. სასამართლოს აზრით, გადაუდებელ აუცილებლობას ადგილი ექნებოდა მაგალითად იმ შემთხვევაში, თუკი წარმოდგენილი მასალებით გამოიკვეთებოდა, რომ სავარაუდო მოპასუხეებმა უძრავი ქონების გასხვისებისათვის მიმართეს შესაბამის ორგანოს.

არასწორია სასამართლოს სამდურავი მოსარჩელისადმი, რომლის მიხედვითაც მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა, რა გარემოებაზე დაყრდნობით უნდა მიიჩნიოს სასამართლომ მოსარჩელის მიერ მითითებულის სისწორე (იგულისხმება იმ გარემოების სისწორე, რომ ქონება იყიდება). ავლნიშნავთ, რომ სავარაუდო ფაქტები, რაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ედება საფუძვლად, უზრუნველყოფის ინსტიტუტის ნორმების არსიდან გამომდინარე, არ საჭიროებენ მტკიცებას.

სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის სწრაფად განხილვა აუცილებელია, რამეთუ თავიდან იქნას არიდებული მოპასუხის მიერ სადავო ქონების გაყიდვა, გადამალვა, გაფუჭება, განადგურება და ა.შ. აქედან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შეტანა სასამართლოში საქმის აღძვრამდეც არის შესაძლებელი (ვფიქრობთ, უპრიანიც). აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლი, რაც ადასტურებს იმას, რომ ქართულ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში გათვალისწინებულია სარჩელის უზრუნველყოფა ჯერ არ აღძრულ საქმეზეც კი.

შედარებისათვის, დროებითი სამართლებრივი დაცვა მოცემულია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §916 და შემდგომ პარაგრაფებში. დროებითი სამართლებრივი დაცვა ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის გარანტიის გამოხატულებაა.<sup>121</sup>

---

<sup>121</sup> Zivilprozessrecht, [Irmgard Gleußner](#), Müller Jur.Vlg.C.F., 2018, გვ. 235

უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება მარტოდენ უკვე აღძრული საქმის ფარგლებში რომ იყოს დასაშვები, მოპასუხეს მეტი შესაძლებლობა ექნებოდა გვერდზე გაეცურებინა კუთვნილი ქონება, გადაემალა ქონება და ფული, აეცილებინა გადახდევინების საფრთხე სარჩელის თუ პრეტენზიის მიღებისთანავე. მითუმეტეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილი არაკეთილსინდისიერი მხარისათვის ერთგვარ წამახალისებელ დანაწესსაც კი შეიცავს. სხვაგვარად რომ ითქვას, თავისთავად სარჩელის აღძვრა და სასამართლოს მიერ მისი წარმოებაში მიღება, არ აბრკოლებს სამოქალაქო ბრუნვას.

წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია იმ მოთხოვნის უზრუნველყოფა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და გაფორმებული სარჩელის სახით, არ არის აღძრული სასამართლოში, მაგრამ გარკვეული ვადის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება სარჩელის სახით.

თუმცა, სსსკ-ის 192-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში წარმოიშობა სამომავლო სარჩელის შეგებებული უზრუნველყოფის გამოყენების საკითხი. მოცემული ნორმის არსი, ერთი შეხედვით, გულისხმობს სარჩელის შემხვედრი უზრუნველყოფის შესაძლებლობას (არ გამორიცხავს ამგვარ შესაძლებლობას)<sup>122</sup> და იმავდროულად, სასამართლოს არ ავალდებულებს გადაწყვიტოს შემხვედრი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი. თუმცა, პრაქტიკულად სწორად უნდა განხორციელდეს შემხვედრი უზრუნველყოფა. საქმე იმაშია, რომ სამომავლო სარჩელის უზრუნველყოფისას გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება ისედაც უქმდება სარჩელის აღძვრელობის შემთხვევაში, რაც თითქოსდა სასამართლოს უბიძგებს იმისკენ, რომ დაელოდოს სარჩელის აღძვრას და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს შემხვედრი უზრუნველყოფის მოსარჩელისათვის დაწესების საკითხი. თუმცა, ამგვარი მიდგომა

---

<sup>122</sup> მითუმეტეს სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია მოპასუხისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, მათ შორის, სსსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში უზრუნველყოფის გაუქმებისას.



გაუმართლებელი იქნება. საქმე ის არის, რომ არაკეთილსინდისიერ მოსარჩელეს შეუძლია საქმე გააჭიანუროს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრებით, რა დროსაც უზრუნველყოფა მოპასუხის საზიანოდ შენარჩუნებულად ითვლება, მანამდე, ვიდრე უზრუნველყოფის გაუქმების განჩინება ძალაში არ შევა. ამასთან დაკავშირებით მართებული არ არის ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც მხოლოდ სარჩელის მიღებას უკავშირდება მოდავე მხარეთა მიერ შესაბამისი სტატუსის (მოსარჩელის ან მოპასუხის სტატუსის შექმნა)<sup>123</sup>.

არაკეთილსინდისიერ მოსარჩელეს შეუძლია შეგნებულად ისეთი სარჩელიც აღძრას, რომელსაც არ მიიღებს სასამართლო და გაასაჩივროს სარჩელის მიუღებლობის განჩინება, რა დროსაც აგრეთვე ძალაში რჩება უზრუნველყოფის ღონისძიება და ა.შ.

ამიტომ სასამართლომ ეფექტიანად უნდა გამოიყენოს შემხვედრი უზრუნველყოფის ინსტიტუტი სარჩელის აღძვრამდე სტადიაზე. შედარებისათვის, საქართველოს კონსტიტუციისაგან განსხვავებით, გერმანიის კონსტიტუცია საკუთრივ სასამართლოზე უფლებას (სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას) პირდაპირი წესით არ განამტკიცებს (განმტკიცებულია მხოლოდ სასამართლო მომენის უფლება)<sup>124</sup>, მაგრამ დოქტრინაზე დაყრდნობით გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა გამოკვეთს მთელ რიგ კონსტიტუციურ-სამართლებრივ უფლებას. კერძოდ: სასამართლოზე უფლებას/ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას ანუ მოთხოვნას (Anspruch auf gerichtsschutz); უფლების სასამართლო წესით დაცვის მოთხოვნას (Anspruch auf justizgewährung); აგრეთვე ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უფლებას (Anspruch auf effektiven Rechtsschutz). ნაშრომის მიზანი არ არის აღნიშნული კატეგორიების განმასხვავებელ ნიშნებზე

---

<sup>123</sup> შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, გვ. 408

<sup>124</sup> გერმანიის კონსტიტუციის 103-ე მუხლი

მსჯელობა. თუმცა კვლევის საგანთან მიმართებით საინტერესოა ეფექტიანი სამართლიანი დაცვის უფლებაზე გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციით დადგენილი პირთა უფლებების სასამართლო წესით დაცვის უფლება ეფექტიანად უნდა განხორციელდეს, რაც ნიშნავს სახელმწიფოს ვალდებულებას, დარღვეული უფლება სრულად, ეფექტიანად და შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში აღადგინოს. მოცემულ უფლებით თანაბრად სარგებლობს როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე. ეს უფლება არსებობს არა მარტო პროცესის მიმდინარეობის დროს, არამედ პროცესის აღძვრამდეც.<sup>125</sup>

### **2.2.7. გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შესახებ მიღებული განჩინების აღსრულების წესი**

იმ შემთხვევაში, როცა საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიების გამოყენება და გამოიტანს შესაბამის განჩინებას, ის უნდა აღსრულდეს. აღსრულება არ ნიშნავს უთუოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის (აღმასრულებელი) ჩართულობას, აღმასრულებლისადმი მიმართვას. აღნიშნული განჩინება უნდა აღსრულდეს სსსკ-ის 195-ე მუხლით დადგენილი წესით, რაც ნიშნავს იმას, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების ხასიათისდა მიხედვით, შესაძლოა მისი აღსრულება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, რასაც მოსარჩელე უზრუნველყოფს და რასაც არ ესაჭიროება სააღსრულებო ფურცლის გაცემა ან აღმასრულებლისადმი მიმართვის გზით.

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაში აუცილებელია კონკრეტულად მიეთითოს სასამართლოს მიერ შერჩეული უზრუნველყოფის ღონისძიება (194-ე მუხლი).

სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება, ე.ი. მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, სასამართლოს

---

<sup>125</sup> BVerfG 2002 - 02 - 27, Der Anspruch auf effektiven Rechtsschutz nach der Art, 19 IV GG

გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით (195-ე მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ განჩინების გამოტანის შემდეგ ამ განჩინების იძულებით აღსრულების აუცილებლობის შემთხვევაში აღმასრულებელს მოსარჩელემ უნდა წარუდგინოს განჩინება და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად, რაც საერთო წესით ხორციელდება.

იმ შემთხვევაში, როცა უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება მოპასუხის ისეთ ქონებაზე, რომელზე უფლების წარმოშობასაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სჭირდება სახელმწიფო რეგისტრაცია, მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ განჩინება და სააღსრულებო ფურცელი (ანდაც მარტოოდენ განჩინება) ნებაყოფლობით აღსრულების მიზნით მოსარჩელის მიერ წარედგინება შესაბამის მარეგისტრირებელ სახელმწიფო ორგანოს, რათა მოპასუხემ ვეღარ გაასხვისოს აღნიშნული ქონება ან სხვაგვარად არ გამოვიდეს ეს ქონება მისი მფლობელობიდან, სარგებლობიდან და განკარგვიდან (მისი საკუთრებიდან). კერძოდ, თუ ყადაღა დაედო უძრავ ქონებას, რომელიც საკუთრების უფლებით ეკუთვნის მოპასუხეს.

ყადაღის დადების განჩინების და სააღსრულებო ფურცლის მიღების დროს ამ დაწესებულებამ საჯარო რეესტრში უნდა შეიტანოს ჩანაწერი შესაბამის უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების შეზღუდვის შესახებ. ვიდრე არ გაუქმდება უზრუნველყოფის ღონისძიება, საჯარო რეესტრს უფლება არ აქვს განახორციელოს მოცემულ ქონებასთან დაკავშირებით დადებული გარიგების რეგისტრაცია. ამით გარანტირებული ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ამ ყადაღადადებული ქონების ხარჯზე.

#### **2.2.8. სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შესახებ მიღებული განჩინების გასაჩივრების თავისებურება**

სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებზე გამოტანილი ყველა განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს. საჩივრის შეტანა არ წარმოადგენს უზრუნველყოფის

შესახებ განჩინების აღსრულების შემაჩერებელ ფაქტორს, ვინაიდან აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების დაუყოვნებლივად აღსრულება, მის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტამდე კი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ისეთი შემთხვევა, თუკი სასამართლო გამოიტანს სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ანდა სარჩელის უზრუნველყოფის ერთის სახის ღონისძიების მეორეთი ჩანაცვლების შესახებ განჩინებას და ასეთ დროს საჩივრის შეტანის საფუძვლით ხდება აღსრულების პროცესის შეჩერებაც (სსსკ, მუხლი 197, ნაწილი 2), რაც ნიშნავს იმას, რომ საჩივრის გადაწყვეტამდე იმოქმედებს სასამართლოს მიერ ადრე მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება (თავდაპირველად მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები მოქმედებს მანამდე, ვიდრე სასამართლო უცვლელად არ დატოვებს ახალ განჩინებას). 197-ე მუხლით დადგენილი აღნიშნული წესის არსებობა ნაკარნახევია მხარეთა ინტერესების დაცვით, იმდენად, რამდენადაც სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის ღონისძიების მეორე სახით ჩანაცვლების განჩინებით წარმოიშვება მხარეთა ინტერესების დაზარალება.

სარჩელის უზრუნველყოფის სახის შეცვლის შესახებ განჩინების ძალაში შესვლის მომენტიდან, თავდაპირველი განჩინება კარგავს ძალას და აღსრულდება ახალი განჩინება.

საქართველოს სსკ-ის თანახმად (მუხლი 194), მოპასუხე უფლებამოსილია გაასაჩივროს სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილი განჩინება, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) სარჩელის უზრუნველყოფაზე გამოტანილი განჩინების ზუსტი დასახელება; ბ) თუ რა ზომით სურს განჩინების გაუქმება ან რა სახის ცვლილებების შეტანას მოითხოვს; გ) გარემოებები, რომელთაც მიიჩნევს განჩინების გაუქმების ან შეცვლის საფუძვლად.

განჩინების გასაჩივრების ვადაა 5 სამუშაო დღე, რომლის ათვლაც იწყება მოპასუხისთვის განჩინების პირადად გადაცემის მომენტისთანავე და მისი გახანგრძლივება დაუშვებელია. ამასთან, მართალია, საჩივრის შეტანა არ

წარმოადგენს უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულების შეჩერების მყარ საფუძველს, მაგრამ სასამართლო არის უფლებამოსილი აღსრულების გარკვეული ვადით შეჩერებაზე ანდა უკვე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებაზე. ასევე შესაძლებელია სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების დაუკმაყოფილებლობის განჩინების გასაჩივრებაც. უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოსათვის იმავე საგანზე და იგივე საფუძველით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში ხდება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების მიღება, რაც საჩივრდება საჩივრით (სსსკ, მუხლი 194, ნაწილი 5).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 197-ე მუხლში, ასევე 194-ე მუხლში საუბარია სარჩელის უზრუნველყოფის, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების და სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორე სახის ღონისძიებით ჩანაცვლების შესახებ გამოტანილი განჩინებების გასაჩივრების წესზე. მაგრამ სსსკ-ის XXIII-ე თავის დანაწესები არ განსაზღვრავენ სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების წესს. თუმცა დაუშვებელია დაინტერესებულ პირს წაერთვას ამგვარი განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა. დასახელებული განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კონსტიტუციის 31-ე მუხლის საფუძველზე და 197-ე მუხლის ანალოგიით (იხ. სსსკ-ის მე-7 მუხლი). კანონი შემთხვევით როდი უშვებს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებზე მიღებული ყველა განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას, რამეთუ ისინი შეეხება მხარეთა არსებით მატერიალურ ინტერესებს. თითოეულმა მათგანმა შეიძლება ზარალი განიცადოს არადროული ან სასამართლოს არამართლობიერი მოქმედებისაგან სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში.

### თავი III

#### მოპასუხის უფლებები გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას

#### 3.1. პროპორციულობის დაცვის ვალდებულება გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას

უნდა აღნიშნოს, რომ სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება ხდება არამხოლოდ საქმის არსებითად განხილვის მომენტამდე, არამედ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც. აქედან გამომდინარე, ყოველთვის არსებობს რისკი იმისა, რომ მოპასუხეს მიადგეს გარკვეული ზარალი, სარჩელისა და უზრუნველსაყოფი ღონისძიებების დაუსაბუთებლობის გამო. აღნიშნული გარემოება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სასამართლოს მიერ, მისი ვალდებულებაა მოსარჩელის მოთხოვნების თანაზომადი უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოიყენება, მით უმეტეს, რომ მათი შერჩევას იგი არაა შეზღუდული განმცხადებლის მიერ წაყენებული მოთხოვნის რაიმე ფარგლებით. სასამართლოს ვალდებულებაა სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი სახის ღონისძიების შერჩევა, რომელიც მოპასუხისათვის ზიანის მომტანი არ იქნება. მაგალითად, სასამართლო უფლებამოსილია დააყადაღოს არა მთელი ქონება, მოსარჩელის მოთხოვნის თანახმად, არამედ აღნიშნული ქონების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც თავისი ღირებულებით შეესაბამება სარჩელის ფასს, ოღონდ ეს არ გულისხმობს უზრუნველყოფის საგნის და სარჩელის საგნის თანაბრობას.<sup>126</sup>

უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება პროპორციულობის ანუ თანაზომადობის პრინციპის დაცვით სსსკ-ის 196<sup>1</sup>-ე მუხლის მოთხოვნაა, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფის თავს დაემატა. ცალკეულ შემთხვევაში, აღნიშნული ნორმის დანაწესი არასწორად იქნა გაგებული სასამართლო პრაქტიკაში. საქმეზე №2/1510263-16 უზრუნველყოფის გამოუყენებლობის ერთ-ერთ არგუმენტად თბილისის საქალაქო სასამართლომ თავის განჩინებაში აღნიშნა სამომავლო სარჩელის ფასის მიუთითებლობა, განმცხადებლის მიერ ექსპერტის დასკვნის წარუდგენლობა, რაც სასამართლოს აზრით მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის მოცულობის და დასაყადაღებელი ქონების ღირებულების ერთმანეთთან ადეკვატურობის დადგენისთვის არის საჭირო. ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესში ყურადღება მახვილდება არა

---

<sup>126</sup> მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღუდველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), 97

ადეკვატურობაზე, არამედ უზრუნველყოფის საგნისა და სარჩელის ფასის ერთმანეთთან არსებითად შეუსაბამობაზე, თანაც იმ შემთხვევის გარდა, როცა მოპასუხე ერთადერთი ნივთის მესაკუთრეა. უზრუნველყოფის გამოუყენებლობის შემდეგი არგუმენტი სასამართლოს აზრით, არის ის, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია ქონების ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი და ასევე მტკიცებულება, უზრუნველსაყოფი ქონება წარმოადგენს თუ არა მოპასუხის ერთადერთ ნივთს. სასამართლოს ეს მსჯელობაც არ გამომდინარეობს კანონიდან და არც ცხოვრებისეული ლოგიკიდან. სასამართლოს სასარჩელო მოთხოვნაც კი არ გაუთვალისწინებია. კერძოდ, სასამართლოს მიერ მოხმობილი 194-ე და 285-ე მუხლების მოთხოვნები შეეხება თავად სასამართლოს და არა განმცხადებელს. რაც შეეხება 196<sup>1</sup>-ე მუხლს, სასამართლომ ისე გამოიყენა ეს მუხლი, რომ მისი გამოყენების კანონისმიერი წინაპირობა ხელთ არ ჰქონია. სახელდობრ, 196<sup>1</sup>-ე მუხლი შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც დავის საგანი არის თანხის მიკუთვნება, ფულადი ვალდებულება. ამ ლოგიკას გვკარნახობს ნორმის შეზღუდვითი განმარტება. ასეთ საქმეებზე სარჩელის ფასიც მოთხოვნილი თანხის მიხედვით განისაზღვრება და სწორედ ამიტომ მოითხოვს კანონი დასაყადაღებელი ქონების ღირებულების და სარჩელის ფასის ერთმანეთთან გონივრულ შესაბამისობაში ყოფნას. ე.ი. 196<sup>1</sup>-ე მუხლი აშკარად გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც დავის საგანი დასაყადაღებელი ნივთი კი არ არის, არამედ ფულადი თანხა, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებით. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა თავად დასაყადაღებელი ქონება და მაშასადამე, უზრუნველყოფის ღონისძიებაც მიმართული უნდა ყოფილიყო ნატურის სახით მისაკუთვნებელი ქონების დაცვისაკენ. სწორედ ამიტომ არის არასწორი სასამართლოს შემდეგი ფრაზაც: „მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის ფასის მითითება“.

მოსარჩელის მოთხოვნის გათვალისწინებით არც იმის ვალდებულება აქვს მხარეს, სასამართლოს წინაშე ამტკიცოს, არის თუ არა დასაყადაღებელი ნივთი

მოპასუხის ერთადერთი ნივთი, რადგან განცხადებაში აღნიშნული უზრუნველყოფის გამოყენება მიმართულია არა ცალკე არსებული სხვა მოთხოვნის უზრუნველყოფისაკენ, არამედ დასაყადებელი ქონება თავად წარმოადგენს დავის საგანს. მაშასადამე, თანაზომადობის საკითხი არ შეიძლება დაისვას მაშინ, როდესაც უზრუნველყოფის საგანი ემთხვევა სარჩელის საგანს.

როდესაც სასამართლოს მიერ ხდება მოპასუხის კუთვნილ ფულად სახსრებზე ან სხვა სახის ქონებაზე ყადაღის დადების გადაწყვეტილების მიღება, მის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნას რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების თანაზომადობა მოსარჩელის მოთხოვნასთან მიმართებით. შესაბამისად, საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხების ან მოპასუხის ანაზრების დაყადაღებისას ხდება ხდება სარჩელის ფასის ოდენობის გათვალისწინება ანუ სარჩელის თანხის ოდენობაზე მეტ თანხებზე საბანკო ოპერაციების განხორციელება ჩვეულებრივი წესით რჩება შესაძლებელი. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ მოპასუხეს არ გააჩნია ფულადი სახსრები ან საქმე ეხება არა ფულად, არამედ სხვა სახის მატერიალურ სადავო საგანს - ხდება მხოლოდ სარჩელის თანაზომადი ღირებულების ქონების დაყადაღება. ყადაღის დადების მოთხოვნის შესახებ საქმის აღსაძვრელად, მოსარჩელის მიერ დასაბუთებული უნდა იქნას სადავო ქონების მოპასუხის საკუთრებაში მფლობელობა და, ამასთანავე აუცილებელია გადაწყვეტილების აღსრულების შემაფერხებელ გარემოებათა არსებობის დასაბუთებაც.<sup>127</sup>

გადაწყვეტილების აღსრულების მიზნის მისაღწევად, სასამართლომ, დავისა და მასში მონაწილე მხარეთა სპეციფიურობის გათვალისწინებით, უნდა

---

<sup>127</sup> მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), 97



გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა სახის საპროცესოსამართლებრივი საშუალება.<sup>128129</sup>

განვიხილოთ ერთ-ერთი საქმის მაგალითი: მოსარჩელის მოთხოვნა მდგომარეობდა მოპასუხეს, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, აკრძალვოდა მის მიერ წარმოებული მზა პროდუქციის რეალიზაცია. უზენაესი სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, არსებობდა რისკები იმისა, რომ მოპასუხეს მიდგომოდა აუნაზღაურებელი ზიანი, რაც დასაბუთდა შემდეგით: საქმის განხილვის ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაგრძელების პირობებში, მოპასუხისათვის მის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის უფლების ჩამორთმევის გამო ვეღარ შეძლებდა გადასახადების გადახდას, რის შედეგადაც მოუწევდა წარმოების შეწყვეტა. ამასთან სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ იქნა მოპასუხის მიერ სხვა საწარმოებთან გაფორებული ხელშეკრულებებისა და მათ წინაშე ვალდებულებების არსებობაც, რაც უპირობოდ გაზრდიდა მის დავალიანებათა ოდენობას.<sup>130131</sup> ყოველივე ეს კი, წინააღმდეგობაში მოვიდოდა საქართველოს სსკ-ის 198-ე მუხლის პირველ ნაწილთან, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს ისეთი ღონისძიებების შერჩევას, რომელთა შედეგადაც მოპასუხეს შესაძლოა გადამეტებული ზიანი მიადგეს.

### **3.2. მოსალოდნელი ზარალის მოპასუხისათვის ანაზღაურების უზრუნველყოფა**

იმ მხარის მიერ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარეშე, რომლის სასარგებლოდაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება, შეუძლებელია უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ან სარჩელის

---

<sup>128</sup> მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), 97

<sup>129</sup> ზ. ძლიერიშვილი, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, სამართლის ჟურნალი №1, 2018 წ. გვ. 12

<sup>130</sup> მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), 97

<sup>131</sup>

დაკმაყოფილების შესახებ უარის თქმის შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ყოველთვის არსებობს მაშინ, როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიება არ აღმოჩნდება გამართლებული.<sup>132</sup> იგივე შეიძლება ითქვას გადაწყვეტილების უზრუნველყოფის გაუმართლებლობაზეც. მოპასუხის ინტერესების დაცვა ხდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ხდება სარჩელის უზრუნველყოფის გადაწყვეტილების მიღება. ეს გამოიხატება იმაში, რომ აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნას მოპასუხისადმი ზიანის მიყენების თავიდან აცილება და თუკი ეს ვერ მოხერხდა და მაინც დადგა მოპასუხისათვის ზარალის მიყენების ფაქტი, უნდა განხორციელდეს მისი ანაზღაურება, იმ შემთხვევაში თუ სასამართლო გააუქმებს გადაწყვეტილებას ანდა უარს იტყვის სარჩელის განხილვაზე.<sup>133</sup>

სასამართლომ, უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტის პროცესში მხედველობაში უნდა იქონიოს მეორე მხარის ინტერესებისადმი ზიანის მიყენების რისკების არსებობა. აქედან გამომდინარე, ხაზგასასმელია, რომ როგორც სარჩელის, ასევე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტა ხდება საქმეში მონაწილე მხარეთა უფლებების და მათი ინტერესების აუცილებლად გათვალისწინების შესაბამისად. სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების წესი განსაზღვრულია საქართველოს სსკ-ში, რომლის 199-ე მუხლი განმარტავს, რომ სასამართლოს გააჩნია როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უფლებამოსილება, ასევე მოსარჩელისაგან (რომლის მხრიდანაც იქნა მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფა) მოითხოვოს მეორე მხარისთვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება. ეს განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული მომენტისათვის ჯერ გაურკვეველია საქმის სამომავლო

---

<sup>132</sup> ჰაინრიხ შნიტგერი, გაუმართლებელი უზრუნველყოფის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, 2020 წელი, გვ. 13

<sup>133</sup> მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), 97

პერსპექტივა და ჯერ არ არის დასაბუთებული მოსარჩელის მოთხოვნა. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა წარმოადგენს სასამართლოს ვალდებულებას, არამედ მის უფლებას. ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გადაწყვეტილებას სასამართლო თავად იღებს მოპასუხისათვის ზარალის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, თუმცა სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი ასევე შესაძლებელია იყოს მოპასუხე მხარის განცხადებაც აღნიშნულის მოთხოვნის თაობაზე.<sup>134</sup>

ასე რომ, სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთნაირად იცავს მოსარჩელისა და მოპასუხის ინტერესებს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელისათვის უარის თქმის ან მისი გაუქმების (სსსკ, მუხლი 192, ნაწილი 2) შემთხვევაში, მოპასუხე უფლებამოსილია მოსარჩელისგან მოითხოვოს იმ ზარალის ანაზღაურება, რაც მას მიადგა სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების შედეგად (მუხლი 199, ნაწილი 3). თავის მხრივ, სასამართლოც არის უფლებამოსილი მოსარჩელისაგან მოითხოვოს მისი სარჩელის საფუძველზე მეორე მხარისთვის იმ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება, რაც, სავარაუდოდ, შესაძლოა მიადგეს მოპასუხეს. აღნიშნულ უფლებას სასამართლო იყენებს 199-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პარალელურად. სასამართლოს მიერ ამ უფლებამოსლების გამოყენებლობის შემთხვევაში, კი მისი მოთხოვნის უფლებამოსილება, როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, აქვს თავად მოპასუხესაც. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ორივე შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შუამდგომლობა დაკმაყოფილდება მხოლოდ მოსარჩელის მიერ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობათა სავარაუდოდ არარსებობის ვარაუდის არსებობის პირობებში. ამრიგად,

---

<sup>134</sup> მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), 97

ზარალის ანაზღაურების (ანაზღაურების უზრუნველყოფის) განხორციელება შესაძლებელია, როგორც სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის თანადროულად, ასევე მის შემდგომაც.<sup>135</sup>

საქართველოს სსკ-ის 199-ე მუხლის შინაარსის თანამხად, სასამართლოს იმპერატიულად არ მოეთხოვება პირისათვის, რომლის სასარგებლოდაც გამოტანილია გადაწყვეტილება, მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნის გადაწყვეტილების მიღება.

რაც შეეხება შეგებებულ უზრუნველყოფის ღონისძიებებს, მათი გამოყენებისას საჭიროა ზოგიერთი საკითხის გათვალისწინება.

პირველ რიგში, საყურადღებოა იმ პირის კეთილსინდისიერების საკითხი, ვის სასარგებლოდაც ხორციელდება უზრუნველყოფა. კერძოდ, არსებობს შემთხვევები, როდესაც შემხვედრი უზრუნველყოფის თანხის ოდენობა მოსარჩელისთვის, მისი აქტივების თვალსაზრისით, უმნიშვნელოც კი იყოს, მოპასუხისთვის კი, აღნიშნულის თანხის ოდენობა სავსებით არსებითი მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდეს (განსაკუთრებით თუ იგი მეწარმე ან სამეურნეო სუბიექტს წარმოადგენს). ასეთ შემთხვევაში, მით უმეტეს, თუკი მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის ფულადი სახსრების დაყადაღებაში მდგომარეობს, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით, შესაძლებელია, მოპასუხის საქმიანობის პარალიზების გამოწვევა. არის შემთხვევები, როდესაც უზრუნველყოფის მომთხოვნი პირის მოტივაციას არაკეთილსინდისიერი კონკურენცია წარმოადგენს და ამ გზით იგი ბაზარზე მონოპოლიის მოპოვებას და კონკურენტების გზიდან ჩამოშორებას ცდილობს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საყურადღებოა გავარკვიოთ რამდენად არის სასამართლო ვალდებული უზრუნველყოფის ღონისძიების უპირობოდ გამოყენებაზე

---

<sup>135</sup> მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათელმსაჯულება და კანონი, N2(79), 97

სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მომთხოვნი პირის მიერ შეგებებული უზრუნველყოფის არსებობის პირობებში? <sup>136</sup>

აღნიშნული კითხვის დასმის რელევანტურობა განპირობებულია იმით, რომ 199-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის დანაწესიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ორი გზით, ესენია: სასამართლოს ინიციატივა ან მოპასუხის შუამდგომლობა. რეალურად, არ არის გამორიცხული მოსარჩელე თავადვე იყოს წინასწარი უზრუნველყოფის წარდგენის ინიციატორი, თუმცა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მოსარჩელებს მხრიდან ასეთ შემთხვევებს ადგილი პრაქტიკულად არ აქვს, ასეთი ინტერესის არარსებობის გამო, რადგან ამას თავად სასამართლოები ახორციელებენ. საქართველოს სსკ-ისა და სასამართლო პრაქტიკის<sup>137</sup> გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე უარის თქმა შესაძლებელია, უზრუნველყოფის შუამდგომლობის აღმძვრელი პირის შეგებებული უზრუნველყოფის წარდგენის შემთხვევაშიც. ანუ უზრუნველყოფის შუამდგომლობის აღმძვრელს აქვს შესაძლებლობა, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, თავად იყოს მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მომთხოვნის ინიციატორი. მაშასადამე, შეგებებული უზრუნველყოფის გამოყენება დაშვებულია არამხოლოდ სასამართლოს ინიციატივის არსებობის, არამედ მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობითაც, უზრუნველყოფის მომთხოვნის მიერ შეგებებული უზრუნველყოფის წინასწარ წარდგენით.<sup>138</sup>

---

<sup>136</sup> მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), 97

<sup>137</sup> სასამართლო პრაქტიკაში ყოველთვის არის ხაზგასმული, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება ზღუდავს მოპასუხის უფლებებს, რისთვისაც საჭიროა მოპასუხისთვის ზარალის მიტენების თავიდან აცილება.

<sup>138</sup> მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), 97

ზემოაღნიშნულის უკეთ გასაანალიზებლად, გადავხედოთ სხვა ქვეყნების კანონმდებლობების შესაბამის მუხლებს. ამ მხრივ საყურადღებოა რუსეთის საარბიტრაჟო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლი, რომლის მე-4 ნაწილი დაუშვებლად მიიჩნევს უარის თქმას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობის აღმძვრელის მიერ შეგებებული უზრუნველყოფის წარდგენის შემთხვევაში. ქართული კანონმდებლობის მიხედვით კი ზემო აღნიშნული შემთხვევა არ წარმოადგენს სასამართლოს იმ ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველს, რომლის თანახმადაც აუცილებლად უნდა გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, რაც, ვფიქრობთ, რუსული მიდგომისაგან განსხვავებით გაცილებით პროგრესულ მიდგომას წარმოადგენს. აქ მნიშვნელოვანი არის ის, რომ ზემოთ ხსენებული შემთხვევების პირობებში მოსარჩელის მიზანს წარმოადგენს ბაზარზე მონოპოლიის მოპოვების არაკეთილსინდისიერი განზრახვა. ასეთ პირობებში იგი აბსოლუტურად დაცულია ყოველგვარი ზიანის მიღებისაგან, სასამართლოს ასეთი სახის ვალდებულებით კი, ამ შემთხვევაში ხდება კეთილსინდისიერი მოპასუხის დაზარალება, რაც შესაძლოა, მის მისი გაკოტრების მიზეზიც კი გახდეს. ზემოთ განხილულ შემთხვევაში მხედველობაში გვქონდა რუსული კანონმდებლობა, ხოლო რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, სასამართლოს ასეთი სახის ვალდებულებისაგან გათავისუფლება მას აძლევს მეტი არჩევანის შესაძლებლობას იმისათვის, რომ შეუზღუდავად უზრუნველყოს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღკეთილსინდისიერებისა და მხარეთა ინტერესების ბალანსირების პრინციპის შესაბამისად.

გერმანული დოქტრინის თანახმად, პროცესებში არაკეთილსინდისიერების ფაქტები, რაც სარჩელის ან ნებისმიერი სხვა საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენებაში მდგომარეობს, ფიქსირდება უფლებით აღჭურვილი პირის მიერ დასახული მიზნების კანონით მინიჭებული უფლების (სამოქალაქო

პროცესის მიზნების შესაბამებამის) მიზნებთან შეუსაბამობის პირობებში.<sup>139</sup> ზუსტად იგივეს მოიაზრებს ქართული იურიდიული ლიტერატურაც.<sup>140</sup> შედარების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისევე როგორც ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გერმანულშიც არ არსებობს ზოგადი ნორმები, რომლითაც განისაზღვრება საპროცესო უფლება-მოვალეობათა კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულებები. ამის თაობაზე, დოქტრინაში გაჟღერებულია მოსაზრება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე პარაგრაფის გერმანიის საპროცესო სამართალში ანალოგიით გამოყენების საჭიროების შესახებ.<sup>141142</sup> უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დებულება არ არის მართებული, თუნდაც იმ თეზის თანახმად, რომ კეთილსინდისიერად მოქმედების პრინციპი ზოგადსამართლებრივ პრინციპს წარმოადგენს და მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში იგი პირდაპირ არაა ნახსენები, მისი 34-ე მუხლი, ფაქტობრივად, სწორედ ამ პრინციპის განმტკიცებას ემსახურება.<sup>143</sup> ეს, განსაკუთრებულად და უმნიშვნელოვანესად მიჩნეული პრინციპი არის მართლწესრიგისა და, მათ შორის სამოქალაქო საპროცესო სამართლის, უმთავრესი საფუძველი და, შესაბამისად, დარგთაშორისი ანალოგიის წესებით მის გამოყენებას დაუშვებლად მივიჩნევთ.<sup>144</sup> გერმანიის უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, პირის მიერ მისი საპროცესო უფლების ბოტორად გამოყენების მთავარი მანიშნებელი ზიანის მიყენების განზრახვაა, ასეთად მიიჩნევა შემთხვევები, რომლის დროსაც პირი საკუთარ საპროცესო უფლებებს იყენებს ყოველგვარი მიზნის გარეშე ანდა უღირსი მიზნის

---

<sup>139</sup>Baumgärtel G. Treu und Glauben, gute Sitten und Schikaneverbot im Erkenntnisverfahren, ZZP. 1956, გვ. 101; Konzen H. Rechtsverhältnisse zwischen Prozeßparteien, Duncker&Humblot, Berlin, 1976, გვ. 270

<sup>140</sup>კ. საყვარელიძე, მხარეთა უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება სამოქალაქო პროცესში, დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბ., 2021

<sup>141</sup>მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), 97

<sup>142</sup>Stickelbrock B. Inhalt und Grenzen richterlichen Ermessens im Zivilprozess, Köln, 2002, გვ. 280

<sup>143</sup>ნ. ხუნაშვილი, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2016, გვ. 43

<sup>144</sup>Baumgärtel G., დასახ. ნაშრ., გვ. 181

მიწვევისათვის.<sup>145</sup> ასევე, საპროცესო შიკანის აშკარა გამოვლინებად არის მიჩნეული გერმანულ დოქტრინაში ვინმესთვის ზიანის მიყენების მოტივაციით აღძრული სარჩელები.<sup>146</sup>

ასევე საინტერესოა შემხვედრი უზრუნველყოფის გამოყენების საკითხი აღიარებით სარჩელთა განხილვის პროცესში. საქართველოს სსკ-ში ნებისმიერი სახის სარჩელის შემხვედრი უზრუნველყოფის შესაძლებლობაა გათვალისწინებული და ეს იმითაა განპირობებული, რომ მასში არ არის მოაზრებული უზრუნველყოფის შესაძლებლობის დაკავსირება სარჩელის სახესთან.<sup>147</sup> თუკი მიკუთვნებით სარჩელზე გამართლებულად და გონივრულად მივიჩნევთ სარჩელის შემხვედრი უზრუნველყოფას, სრულ სიცხადეც ვერ აღმოვაჩენთ იმაში, რომ აღიარებითი სარჩელის შემთხვევაშიც არის საჭირო შემხვედრი უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ აღიარებით სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება არ არის დაქვემდებარებული იძულებით აღსრულებაზე (არ წარმოადგენს აღსრულების ქვემდებარე აქტს)<sup>148</sup>, ეს მაინც ცალკე განხილვის საგანია. საპროცესო ლიტერატურაში არსებულ სწორ დებულებებში აღიარებითი სარჩელის უზრუნველყოფა დასაშვებად არის მიჩნეული.

ამრიგად, დასაშვებად არის მიჩნეული არამხოლოდ მიკუთვნებითი, არამედ აღიარებითი სარჩელის უზრუნველყოფაც. იმისათვის კი, რომ გავარკვიოთ რამდენად არის შესაძლებელი შემხვედრი უზრუნველყოფის გამოყენება აღიარებითი სარჩელის არსებობის პირობებში, აუცილებელია თითოეული კონკრეტული შემთხვევა განვილულ იქნას ინდივიდუალური

<sup>145</sup> BGH Beschluss 9.07.2007, II 95/06, <https://openjur.de/u/77182.html>

<sup>146</sup> Zeiss W. Schadensersatzpflichten aus prozessualen Verhalten, NJW, 1967, გვ. 708

<sup>147</sup> ლიტერატურაში ძირითადად გამოყოფენ ორი სახის სარჩელს - აღიარებით და მიკუთვნებით სარჩელებს (იხ. შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015 წ. გვ. 354), თუმცა ლიტერატურასა და სასაზღვრო პროექტებში გვხვდება მესამე სახის - გარდაქმნითი სარჩელიც, იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბ., 2005 წ., გვ. 285; თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2007 წ., გვ. 310; უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება (2016 წ. 17 მარტი), საქმეზე Nას-121-117-2016

<sup>148</sup> შ. ქურდაძე, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველო კანონის კომენტარი, ნაწილი I, გამომცემლობა „დანი“, თბ., 2018 წ., გვ. 15



თავისებურებისა და სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით. მაგ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების აუცილებლობის დადგომა შესაძლებელია საავტორო უფლების აღიარებისათვის აღძრული სარჩელის შემთხვევაში, რომლის დროსაც არსებობს უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა, როგორცაა მოპასუხისთვის გარკვეული მოქმედების განხორციელების, თუნდაც ლიტერატურული ნაწარმოების გამოქვეყნების საქმის წარმოების დასრულებამდე აკრძალვის შესაძლებლობა. ამრიგად, ასეთი სახის საქმეზე არის შესაძლებელი იქნეს აღიარებითი სარჩელის შემხვედრი უზრუნველყოფის დასაშვებობა.

მესამე აქტუალური საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ არის შემთხვევები, როდესაც წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიებათა მექანიზმის ამოქმედების პროცესში ვაწყდებით შემხვედრი უზრუნველყოფის გამოყენების პრობლემას. აღნიშნული პრობლემა განვიხილეთ როდესაც ვსაუბრობდით ჯერ არააღძრული სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე.

ცალკე განხილვას მოითხოვს მოსარჩელის ინტერესების შემხვედრი უზრუნველყოფის შესახებ დანაწესი, რომელიც ხორციელდება მოპასუხის მიერ შემხვედრი უზრუნველყოფის წამოყენების გზით (სსსკ-ის 196-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ეს საკითხი გამოკვლეულია ნაშრომში.

## თავი IV

### სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიებები

#### 4.1. ყადაღის არსი და ქონებაზე დადების საფუძველი

ქონებაზე ყადაღის დადება შესაძლებელია ორ შემთხვევაში: სარჩელის უზრუნველსაყოფად (სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი გამოიყენება გამოტანილი, მაგრამ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიმართაც) და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისას.<sup>149</sup> სააღსრულებო კანონმდებლობა განასხვავებს ყადაღის ორ სახეს: ა) ყადაღას, როგორც იძულებითი აღსრულების დამოუკიდებელ ღონისძიებას, რომელიც გამოიყენება მხოლოდდამხოლოდ ქონების დაყადაღების შესახებ სასამართლო აქტის აღსასრულებლად (საქართველოს კანონი, მუხლი 17, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“) და ბ) მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებას, ქონებრივი გადასახდელის შესახებ მოთხოვნის შემცველი სააღსრულებო დოკუმენტის უზრუნველყოფის მიზნით.<sup>150</sup>

მოთხოვნების, როგორც ქონებრივი უფლებების (არამატერიალური ქონებრივი სიკეთე) დაყადაღება ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის X თავით დადგენილი წესით.

საკუთრივ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არ არის დიფერენცირებული ყადაღის არსი. თუმცა, საბოლოო ანგარიშით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრება ყადაღის იურიდიული ბუნება.

მხედველობაშია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლი და 63<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელთა შესაბამისადაც განსაზღვრულია ქონებაზე ყადაღის დადებისათვის დამახასიათებელი მოქმედებები. კერძოდ, მოძრავ და უძრავ ქონების დაყადაღებაში იგულისხმება მოვალის ქონების აღწერა, მესაკუთრისთვის ქონების განკარგვის (რაც

<sup>149</sup> შ. ქურდაძე, გ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, სამოქალაქო სააღსრულებო სამართალი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ., 2017, გვ. 110-111

<sup>150</sup> შ. ქურდაძე, გ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, ზ. ჭყონია, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწ. I, გამომცემლობა „დანი“, თბ., 2018, გვ. 142-143

შეიძლება განხორციელდეს მისი გასხვისებით, დაგირავებით, მასზე ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულების დადებით და ა.შ.) აკრძალვა ან ქონების გადაცემა შენახვის მიზნით.

მართებულად არის აღნიშნული ლიტერატურაში, რომ სააღსრულებო კანონმდებლობა სხვა არაფერია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა.<sup>151</sup>

მოცემული სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მეშვეობით, სასამართლოს მიერ მოპასუხეს ან იმ პირს, რომელთანაც იმ მომენტისთვის არის განთავსებული მოპასუხის ქონება (ასეთის გარემოების შემთხვევაში), სარჩელის განხილვის დასრულებამდე ქონების განკარგვის უფლება აღნიშნულზე დაწვრილებით გვექონდა საუბარი წინა თავში.

ყადაღის, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსი, მისი ცნება, უნდა განისაზღვროს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის დანაწესების გათვალისწინებით. კერძოდ, ყადაღა არის ქონების როგორც გასხვისების, ისე უფლებრივად ნებისმიერი სახით დატვირთვის აკრძალვა, მაშასადამე, ქონების განკარგვის აკრძალვა. განკარგვის აკრძალვა გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ქონებით სარგებლობის აკრძალვასაც.

იმავედროულად შესაძლებელია სასამართლოსადმი მიმართვა სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის (რომელიც უკვე მიღებული აქვს სასამართლოს) მეორით შეცვლის თაობაზე. მაგალითად, მოპასუხეს (მოვალეს) უფლება აქვს სასამართლოს წინაშე დააყენოს ფულადი თანხის გადახდევინების მოთხოვნის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიების, როგორც არის მის ქონებაზე ყადაღის დადება, სასამართლოს ანგარიშზე მოსარჩელის (კრედიტორის) მიერ მოთხოვნილი თანხის შეტანით შეცვლის საკითხი (სსსკ, მუხლი 196, ნაწილი 3).

ყადაღის დადების განჩინების და სააღსრულებო ფურცლის მიღების დროს ამ დაწესებულებამ საჯარო რეესტრში უნდა შეიტანოს ჩანაწერი შესაბამის უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების შეზღუდვის

---

<sup>151</sup> შ. ქურდაძე, გ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, ზ. ჭყონია, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I, 1-ლი მუხლის ავტორი - შალვა ქურდაძე, გამომცემლობა „დანი“, თბ., 2018, გვ. 22

შესახებ. ვიდრე არ გაუქმდება უზრუნველყოფის ღონისძიება, საჯარო რეესტრს უფლება არ ექნება განახორციელოს მოცემულ ქონებასთან დაკავშირებით დადებული გარიგების რეგისტრაცია. ამით გარანტირებული ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ამ ყადაღადადებული ქონების ხარჯზე.

მაშასადამე, ყადაღის არსი მდგომარეობს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მოპასუხის შეზღუდვაში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემა: ყადაღა მხოლოდ კერძოსამართლებრივ შეზღუდვას უნდა ნიშნავდეს, თუ საჯარო სამართლებრივი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს. მაგალითად, საინტერესოა ყადაღის დადებით, უნდა შეიზღუდოს თუ არა უძრავ ქონებაზე სხვადასხვა სახის სამშენებლო ნებართვის გაცემა? ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ განჩინებით დადგენილი აკრძალვა არ გულისხმობდა მოცემულ მიწის ნაკვეთზე მდგომი შენობა-ნაგებობის დემონტაჟის (დაშლა-დანგრევის) აკრძალვას<sup>152</sup>. აღნიშნული განმარტება არ არის მართებული. როგორც შენობის აგების, ისე დემონტაჟის ნების დართვით შესაძლოა გაუარესდეს ნივთის ღირებულება, შეილახოს უზრუნველყოფის ღონისძიებით დაინტერესებული პირის უფლებებიც. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა გამორიცხავდეს საჯარო-სამართლებრივი ხასიათის მოქმედებებსაც (ნებართვის გაცემა და სხვა).

ქონებაზე ყადაღის დადება, თავისი არსით, უფლებაშემზღუდავი ღონისძიებაა, რომელიც გავლენას ახდენს ერთ-ერთ კონსტიტუციურ უფლებაზე - საკუთრების უფლებაზე. ამასთან, კონსტიტუციით გარანტირებული არცერთი უფლება არ შეიძლება აკრძალოს ან გააუქმოს ან შეზღუდოს სახელმწიფომ შეზღუდვის საფუძვლის მითითების გარეშე.<sup>153</sup> საქართველოს კონსტიტუცია (34-ე და 71-ე მუხლები) უფლების ან

<sup>152</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება საქმეზე N2/24198-21 (2021 წ. 11 თებერვალი).

<sup>153</sup> კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ჯისიაი“, თბ., 2008, გვ. 169-185

თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და მხოლოდ იმ ზომით, რაც აუცილებელია კონსტიტუციური წყობილების, ზნეობის, ჯანმრთელობის, სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. კონსტიტუციის 34-ე მუხლში ხაზგასმით არის მითითებული ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვის იმ კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობასთან შესაბამისობის აიცულებლობა, რომლის მიღწევაც არის იგი გამიზნული.

კონსტიტუციური დანაწესები, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს ზღუდავენ, მათ შორის, სასამართლოს ზღუდავენ იმ აზრით, რომ დაუშვებელია სახელმწიფო ხელისუფლებამ გამოიჩინოს თვითნებობა, გაუმართლებლად შეზღუდოს ვინმეს უფლება. აკრძალულია უფლების ბოროტად გამოყენება. უფლების შეზღუდვა არ უნდა იყოს გადაჭარბებული, კონკრეტული სიტუაციის შეუსაბამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქონებაზე ყადაღის დადება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ აუცილებლობის გამო, ე.ი. ისეთი კონკრეტული ვითარების არსებობისას, როდესაც სწორედ ყადაღის გამოუყენებლობა საფრთხეს უქმნის გადაწყვეტილების აღსრულებას. აღნიშნულს კი მაშინ ექნება ადგილი, როდესაც აღსრულების ეტაპზე ქონება აღარ იქნება საკმარისი, ან საერთოდ აღარ იარსებებს, როგორც მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება (გადამალავენ, გაასხვისებენ, დაიკარგება, დაზიანდება), ან შემცირდება ქონების ღირებულება.

ყადაღის ცნების შინაარსი უნდა განვასხვავოთ ქართულ და გერმანულ სამართალში. გერმანულ სამართალში ყადაღა ეწოდება უფლების წინასწარი დაცვის ერთ-ერთ ღონისძიებას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი კი ყადაღის დადების ტერმინით აღნიშნავს იძულებითი აღსრულების ღონისძიებას. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 916-ე

მუხლის შესაბამისად,<sup>154</sup> ყადაღის დადება ხორციელდება მოძრავ ან უძრავ ქონებაზე იძულებითი აღსრულების უზრუნველსაყოფად, როდესაც წამოყენებულია ფულადი მოთხოვნა, ან ისეთი მოთხოვნა, რომელიც შეიძლება გადაიქცეს ფულად მოთხოვნად. მაგალითად, მყიდველის მოთხოვნა ნასყიდობის საგნის გადაცემაზე შეიძლება გარდაიქმნას ზიანის ანაზღაურების თაობაზე ფულად მოთხოვნად, თუკი ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი განადგურდება და ვეღარ მიეწოდება მყიდველს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 918-ე მუხლი ითვალისწინებს არა მხოლოდ ქონების, არამედ მოვალის დაყადაღებასაც, რომლის ფუნქციაც აგრეთვე არის ფულადი მოთხოვნების იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფა. ამასთან, მოვალის დაყადაღება ქონების დაყადაღებასთან მიმართებით არის სუბსიდიური წესი, ვინაიდან აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უკიდურეს შეზღუდვას, რომლის გამოყენებაც მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ქონების დაყადაღება არასაკმარისად უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას. მაგალითად, როდესაც მოვალე მალავს თავის ქონებას ან თავს არიდებს თავისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ სასამართლოსათვის ჩვენების მიცემას ფიცის დადებით<sup>155</sup>.

ქონების დაყადაღებისაგან განსხვავებით ყადაღის მოვალის მიმართ გამოყენებისას სასამართლომ ყოველთვის უნდა აწონ-დაწონოს მხარეთა ინტერესები. თანაზომადობის შემოწმებისას სასამართლომ უნდა შეაფასოს განმცხადებლის სამართლებრივი მდგომარეობა (საკუთრება, უფლების ეფექტიანი დაცვის უფლება) და მოვალის სამართლებრივი მდგომარეობა (თავისუფლების უფლება).<sup>156</sup>

---

<sup>154</sup> Zivilprozessordnung Deutschlands - <https://dejure.org/gesetze/ZPO>

<sup>155</sup> Schuschke / Walker / Kessen / Thole, Vollstreckung und Vorläufiger Rechtsschutz. Kommentar, Köln, 7. Auflage, Carl Heymanns Verlag, 1999, 918 მუხლის ავტორები - Schuschke W., Walker W.

<sup>156</sup> OLG Karlsruhe//NJW-RR. 14.11.1997. 10 U 169/97, გვ. 450 - <https://dejure.org/dienste/vernetzung/rechtsprechung?Gericht=OLG%20Karlsruhe&Datum=14.11.1997&AktENZEICHEN=10%20U%20169%20F97>

მოვალის დაყადაღების არსი გერმანულ სამართალში მდგომარეობს შემდგომ მოქმედებებში: მოვალის დაპატიმრება ან მისი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა, როგორც არის მაგალითად, შესაბამის ორგანოში რეგულარული გამოცხადების ვალდებულება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის აკრძალვა.<sup>157</sup>

სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობის შედარების ანალიზისას გერმანულ ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრება, რომლის თანახმადაც მოვალის დაყადაღების წესი გასაუქმებელია როგორც თანამედროვე სამოქალაქო პროცესისადმი შეუსაბამო ინსტიტუტი, მითუმეტეს მოცემული ღონისძიება იშვიათად გამოიყენება პრაქტიკაში.<sup>158</sup>

#### **4.1.1. გადაწყვეტილების/სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქონებაზე ყადაღის დადების საფუძველი და პირობები**

საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული იმ ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად, რომლებიც ადამიანის უფლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს, დაუშვებელია თავისუფლების, პირის ხელშეუხებლობისა და საკუთრების ხელშეუხებლობის დამრღვევ მოქმედებათა თვითნებურად განხორციელება.

ასეთი სახის თვითნებობისგან თავდაცვის უმთავრესი გარანტს წარმოადგენს კონსტიტუციის მე-7 მუხლის დანაწესი, რომლის შესაბამისადაც, ადამიანის უფლებათა და საპროცესო კანონმდებლობებია სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობა. საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-8 მუხლში განმარტებულია, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. ამავე, მე-7 მუხლშია მოცემული საკანონმდებლო აქტების სახეები, რომლებიც არაფრით

<sup>157</sup> Teplitzky O., Arrest und einstweilige Verfügung, JuS 1980/12, გვ. 882-886.

<sup>158</sup> Morbach B., Einstweiliger Rechtsschutz in Zivilsachen: eine rechtsvergleichende Untersuchung. Frankfurt am Main, 1988, გვ. 317 - <https://www.booklooker.de/B%C3%BCcher/Bertram-Verfasser-Morbach+Einstweiliger-Rechtsschutz-in-Zivilsachen-Eine-rechtsvergleichende/id/A02o5xpL01ZZ7?zid=0k96oo3e9t0qonkol88g71scku>

ჩამოუვარდება პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს. ზემოაღნიშნული დანაწესების გათვალისწინება აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების პროცესებში.

მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადების უმთავრესი მიზანი სარჩელზე მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაში მდგომარეობს, აღნიშნულის საფუძველი კი კანონმდებლობაში არ არის განსაზღვრული, ვინაიდან, მიგვაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 191-ე მუხლში არსებული იმის მითითება იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი ვალდებულია დაასაბუთოს ის გარემოებები, რომელთაც იგი უზრუნველყოფის მიუღებლობის ან სხვა სახის სირთულეების წარმოშობის მიზეზად მიიჩნევს, სრულიადაც არ ადასტურებს იმას, რომ კანონის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებათა საფუძველების განსაზღვრების არსებობას. პირიქით, ასეთი სახის საფუძველის განსაზღვრა და მითითება ხდება მოსარჩელის მიერ, სასამართლო კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს რამდენად განაპირობებს იგი (მოსარჩელის მითითება) ყადაღის გამოყენების აუცილებლობას. მიგვაჩნია, რომ საფუძველი უნდა მდგომარეობდეს და წარმოდგენილი იყოს იურიდიული ფაქტების სახით.

სამეცნიერო ლიტერატურაში, რომლებშიც საუბარია ყადაღაზე და მის დახასიათებაზე, უმრავლეს შემთხვევაში აქცენტირებულია მისი მიზნობრივი დანიშნულება და, ასევე, მისი გამოყენების პრაქტიკული ასპექტები.<sup>159</sup> თუმცა, ვხვდებით ისეთ მოსაზრებებსაც, რომლებიც უზრუნველყოფის გამოყენების საფუძველის (ანუ გარემოებების) მხოლოდ მითითების პრაქტიკის არასაკმარისობაზე მეტყველებს და ხაზგასმულია მოსარჩელის მიერ დასახელებულ გარემოებათა არსებობის დამტკიცების საჭიროებაზე (აუცილებლობაზე), ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, მას დაკისრებული აქვს გარემოების მტკიცების ზოგადი ტვირთი.<sup>160</sup>

<sup>159</sup> ა. კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003, გვ. 300-304; შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015, გვ. 382-395

<sup>160</sup> თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯი სი აი“, თბ., 2001, გვ. 100



თუმცა, სასამართლო პრაქტიკის და კანონის ანალიზი სულ სხვა რამეზე მეტყველებს. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად ედება არა დამტკიცებული ფაქტები (ეს არ არის მოთხოვნილი საქართველოს სსკ-ის 191-ე მუხლით), არამედ სასამართლოს ვარაუდი სარჩელის დაკმაყოფილებადობის თაბაზე. ნებისმიერ საპროცესო გადაწყვეტილებას, მათ შორის ყადაღის დადებას, საფუძვლად უნდა ედოს დამტკიცებული ფაქტები, მაგრამ აქედან გამონაკლისია სწორედ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი, რომელიც არ მოითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძვლად მითითებული ფაქტების მტკიცებას. სწორედ ამიტომ არის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სსსკ-ის 191-ე მუხლში საკმაოდ ფართოდ და ზოგადი სახით არის მოცემული. ამასთან, მოსარჩელის მიერ ამა თუ იმ საფუძვლის მითითება, ავტომატურად როდი იწვევს უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებას.

გამომდინარე იქიდან, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით იზღუდება პიროვნების უფლებები, ასეთი ზომების მიღება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაშია დასაშვები ანუ როდესაც მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებების საფუძველზე სასამართლოს ექმნება მყარი რწმენა, რომ ეს უდავოდ აუცილებელი საჭიროებაა მოსარჩელის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად. გადაწყვეტილების უზრუნველყოფისას კი საკითხი უფრო გამარტივებულია, რამეთუ გადაწყვეტილება გამოტანილია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შეუამდგომლობის აღმძვრელი პირის სასარგებლოდ.

უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძვლის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ ისიც, რომ საქართველოს სსკ-ში, კერძოდ კი მის 191-ე მუხლში გადმოცემული აზრი იმის თაობაზე, რომ სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილების ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, მისი გამოყენება მოხდება სარჩელის და არა გადაწყვეტილების უზრუნველყოფის

შემთხვევაში. ასეთი ვარაუდი კი, ჩვენი აზრით, დამაჯერებელი საფუძველს არ წარმოადგენს.

ყადაღის დადების აუცილებლობა დაკავშირებულია გადაწყვეტილების აღუსრულებლობის, აღსრულების გართულების ან მოსარჩელისათვის აუნაზღაურებელი ზიანის მიყენების რისკის არსებობასთან. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საჭიროა არამხოლოდ უფლების და კანონიერი ინტერესების დარღვევის დამადასტურებელ გარემოებათა მითითება, არამედ იმ გარემოებების მითითებაც, რომლებიც მეტყველებენ იმაზე, რომ აშკარად არის გამოკვეთილი აღსრულების გართულების ან შეუსრულებლობის, მოსარჩელის რაიმე სახით დაზარალების წინაპირობები, ამავე დროს, არაა აუცილებელი (თუმცა სასურველი კია) ამ გარემოებების დამტკიცება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არ არის მითითებული ამ გარემოებათა ხასიათი, მხოლოდ ერთ შემთხვევაში არის დაკონკრეტებული ყადაღის გამოყენების განმაპირობებელი გარემოებების დამახასიათებელი ნიშნები.

კერძოდ, პროკურორის მიერ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით XLIV<sup>1</sup> თავი ითვალისწინებს მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადების წესს (356<sup>4</sup>-ე მუხლი). ამდენად, მოცემული თავი, საერთო წესებისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებას ქონებაზე ყადაღის დადების სახით. ამასთან, ყადაღის გამოყენების საფუძველი სსსკ-ის 191-ე მუხლისაგან განსხვავებით, დაკონკრეტებულია. კერძოდ, ასეთი საფუძველია მონაცემების არსებობა იმის თაობაზე, რომ შესაძლოა მოხდეს მოპასუხის მფლობელობაში არსებული ქონების გადამალვა, დახარჯავა ან რაიმე სახით გასხვისება. ამ ნორმაში ჯობდა კანონმდებელს გასხვისების ნაცვლად გამოყენებინა ტერმინი განკარგვა, რადგან თავისი არსით ყადაღა არის განკარგვის აკრძალვა. განკარგვა უფრო ფართე ცნებაა, ვიდრე გასხვისება. აღსანიშნავია, რომ იმ მონაცემების არსებობისას, რომლებიც ყადაღის გამოყენების საფუძველია, კანონი პროკურორს ავალდებულებს სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვას ქონებაზე და, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე (უფრო ზუსტი იქნებოდა კანონმდებელს აქ საბანკო ანგარიშებზე

არსებულ თანხებზე ყადაღის დადებაზე გაემახვილებინა ყურადღება, ვინაიდან თავად ანგარიშის დაყადაღება გულისხმობს ბრუნვის გაჩერებას აღნიშნულ ანგარიშზე) ყადაღის დადების თაობაზე.

საქართველოს სსკ-ის 284-ე და 285-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე, ნათლად ჩანს, რომ სასამართლომ აუცილებლად უნდა დაადგინოს ქონებაზე ყადაღის დადების საფუძველი. კერძოდ, სსსკ-ის 285-ე მუხლის ზოგადი დანაწესი სასამართლოს ავალდებულებს ქონებაზე ყადაღის დადების განჩინებაში მიუთითოს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა საფუძველზე მან მიიღო ასეთი გადაწყვეტილება.

ყადაღის დადების საფუძვლის სწორად დადგენის პრაქტიკულ მნიშვნელობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ყადაღის დადების შესახებ განჩინებების გასაჩივრება მათი დაუსაბუთებლობის მოტივით ხდება. ქონებაზე ყადაღის დადების საფუძვლის შესახებ საკითხს მარტოდენ დაყადაღების გადაწყვეტილების მისაღებად როდი აქვს მნიშვნელობა, არამედ მნიშვნელობა აქვს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შესაფასებლად ისეთ შემთხვევაში, როდესაც უნდა გადაწყდეს დაყადაღებული ქონების მესაკუთრისათვის გაუმართლებელი უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი.

ამასთანავე, გამომდინარე იქიდან, რომ ყადაღის გამოყენების საფუძველს, როგორც წესი, სავარაუდო ხასიათის და არა დამტკიცებული ფაქტები წარმოადგენს, მისი გამოყენების მართლზომიერების შესაფასებელ კრიტერიუმებად მიშეიძლება თანაზომადობის პრინციპისა (ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიება მესაკუთრის შეზღუდვას გულისხმობს) და, ასევე, მესამე პირის საკუთრების უფლების შელახვის დაუშვებლობის პრინციპის (ეს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დაყადაღებულ ქონებაზე ანდა მის გარკვეულ ნაწილზე რაიმე სახით მფლობელი მესამე პირი) მიჩნევა.

ყადაღის გამოყენების საფუძვლის პრაქტიკულ მნიშვნელობას წარმოადგენს ის, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელია: 1. მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დაყადაღებულ პირთა მიმართ სასამართლოს მიერ

განხორციელებული თვითნებობა და სუბიექტივიზმის გამოვლინება; 2. ობიექტურად შეფასდეს ყადაღის გამოყენების კანონიერება; 3. შეფასდეს დაყადაღებული პირის დაყადაღებით მიყენებული მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობა.

ვფიქრობთ, საინტერესო საკითხია ასევე, ფლობს თუ არა სასამართლო ყადაღის დადების უფლებამოსილებას იმ მოტივით, რომ შესაძლებელია მომავალში მისაღებ (ჯერ არმიღებულ) გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის წარმოიშვას საფრთხეები მოვალის სხვა კრედიტორების მხრიდან?

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, აქ ვსაუბრობთ სამოქალაქო პროცესსა და სააღსრულებო სამართალში არსებობულ დასწრების პრინციპზე. ანუ სხვა კრედიტორებისათვის დასწრების მიზნით, იმ პირის მიერ, რომლის სასარგებლოდაც სასამართლოს უკვე არის გამოტანილი გადაწყვეტილება (და შესაბამისად იგი უკვე კრედიტორად არის მოაზრებული), არის თუ არა შესაძლებელი ქონებაზე ყადაღის დადების მოთხოვნა თავის სასარგებლოდ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფის მიზნით, თუ მოვალის ქონება სხვა კრედიტორთა მხრიდან გადახდევინების მიქცევის საფრთხის ქვეშ ან ასეთის წარმოშობის წინაპირობა არსებობს. აღნიშნული საკითხის განხილვა აქტუალური გერმანულ სასამართლო პრაქტიკაშიც.<sup>161</sup>

იურისტების უმეტესობას მიაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხზე პასუხი უარყოფითია, რასაც რის დასაბუთებასაც ცდილობენ იმ არგუმენტით, რომ შეუძლებელია ყადაღის ფუნქციას ერთ კრედიტორის სხვა კრედიტორებთან მიმართებით უპირატესობის მინიჭება წარმოადგენდეს და ყადაღის დადების მიზანს და ფუნქციას წარმოადგენს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდდამხოლოდ მოვალის მხრიდან. ამრიგად, აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება კრედიტორების თანასწორობის პრინციპს.<sup>162</sup>

ყადაღის დადებისას აუცილებლად უნდა იქნას დაცული როგორც საკუთრებაში ჩარევისა და მისი შეზღუდვის ფარგლები, ასევე ჩარევის

---

<sup>161</sup> Foerste U., Vollstreckungsvorsprung durch einstweiligen Rechtsschutz//ZZP 106, გვ. 143

<sup>162</sup> Zoeller R., Zivilprozessordnung Kommentar. Köln, 2002, §917, აზ. 9

მართლზომიერებაც, რაც, თავის მხრივ, თანაზომადობის პრინციპზეა დაფუძნებული. სწორედ ეს თვალსაზრისი იქნა გათვალისწინებული, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის პროცესში ყადაღის ღონისძიების საკითხის შესახებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>163</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადმოცემული განმარტებები მნიშვნელოვანია სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვისაც, ვინაიდან ყადაღის გამოყენების პროცესში აუცილებლობას წარმოადგენს თანაზომადობის დაცვა და უზრუნველყოფილ იქნას მესაკუთრის უფლებებისა და ინტერესების გაუმართლებელი ზიანის მიყენების გამორიცხვა.

ქონებაზე ყადაღის დადებით მესაკუთრეს ან მფლობელს ეკრძალება ქონების განკარგვა, აუცილებლობის შემთხვევაში კი - ქონების სარგებლობაც. ეს ორივე საკუთრების კონსტიტუციური უფლებით დაცული სიკეთეა და, შესაბამისად, ყადაღის დადება ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლების შეზღუდვას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სწორად იქნას დაცული საკუთრების უფლებას და სხვა უფლებებს (საჯარო ინტერესებს) შორის ბალანსი.

იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იქნას საკუთრების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ლეგიტიმაცია არასაკმარისია მხოლოდ საჯარო ინტერესების არსებობა. კონსტიტუციური უფლებათა და, მათ შორის, საკუთრების უფლების შეზღუდვის შეფასების საზომად მიჩნეულია თანაზომადობის პრინციპი, რომელიც ადამიანის უფლების შეზღუდვის დროს კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმში მდგომარეობს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტად გვევლინება. თანაზომადობის პრინციპის შესაბამისად, უფლების შემზღუდავი საკანონმდებლო მოწესრიგება ღირებული საჯარო მიზნები მისაღწევად გამოსადეგი და აუცილებელი საშუალება უნდა იყოს და, ამავროულად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს უფლების შეზღუდვის ინტენსივობის თანაზომადობა მისაღწევ

---

<sup>163</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/1/1434,1466 (2022 წ. 25 თებერვალი)

საჯარო მიზანთან მიმართებით. არანაირი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არ არის დასაშვები ადამიანის უფლების მომეტებულად შეზღუდვა.<sup>164</sup>

თანაზომადობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არის მიჩნეული ყველა ის ღონისძიება, რომლის შედეგადაც პირის უფლება იმაზე მეტად იზღუდება, ვიდრე ამას საჭიროებს ლეგიტიმური მიზნის მიღწევა.

ქონებაზე ყადაღის გამოყენებაში ავტომატურად იგულისხმება მისი განკარგვის აკრძალვა, ხოლო სარგებლობის აკრძალვა კი, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში არის გათვალისწინებული. მოსამართლე არ გააჩნია უფლებამოსილება განახორციელოს ქონებით სარგებლობა შეზღუდვა, მისი განკარგვის უაკრძალველად. სასამართლოს მიერ ქონებით სარგებლობის აკრძალვის უფლებამოსილების განმსაზღვრელია კანონმდებელი+.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობით დასტურდება, საკუთრების ბლანკეტური შეზღუდვის დაუშვებლობა, მაშინ, როდესაც ყადაღის აუცილებლობა რაიმე კონკრეტული მიზნების მისაღწევისათვის, შესაძლოა, არც კი არსებობდეს.

თანაზომადობის პრინციპის მოთხოვნაა, რომ კანონმდებლის მიერ დადგენილ იქნას უფლების შეზღუდვისას შეზღუდული და დაცული ინტერესების სამართლიანი ბალანსი.<sup>165</sup> ყადაღის დადებისას დროს ვაწყდებით ორი ინტერესის კოლიზიას - ერთი მხრივ, მოსარჩელის ინტერესია მართლმსაჯულების აღსრულების უზრუნველყოფა, მეორე მხრივ კი, მესაკუთრის ინტერესი, რაც საკუთარი ქონების თავისუფლად სარგებლობისა და მისი განკარგვის უფლებაში მდგომარეობს.

არსებული ვარაუდების დაუსაბუთებლად ქონების დაყადაღების შემთხვევაში, ხდება დაყადაღებული პირის არაპროპორციულად შეზღუდვა..

---

<sup>164</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60

<sup>165</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43

მსგავსი ვარაუდის წარმოშობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი არსებობს ისეთი ფაქტები, რომლებიც მოსარჩელის მოთხოვნის გამართლებულობაზე მეტყველებს.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინების გარეშე, ყადაღის შენარჩუნება ქონებაზე არღვევს გონივრულ ბალანსს ქონების კეთილსინდისიერი შემძენის საკუთრების უფლებასა და მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებს შორის.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ქონებაზე ყადაღის დადება (მცირე ვადითაც კი) და ასევე ყადაღის შენარჩუნების ვადა აუცილებლად უნდა იყოს მოქცეული მესაკუთრის ინტერესებსა და მისაღწევ საჯარო ინტერესს შორის სამართლიანი ბალანსის მიღწევის ფარგლებში.

#### **4.1.2. გარდაცვლილის სახელზე რეგისტრირებული ქონების დაყადაღების შესაძლებლობა**

იმ პირობებში, როდესაც სსსკ-ის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრული წესის თანახმად, ხდება მოპასუხის ქონების დაყადაღება, საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა იმ ქონების დაყადაღება, რომელზეც მემკვიდრეს (მოპასუხეს) არ აქვს რეგისტრირებული უფლება და მაშასადამე, ქონება ჯერ კიდევ გარდაცვლილის სახელზე ფიქსირდება? ცხადია იგულისხმება შემთხვევა, როდესაც მემკვიდრეს სამკვიდრო მიღებული აქვს, მაგრამ არ აუღია სამკვიდრო მოწმობა, ან აიღო მოწმობა, მაგრამ ქონებას არ ირეგისტრირებს, ან ქონება რეგისტრაციის პროცესშია. ხშირ შემთხვევაში მემკვიდრე სპეციალურად არც იფორმებს თავის სახელზე სამკვიდროს, რათა შექმნას ერთი მხრივ შთაბეჭდილება, თითქოს უქონელია, მეორე მხრივ, გავიდეს ხანდაზმულობის ვადა და კრედიტორმა დაკარგოს მოთხოვნის იძულებითი განხორციელების შესაძლებლობა. „პრაქტიკა იცნობს

შემთხვევებს, როდესაც მემკვიდრე, კრედიტორის მხრიდან სარჩელის აღძვრის რიდით, არ ირეგისტრირებს მიღებულ სამკვიდროს“.<sup>166</sup>

მოცემული კვლევის მიზანი არ არის გამოკვლევული იქნეს მემკვიდრის პასუხისმგებლობის ფარგლების საკითხი, თუმცა აღნიშნულსაც მნიშვნელობა აქვს ყადაღის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისათვის იმ აზრით, რომ როდესაც მემკვიდრე ისედაც შეზღუდულად აგებს პასუხს მიღებული სამკვიდრო აქტივის ფარგლებში, აღარ უნდა დაისვას საკითხი თანაზომადობის პრინციპის დაცვასთან დაკავშირებით და კრედიტორს უზრუნველყოფაზე არ უნდა ეთქვას უარი. ყადაღის გამოყენება არ უნდა დააბრკოლოს იმ გარემოებამ, რომ ქონება გარდაცვლილის სახელზეა ფორმალურად აღრიცხული. ფორმალურად - სხვა რაიმე ქონებაზე ვერ მიექცევა აღსრულება, მემკვიდრეები ხომ სამკვიდრო ქონების ფარგლებში აგებენ პასუხს.

ფორმალურად ქონება რეგისტრირებული რომც იყოს გარდაცვლილზე, მოპასუხე კანონის ძალით არის მესაკუთრე, როცა ფაქტობრივად აქვს მიღებული სამკვიდრო. ერთ-ერთ განჩინებაში სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის სახით ყადაღის გამოყენებლობის საფუძველად მიუთითა შემდეგი: „არ შეიძლება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებული იქნეს გარდაცვლილი პირის მიმართ“.<sup>167</sup> ცხადია, სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება, როგორც არის ყადაღა, სუბიექტის მიმართ ვერ იქნება გამოყენებული. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მატერიალური ნორმები გავლენას ახდენენ საპროცესო სამართალზე, რის შედეგადაც უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებაში

---

<sup>166</sup> აღნიშნულ შემთხვევათა დაწვრილებითი ანალიზი იხილეთ ნაშრომში: შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, მ. ცქიტიშვილი, მ. ახალაძე, მ. კუბლაშვილი, გ. ქურდაძე, „სამოქალაქო საპროცესო სამართლის კოდექსის კომენტარი“, წიგნი 1 (1-176-ე მუხლები), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2022, გვ. 219

<sup>167</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება საქმეზე N 2/18822-19 (2019 წ. 31 ივლისი).



გადადის მემკვიდრეობის გახსნისთანავე. აღნიშნული ნორმის გაგრძელებაა სკ-ის 1451-ე მუხლიც.

სსსკ-ის 198-ე მუხლში მითითებული სიტყვები: ყადაღის დადება ხდება ქონებაზე, რომელიც ეკუთვნის მოპასუხეს, მოიცავს ქონების კუთვნილების ნებისმიერ შემთხვევას, მათ შორის კანონის ძალით (ამ შემთხვევაში მემკვიდრეობის გზით), თუნდაც უძრავი ქონების კუთვნილებას.

სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე<sup>168</sup> არასწორი მსჯელობა განავითარა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით და არასწორად განმარტა, რომ ხსენებული მუხლის სამართლებრივი ანალიზი საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ ყადაღა შესაძლებელია დაედოს მხოლოდ მოპასუხის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (როგორც ჩანს სასამართლომ იგულისხმა, რომ ქონება აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრირებული). სასამართლომ არ გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის<sup>169</sup> 1-ლი მუხლით დაცული საკუთრების უფლება ფართოდ უნდა განიმარტოს. მასში იგულისხმება არა მარტო რეგისტრირებული ან ნომინალური მესაკუთრე (ტიტულის მფლობელი). საკუთრების ცნება აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის მაქსიმალურად ვრცლად განიმარტება და მოიცავს სხვადასხვა სახის ეკონომიკურ ინტერესს, ქონებას: მოძრავ და უძრავ ქონებაზე უფლებებთან ერთად, ის მოიცავს მატერიალურ და არამატერიალურ ინტერესს, როგორცაა მოთხოვნები, წილები, პატენტები, აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებული ეკონომიკური ინტერესი, პროფესიული საქმიანობის უფლება, პენსიის უფლება, გარკვეული მდგომარეობის დადგომის კანონიერი (ლეგიტიმური) მოლოდინი.<sup>170</sup> საგულისხმოა, რომ საკუთრების

<sup>168</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება საქმეზე N2/5883-19 (2019 წ. 19 აგვისტო)

<sup>169</sup> პარიზი, 1952 წლის 20 მარტი

<sup>170</sup> Council of Europe, Monika Carss-Srisk, The Right to Propetry, A guide to the implemenatation of Article No 1 to the European Convention of Human Rights. Human Rights handbooks; N4, 2001, p. 6

უფლების განმარტებისას, ევროკონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით დადგენილ სტანდარტებს ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლო.<sup>171</sup>

მოცემულ საქმეზე სასამართლომ მოპასუხეებს აუკრძალა მამკვიდრებლის სახელზე რიცხული უძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივი დატვირთვა. ამასთან, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (მარეგისტრირებელი ორგანოს) აუკრძალა ამ ქონებებზე მემკვიდრეთა მხრიდან (სხვა სავარაუდო მემკვიდრეთა არსებობის შემთხვევაშიც) ქონების გასხვისებასთან და უფლებრივ დატვირთვასთან დაკავშირებული ნებისმიერი სარეგისტრაციო წარმოების განხორციელება. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი უზრუნველყოფის ღონისძიება არ წარმოადგენს ამკრძალავ ღონისძიებას მარეგისტრირებელი ორგანოსათვის, კანონით დადგენილი წესით განახორციელოს მემკვიდრეთა უფლების (კანონისმიერი/ ანდერძისმიერი) და სხვა ნებისმიერი სახის სარეგისტრაციო წარმოების განხორციელება.

ზემოაღნიშნულის ანალოგიურ შემთხვევაში, ე.ი. როდესაც ქონება რეგისტრირებული იყო გარდაცვლილის სახელზე, მართალია უზრუნველყოფის მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა, მაგრამ სასამართლოს სხვა განჩინებითაც იგივე განმარტებები იქნა შესრულებული.<sup>172</sup> სასამართლოს თქმით, რადგან მემკვიდრის სახელზე გაცემულია სამკვიდრო მოწმობა, მას ენიჭება თავის სახელზე უძრავი ქონების აღრიცხვისა და შესაბამისად, გასხვისების უფლება. ამჯერად მოპასუხეს აეკრძალა სამკვიდრო ქონების თავის საკუთრებაში აღრიცხვის შემთხვევაში მისი გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა. უზრუნველყოფის ამ სახით გამოყენება სასამართლოს თქმით განაპირობა მოთხოვნის ხასიათმა და მოცულობამ.<sup>173</sup> თუმცა, ზემოაღნიშნულ არცერთ შემთხვევაში სასამართლოს არ დაუსაბუთებელია, თუ რატომ არ შეიძლებოდა უშუალოდ ყადაღის გამოყენება

<sup>171</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე N 664-635-2016 (2017 წ. 12 მარტი)

<sup>172</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება საქმეზე N2/21710-21 (2021 წ. 23 დეკემბერი)

<sup>173</sup> იგივე მიდგომა დაფიქსირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 18 აპრილის განჩინებაში საქმეზე N 33 0217723007110604

კანონის ძალით აღიარებულ საკუთრების უფლებაზე და რატომ იქნებოდა გაუმართლებელი ამ უფლების შეზღუდვა ყადაღით.

#### 4.2. ყადაღის დადების პირობები მოპასუხის ქონებაზე

პირისათვის ყადაღის დადება, ამავდროულად, შეიძლება ეხებოდეს სხვა, მესამე რიგის, პირთა (მოპასუხის სხვა კრედიტორების) ინტერესებსა და უფლებებსაც. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მიღებაში არ იგულისხმება, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოპასუხის მხრიდან გადახდის განხორციელება მოხდება პირველ რიგში, ანუ აღნიშნულ ღონისძიებათა მიღება არ უნდა გახდეს გადახდევინების რიგითობის დარღვევის საფუძველი, რაც დადგენილია სააღსრულებო წარმოებათა კანონის 82-ე<sup>3</sup> მუხლში.<sup>174</sup>

სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის მის კუთვნილ ფულად თანხებსა თუ სხვა სახის ქონებაზე ყადაღის დადების გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების თანაზომადობა მოსარჩელის მოთხოვნასთან. მართალია, ზოგადად, თანაზომადი არ ნიშნავს თანაბარს. თუმცა, ფულად სახსრებთან მიმართებაში თანაზომადობა თანაბრობის მნიშვნელობას იძენს. აქედან გამომდინარე, მოპასუხის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი თანხების ან მისი ანაზრის დაყადაღების შემთხვევაში აუცილებელია სარჩელის ფასის ოდენობის გათვალისწინება.

ზოგჯერ ქონების დაყადაღების დროს, შეუძლებელია ერთბაშად იმის დადგენა, ეკუთვნის თუ არა მოვალეს საკუთრების უფლებით მასთან აღმოჩენილი, მასთან არსებული და დაყადაღებული ქონება. თუ შემდგომში გამოირკვევა, რომ ყადაღა დადებული აქვს კონკრეტულ ქონებას, რომელიც არ

---

<sup>174</sup> დაწვრილებით იხილეთ შ. ქურდაძე, “სააღსრულებო წარმოებათა სტადიაზე წარმოშობილი დავების განხილვის თავისებურებანი”. ჟურნალი “მართლმსაჯულება და კანონი”, N1. 2006 წ. გვ. 60-66. სწორედ ზემოაღნიშნული მოსაზრებით უნდა იყოს ნაკარნახევი სსსკ-ის 191-ე მუხლის მეორე ნაწილის შემოღება.

ეკუთვნის მოვალეს, ქონების მესაკუთრეს ან უფლებამოსილ კეთილსინდისიერ მფლობელს უფლება აქვს შეიტანოს სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ.<sup>175</sup> იმდენად, რამდენადაც ასეთი ქონების რეალიზაციით შეიძლება ქონებრივი ზიანი მიაღგეს მის მესაკუთრეს, რომელიც არ არის მოვალე, აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ აღძრან შუამდგომლობა სასამართლოში ამ ქონების რეალიზაციის შეჩერების შესახებ. ამასთან, ქონების რეალიზაცია არ ჩერდება იმ შემთხვევაში თუ იგი შესაბამისობაში მოდი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 70-ე მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევასთან, ე.ი. მაშინ, როცა დანიშნულია აუქციონი. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლი გაუაზრებლად არის მითითებული სსსკ-ის 198-ე მუხლში. საქმე იმაშია, რომ 70-ე მუხლი შეეხება აუქციონს, როგორც იძულებითი აღსრულების ღონისძიებას. სსსკ-ის 198-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანი განსხვავდება იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენების მიზნისგან. იძულებითი აღსრულების ღონისძიებები ჩამოთვლილია სააღსრულებო წარმოებათა კანონის მე-17 მუხლში. დაუშვებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დამოკიდებული იყოს აუქციონის, როგორც იძულებითი აღსრულების ღონისძიების დანიშვნა-არდანიშვნის საკითხზე, მითუმეტეს, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული აღსრულების შეჩერების საფუძვლები არ არის ამომწურავი. ამიტომ შეჩერების ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იყოს აღსრულების შეჩერება უზრუნველყოფის წესით.

#### **4.3. ყადაღის ინსტიტუტი მომიჯნავე კანონმდებლობაში**

საკუთრივ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არ არის დიფერენცირებული ყადაღის არსი. თუმცა, საბოლოო ანგარიშით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრება ყადაღის იურიდიული ბუნება.

---

<sup>175</sup> საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ავტორთა კოლექტივი, 2013, გვ. 177-178

მხედველობაში გვაქვს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლი და 63<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელთა შესაბამისადაც განსაზღვრულია ქონებაზე ყადაღის დადებისათვის დამახასიათებელი მოქმედებები. კერძოდ, მოძრავ და უძრავ ქონების დაყადაღებაში იგულისხმება მოვალის ქონების აღწერა, მესაკუთრისთვის ქონების განკარგვის (რაც შეიძლება განხორციელდეს მისი გასხვისებით, დაგირავებით, მასზე ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულების დადებით და ა.შ.) აკრძალვა ან ქონების გადაცემა შენახვის მიზნით. ქონების აღწერის აქტს კანონი ყადაღის დადების აქტსაც უწოდებს.<sup>176</sup>

მართებულად არის აღნიშნული ლიტერატურაში, რომ სააღსრულებო კანონმდებლობა სხვა არაფერია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა.<sup>177</sup>

დასახლებული კანონით არ არის დიფერენცირებული უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების არსი. ცხადია, უძრავი ქონების დაყადაღებისას, შესაბამისად, გამოიყენება ზემოაღნიშნული მე-40 და 63<sup>1</sup>-ე მუხლებით დადგენილი წესი.

ყადაღის, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არსი, მისი ცნება, უნდა განისაზღვროს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის დანაწესების გათვალისწინებით. კერძოდ, ყადაღა არის ქონების როგორც გასხვისების, ისე უფლებრივად ნებისმიერი სახით დატვირთვის აკრძალვა, მაშასადამე, ქონების განკარგვის აკრძალვა. განკარგვის აკრძალვა გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ქონებით სარგებლობის აკრძალვასაც.

ქონებაზე ყადაღის დადება შესაძლებელია ორ შემთხვევაში: სარჩელის უზრუნველსაყოფად (სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი გამოიყენება გამოტანილი, მაგრამ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიმართაც) და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს

<sup>176</sup> შ. ქურდაძე, გ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, ზ. ჭყონია, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I, გამომც. „დანი“, თბ., 2018, გვ. 392

<sup>177</sup> შ. ქურდაძე, გ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, ზ. ჭყონია, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწ. I, პირველი მუხლის ავტორი - შალვა ქურდაძე, გამომცემლობა „დანი“, თბ., 2018, გვ. 22

გადაწყვეტილების აღსრულებისას.<sup>178</sup> სააღსრულებო კანონმდებლობა განასხვავებს ყადაღის ორ სახეს: ა) ყადაღას, როგორც იძულებითი აღსრულების დამოუკიდებელ ღონისძიებას, რომელიც გამოიყენება მხოლოდდამხოლოდ ქონების დაყადაღების შესახებ სასამართლო აქტის აღსასრულებლად („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი) და ბ) მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებას, ქონებრივი გადასახდელის შესახებ მოთხოვნის შემცველი სააღსრულებო დოკუმენტის უზრუნველყოფის მიზნით.<sup>179</sup>

ყადაღის ცნების შინაარსი უნდა განვასხვავოთ ქართულ და გერმანულ სამართალში. გერმანულ სამართალში ყადაღა ეწოდება უფლების წინასწარი დაცვის ერთ-ერთ ღონისძიებას. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი კი ყადაღის დადების ტერმინით აღნიშნავს იძულებითი აღსრულების ღონისძიებას. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 916-ე მუხლის შესაბამისად,<sup>180</sup> ყადაღის დადება ხორციელდება მოძრავ ან უძრავ ქონებაზე იძულებითი აღსრულების უზრუნველსაყოფად, როდესაც წამოყენებულია ფულადი მოთხოვნა, ან ისეთი მოთხოვნა, რომელიც შეიძლება გადაიქცეს ფულად მოთხოვნად. მაგალითად, მყიდველის მოთხოვნა ნასყიდობის საგნის გადაცემაზე შეიძლება გარდაიქმნას ზიანის ანაზღაურების თაობაზე ფულად მოთხოვნად, თუკი ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი განადგურდება და ვეღარ მიეწოდება მყიდველს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 918-ე მუხლი ითვალისწინებს არა მხოლოდ ქონების, არამედ მოვალის დაყადაღებასაც, რომლის ფუნქციაც აგრეთვე არის ფულადი მოთხოვნების იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფა. ამასთან, მოვალის დაყადაღება ქონების დაყადაღებასთან მიმართებით არის სუბსიდიური წესი, ვინაიდან აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს ადამიანის

<sup>178</sup> შ. ქურდაძე, გ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, სამოქალაქო სააღსრულებო სამართალი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ., 2017, გვ. 110-111

<sup>179</sup> შ. ქურდაძე, გ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, ზ. ჭყონია, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწ. I, გამომცემლობა „დანი“, თბ., 2018, გვ. 142-143

<sup>180</sup> Zivilprozessordnung Deutschlands - <https://dejure.org/gesetze/ZPO>

უფლებათა და თავისუფლებათა უკიდურეს შეზღუდვას, რომლის გამოყენებაც მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ქონების დაყადაღება არასაკმარისად უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას. მაგალითად, როდესაც მოვალე მალავს თავის ქონებას ან თავს არიდებს თავისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ სასამართლოსათვის ჩვენების მიცემას ფიცის დადებით<sup>181</sup>.

ქონების დაყადაღებისაგან განსხვავებით ყადაღის მოვალის მიმართ გამოყენებისას სასამართლომ ყოველთვის უნდა აწონ-დაწონოს მხარეთა ინტერესები. თანაზომადობის შემოწმებისას სასამართლომ უნდა შეაფასოს განმცხადებლის სამართლებრივი მდგომარეობა (საკუთრება, უფლების ეფექტიანი დაცვის უფლება) და მოვალის სამართლებრივი მდგომარეობა (თავისუფლების უფლება).<sup>182</sup>

მოვალის დაყადაღების არსი გერმანულ სამართალში მდგომარეობს შემდგომ მოქმედებებში: მოვალის დაპატიმრება ან მისი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა, როგორც არის მაგალითად, შესაბამის ორგანოში რეგულარული გამოცხადების ვალდებულება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის აკრძალვა.<sup>183</sup>

სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობის შედარების ანალიზისას გერმანულ ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრება, რომლის თანახმადაც მოვალის დაყადაღების წესი გასაუქმებელია როგორც თანამედროვე სამოქალაქო პროცესისადმი შეუსაბამო ინსტიტუტი, მითუმეტეს მოცემული ღონისძიება იშვიათად გამოიყენება პრაქტიკაში.<sup>184</sup>

---

<sup>181</sup> Schuschke / Walker / Kessen / Thole, Vollstreckung und Vorläufiger Rechtsschutz. Kommentar, Köln, 7. Auflage, Carl Heymanns Verlag, 1999, 918 მუხლის ავტორები - Schuschke W., Walker W.

<sup>182</sup> OLG Karlsruhe//NJW-RR. 14.11.1997. 10 U 169/97, გვ. 450 - <https://dejure.org/dienste/vernetzung/rechtsprechung?Gericht=OLG%20Karlsruhe&Datum=14.11.1997&AktENZEICHEN=10%20U%20169%2F97>

<sup>183</sup> Teplitzky O., Arrest und einstweilige Verfügung, JuS 1980/12, გვ. 882-886.

<sup>184</sup> Morbach B., Einstweiliger Rechtsschutz in Zivilsachen: eine rechtsvergleichende Untersuchung. Frankfurt am Main, 1988, გვ. 317 - <https://www.booklooker.de/B%C3%BCcher/Bertram-Verfasser-Morbach+Einstweiliger-Rechtsschutz-in-Zivilsachen-Eine-rechtsvergleichende/id/A02o5xpL01ZZ7?zid=0k96oo3e9t0qonkol88g71scku>

#### 4.4. ყადაღის ინსტიტუტი საარბიტრაჟო და საჯარო რეესტრის შესახებ კანონმდებლობაში

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საერთო სასამართლოთა სისტემაში საქმის განხილვისას გამოყენებული უზრუნველყოფის მსგავსად, საარბიტრაჟო პროცესშიც აქტუალურია.<sup>185</sup>

უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება შესაძლებელია საარბიტრაჟო წარმოების ფარგლებშიც. საარბიტრაჟო წარმოებისას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კომპეტენცია გააჩნია როგორც არბიტრაჟს, ისე სასამართლოს, რაზეც მეტყველებს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 და 23-ე მუხლების დანაწესები. ამასთან, არბიტრაჟი არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებები. ლოგიკურად ეს ნიშნავს, რომ ყადაღის გამოყენება არბიტრაჟსაც შეუძლია.

არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების საფუძველია მხარის შუამდგომლობა/განცხადება. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესებიდან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ უზრუნველყოფის გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლის ანუ გარემოებების მითითებას სჯერდება განცხადებაში, არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-18 მუხლი არ კმაყოფილდება ასეთი გარემოებების მარტოდენ მითითებით, არამედ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მთხოვნელმა უნდა დაასაბუთოს კანონის მე-18 მუხლში მითითებული გარემოებებიც. დასახელებული კანონი უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებას არ უკავშირებს პროცესის რომელიმე სტადიას. მაშასადამე, უზრუნველყოფა დასაშვებია როგორც საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე, ისე განხილვის ნებისმიერ სტადიაზეც.

---

<sup>185</sup> გ. თუთბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, კომენტარი, გამომც. „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, თბ., 2017, გვ. 77



საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უცხოური არბიტრაჟების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების მიმართ? ამ შეკითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ. შესაძლებელია საარბიტრაჟო განხილვის საფუძველზე მოვალედ მიჩნეული პირის ქონების დაყადაღება, რომელიც საქართველოში იმყოფება. შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება შესაძლებელია ასეთი გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებათა განხილვის დროსაც. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას მოითხოვს საერთაშორისო ნორმებთან ქართული საპროცესო ნორმების უნიფიკაციის აუცილებლობა და უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებათა აღსრულების გარანტიის გაფართოების საჭიროება. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანი მდგომარეობს გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისთვის მოსალოდნელ დამაბრკოლებელ გარემოებათა თავიდან აცილებაში.<sup>186</sup>

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, დასაშვებია მოთხოვნილი იქნეს საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა განცხადების შეტანის გზით, რომელიც მხოლოდ აჩერებს სარეგისტრაციო წარმოებას, თუ არ არის წარდგენილი კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია შეჩერების გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა, სამი დღის განმავლობაში უნდა წარედგინოს მარეგისტრირებელ ორგანოს განცხადება ამგვარი შეზღუდვის სასამართლოს მიერ გამოყენების შესახებ. ერთ-ერთ საქმეზე<sup>187</sup> საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტომ მიიღო სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების გადაწყვეტილება.

აღნიშნულ საქმეზე განცხადებით მოთხოვნილი იქნა აკრძალვის წარმოშობის რეგისტრაცია უძრავი ნივთზე.

საქმეზე დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: განცხადებით მოთხოვნილია საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის წარმოშობის რეგისტრაცია; განცხადებას არ ერთვის სასამართლოს ან სხვა

<sup>186</sup> გ. თუთბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 77

<sup>187</sup> საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება N 102022497920/4

უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს აქტი საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის წარმოშობის შესახებ; განცხადებაზე დამატებითად წარმოდგენილია სააპელაციო სასამართლოში დავის მიმდინარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 17 ოქტომბრისა და ამავე წლის 20 ოქტომბრის განჩინებები საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამართლებრივი შეფასების თანახმად, წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია შესაბამისობაში არ იყო კანონმდებლობის მოთხოვნებთან: იგი არ შეიცავდა განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სარეგისტრაციო დოკუმენტს - სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ აქტს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აღნიშნულმა ორგანომ მაინც შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება. მისი განმარტებით ეს განპირობებული იქნა განცხადებაზე დართული საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის გამოყენების თაობაზე დავის მიმდინარეობის დამადასტურებელი დოკუმენტის თანდართვის საფუძვლით.

ადმინისტრაციულმა ორგანომ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების აქტის გამოცემა სამართლებრივად შემდეგნაირად დაასაბუთა: „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რომლის მიხედვითაც საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის რეესტრი წარმოადგენს ნივთზე ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე სასამართლოს (ან სხვა რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს) მიერ კანონით დადგენილი წესით დადებული ყადაღის, უფლების განკარგვის შეზღუდვისა და აკრძალვის, ასევე რეგისტრაციის აკრძალვის წარმოშობის, მასში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემების ერთობლიობას; „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ სარეგისტრაციო

წარმოების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც: საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაციის შესახებ განცხადებასთან ერთად არ არის წარმოდგენილი საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის წარმოშობის დამადასტურებელი სამართლებრივი აქტის ამსახველი დოკუმენტი, მაგრამ წარმოდგენილია საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის გამოყენების შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის და ჩაბარების დოკუმენტი სარჩელისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნის შესახებ განცხადების ასლთან ერთად ან/და სააპელაციო სასამართლოში საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის გამოყენების თაობაზე დავის მიმდინარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 2<sup>3</sup> პუნქტის თანახმად: „ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადად განსაზღვრულია 3 სამუშაო დღე, სააპელაციო სასამართლოში საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის გამოყენების თაობაზე დავის მიმდინარეობის შემთხვევაში – სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდი“.

საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა ურთიერთშეჯერების შედეგად, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ სარეგისტრაციო წარმოება შეაჩერა სააპელაციო სასამართლოში საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ დავის დასრულებამდე.

საჯარო რეესტრისთვის სასამართლოს გარეშე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის ფუნქციის მინიჭება ანტიკონსტიტუციურია და არღვევს კონსტიტუციით დადგენილ ხელისუფლების დანაწილების პრინციპს.

#### **4.5. უზრუნველყოფის სხვა მექანიზმებით ყადაღის ჩანაცვლების მცდელობა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში**

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოები სამწუხაროდ ხშირად არ იცავენ კანონის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით თავიდან უნდა იქნეს

აცილებული აღსრულების გართულება. ეს განსაკუთრებით აშკარაა ყადაღის ინსტიტუტის გამოყენებისას სასამართლოების მიერ დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკის მაგალითზე. როგორც ცნობილია, ყადაღის გამოყენებით, სასამართლო უკრძალავს მოპასუხეს და აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, რომლებთანაც იმყოფება მოპასუხის კუთვნილი ქონება ნებისმიერი საფუძველით (ანუ მნიშვნელობა არა აქვს, თუ რის საფუძველზე იმყოფება ეს ქონება მათთან), სარჩელის განხილვის პერიოდში განკარგონ ფული, ან სხვა ქონება. ამ ქონების გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება, ქირავნობით ან იჯარით გადაცემა, დაგირავება, სხვა პირთა სარგებლობაში ან მართვაში გადაცემა აღნიშნულ პირებს არ შეუძლიათ. ამასთან, როგორც წესი, ყადაღის დადება არ წარმოადგენს ყადაღადადებული ქონებით სარგებლობის დამაბრკოლებელ ფაქტორს თვითონ მესაკუთრისთვის, თუ ეს არ გამოიწვევს ქონების განადგურებას ან არ შეამცირებს მის ღირებულებას. ამასთან, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სასამართლოები ყადაღის მოთხოვნით შეტანილ განცხადებას ნაწილობრივ აკმაყოფილებენ და მოპასუხეს ეკრძალება ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა. ამგვარი მიდგომა ყადაღის არსის არასწორი გაგების შედეგია. ყადაღა ნივთის განკარგვის აკრძალვას ნიშნავს. განკარგვა განსხვავდება გასხვისებისაგან. განკარგვა უფრო ფართე ცნებაა და მასში მოიაზრება გასხვისების ყველა სახე, პლუს უფლებრივი დატვირთვა. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების ნაწილობრივი დაკმაყოფილებითა და ყადაღის ნაცვლად მოპასუხისათვის მხოლოდ ნივთის გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვით, მოპასუხეს ეძლევა თავისუფლება ნივთი გასცეს ანუ განკარგოს იჯარით, ქირავნობით. ასეთ შემთხვევაში, თუკი მოსარჩელე მოიგებს პროცესს და მას ნივთი მიეკუთვნება, ან გაქირავებულ (იჯარით გაცემულ) ნივთზე მოხდება აღსრულება, კრედიტორი (ნივთის მიმღები) ხდება ნივთზე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რაც აძნელებს აღსრულებას და არღვევს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის პრინციპებს. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება (უძრავი ქონების გასხვისებისა

და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვა) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63<sup>1</sup>-ე მუხლიდან გამომდინარე, მხარეს უნარჩუნდება აკრძალვის ქვეშ მყოფი ქონების გაქირავების ან იჯარით გაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულებების დადების უფლება.<sup>188</sup> თუმცა, აღნიშნულით სასამართლოს მიერ ერთმანეთში იქნა არეული ორი განსხვავებული ცნება (ქონების განკარგვისა და სარგებლობის ცნებები), ვინაიდან ქონების იჯარით გაცემა ან მისი გაქირავება სხვა არაფერია, თუ არა ქონების განკარგვა.

გამომდინარე, ყოველივე ზემოთქმულიდან და, ასევე სააღსრულებო კანონმდებლობით განმარტებული ყადაღის ცნების გათვალისწინებით, რაშიც შესაძლოა, ქონებით სარგებლობის აკრძალვაც იგულისხმობდეს, დაუშვებელია მოპასუხისთვის მის საკუთრებაში არსებული ნივთის გასხვისების და უფლებრივი დატვირთვის გაიგივება ყადაღის დადებასთან ან მის თანაბარ ღონისძიებად მიჩნევა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევებს არცთუ ისე იშვიათად აქვს ადგილი სასამართლო პრაქტიკაში.

#### 4.6. სეკვესტრის ცნება და მნიშვნელობა

ქონების იძულებითი მართვა (სეკვესტრი), როგორც ეს საქართველოს სსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტშია განმარტებული, სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებაა. აღნიშნული კოდექსის 271-ე მუხლში განმარტებულია, რომ სასამართლოს, XXIII თავში დადგენილი წესების შესაბამისად, შეუძლია იმ გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნველყოფა, რომელიც ჯერ კიდევ არაა გადაცემული დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. აქედან გამომდინარე, სეკვესტრის გამოყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის შესაბამისად, შესაძლებელია გადაწყვეტილების უზრუნველყოფადაც, რა თქმა უნდა, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების გარემოების არარსებობის შემთხვევაში. რაც შეეხება,

---

<sup>188</sup> თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება საქმეზე N2/28156-22

დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილების შემთხვევაში არსებულ გამონაკლისს, ეს შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნილი იქნება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემისას აღსრულების ზოგადი წესისგან გადახვევის ფაქტი.<sup>189</sup> აღნიშნული ინსტიტუტის მეშვეობით ხდება სამეწარმეო დავებში იმის უზრუნველყოფა, რომ მხარეთა უთანხმოებისა და კონფლიქტის შეკავება იმდენად, რომ ზეგავლენა არ იქონიოს საწარმოს ნორმალურ ფუნქციონირებასა და მოგების მიღებაზე.<sup>190</sup>

სეკვესტრის, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ არის დამოკიდებული მხარის მიერ იმ სავარაუდო რისკების გონივრულ დასაბუთებაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას აღნიშნული ღონისძიების არგატარების შემთხვევაში და რომელთა წინაშეც შესაძლოა აღნოჩნდეს მართლმსაჯულების მიზნების განხორციელება. ამავდროულად, აუცილებელ ვალდებულებას წარმოადგენს აღნიშნულ წინაპირობათა დასაბუთების პარალელურად მოთხოვნილი უზრუნველყოფის სახის თანაზომადობა გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სამართლებრივ სიკეთესთან მიმართებით.<sup>191</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოყანილ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ფულად ვალდებულებათა შესრულების თაობაზე შემოტანილი სარჩელის პირობებში, თანხის ერთიბლივად დაკისრებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვალდებულების პერიოდულად შესრულების განსაზღვრის არ არსებობის შემთხვევაში ნივთის სეკვესტრით გადაცემა, თავად იძულებითი მართვის ინსტიტუტიდან გამომდინარევე, ვერ იქნება მიჩნეული გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობისთვის გონივრულ საფუძვლად და, შესაბამისად, ვერ ჩაითვლება

---

<sup>189</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება №ას-69-63-2015 (2015 წ. 19 მარტი)

<sup>190</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება 2/15651-15 (2015 წ. 05 ნოემბერი)

<sup>191</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება №ას-442-418-2013 (2013 წ. 13 მაისი)

სსკ-ის 271-ე მუხლის მიზნებისთვის საკმარის და ლეგიტიმურ წინაპირობად<sup>192</sup> აღნიშნულის თაობაზე გვინდა ვთქვათ, რომ ეს გადაწყვეტილება არ მიგვაჩნია მართებულად, ვინაიდან სეკვესტრი არ ეხება მხოლოდ პერიოდულ გადასახდელებს და, ამასთანავე, თანხის სოლიდარული ანუ ერთობლივი დაკისრების შემთხვევაში მთლიანი ვალდებულების შესრულება შესაძლოა იკისროს ერთ-ერთმა სოლიდარულმა მოვალემ, რის შემდეგაც მას შეეძლება რეგრესის მოთხოვნის უფლების მოთხოვნა სხვა მოვალეთა მიმართ.

ცხადია, როდესაც მოსარჩელის მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ მოპასუხეს დაეკისროს თანხის სოლიდარულად გადახდის ვალდებულება, ჩნდება ამ უკანასკნელის ქონების სეკვესტრის შემთხვევაში ჩნდება მოსარჩელის ქონებრივი მდგომარეობის არსებითად დაზიანების საფრთხე, მაგრამ მხოლოდ მოპასუხის ქონების დაყადაღებით ან რაიმეს სახის აკრძალვის დაწესებით ამ ინსტიტუტის გამოყენებით მხოლოდ მოსარჩელის ინტერესთა გაუმართლებელი დაცვის მიღწევა იქნებოდა შესაძლებელი. სეკვესტრი კი მხარეთა ინტერესების სამართლიან დამბალანსებელი უნდა იყოს.

უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში სეკვესტრის გამოყენება საკმაოდ იშვიათად ხორციელდება. ასეთი შემთხვევის ერთ-ერთი პირველი, შეიძლება ითქვას, საეტაპო იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.<sup>193</sup> ამ შემთხვევაში სარჩელის დაკმაყოფილება ნაწილობრივ მოხდა, ე.ი. სეკვესტრის სასამართლომ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საშუალებად გამოიყენა.

სასამართლომ შუამდგომლობის დაკმაყოფილების გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს სსკ-ის 271-ე და 193-ე მუხლების თანახმად.<sup>194</sup>

როგორც აღნიშნული საქმის გარემოებებიდან ჩანს, სასამართლოს მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება და დავის სპეციფიკიდან გამომდინარე,

<sup>192</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება №ას-442-418-2013 (2013 წ. 13 მაისი).

<sup>193</sup> თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 05 ნოემბრის განჩინება საქმეზე N2/15651-15

<sup>194</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის განჩინება, საქმე- 28/7207-14

გადაწყვეტილების აღსრულების ღონისძიებად განისაზღვრა სადავო ქონებაზე დროებითი მმართველის დანიშვნა. მართალია სასამართლოს მიერ არ იქნა ხსენებული სეკვესტრისა და ქონების იძულებითი მართვის კატეგორიები, მაგრამ, არსებითად, მის მიერ სეკვესტრის ინსტიტუტის გამოყენება აშკარაა. ვფიქრობთ, სეკვესტრის ინსტიტუტის არხსენება სასამართლოს მიერ განპირობებული იყო იმით, აღნიშნული კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, სეკვესტრის დროს ხდება ქონების აღმასრულებლისათვის გადაცემა, ეს კი, პრაქტიკულად მოუქნელს ხდის სასამართლო განჩინების აღსრულებას ამ სახით.

სეკვესტრის მსგავსი სახის ინსტიტუტები საკმაოდ ბევრ განვითარებულ სახელმწიფოში არსებობს და უმეტესწილად დროებითი მმართველის ინსტიტუტის სახე გააჩნია. სეკვესტრის ინსტიტუტის გამოყენება ხშირად ხდება სასამართლოში საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული ისეთი დავების განხილვისას, როგორცაა: განქორწინება, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის თაობაზე წარმოშობილი დავები,<sup>195</sup> პარტნიორებს შორის წარმოშობილი დავები, საწარმოში წილის საკუთრებასთან დაკავშირებული დავები<sup>196</sup> და სხვ. დროებითი მმართველის დანიშვნა განსაკუთრებით ხშირად ხდება ისეთი საქმეების განხილვისას, რომლებიც საწარმოს პარტნიორებს შორის დავებს ან საწარმოს საკუთრების თაობაზე დავებს შეეხება.<sup>197</sup>

დროებითი მმართველის (სეკვესტრის) ინსტიტუტი, თავისი არაერთი უპირატესობიდან გამომდინარე, დავაში მონაწილე ყველა მხარის ინტერესთა დაცვის კარგ ინსტრუმენტად არის აღიარებული.<sup>198</sup>

დროებითი მმართველობაში სასამართლოს მიერ მოპასუხის ქონების

---

<sup>195</sup> <http://www.cbh.com/guide/benefits-of-appointing-a-receiver-in-disputes-over-closely-held-asset>

<sup>196</sup> <http://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/F2/156/908/1547978>, <http://legal-dictionary.thefreedictionary.com/receiver>.

<sup>197</sup> Simon Miller, COURT-APPOINTED RECEIVERS IN JUDICIAL DISSOLUTIONS OF LIMITED LIABILITY COMPANIES AND PARTNERSHIPS, [https://nysba.org/app/uploads/2020/02/Receiver\\_Report\\_2010.pdf](https://nysba.org/app/uploads/2020/02/Receiver_Report_2010.pdf)

<sup>198</sup> <http://www.cbh.com/guide/benefits-of-appointing-a-receiver-in-disputes-over-closely-held-assets/>



დროებით სამართავად სხვა პირის დანიშვნა იგულისხმება.<sup>199</sup> აქ მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში დროებითი მმართველი აბსოლუტურად ნეიტრალური და დამოუკიდებელი პირია,<sup>200</sup> რომელიც თავად არ წარმოადგენს დავის მონაწილე არც ერთ მხარეს, არ არის დაინტერესებული დავის საგნის დაუფლებაში და მის უპირველეს და უმთავრეს დანიშნულებას დავის პროცესის მიმდინარეობის მანძილზე სადავო ქონების დაცვა/შენარჩუნება წარმოადგენს. ასეთი მიზნით, შესაძლოა, დროებითი მმართველის დანიშვნა ბიზნესის მართვის თვალსაზრისითაც.<sup>201</sup>

დროებითი მმართველის დანიშვნა ისეთ საწარმოში, სადაც ადგილი აქვს უთანხმოებებს, თაღლითობას, არასათანადო ქცევებს, არასწორ მენეჯმენტს, იძლევა ბიზნესის წარმოების გაგრძელებისა და აქტივების შენარჩუნების შესაძლებლობას.<sup>202</sup>

იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ ხდება დროებითი მმართველის (სეკვესტრის) ინსტიტუტის გამოყენება განვითარებული ქვეყნებში, განვიხილოთ ამერიკის მაგალითზე.

ნიუ-იორკის სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საქმეზე განმარტებულ იქნა, რომ დროებითი მმართველის ვალდებულებაა სადავი ქონების დაცვა არამხოლოდ დავის განხილვის მიმდინარეობის პერიოდში, არამედ სასამართლო დავის შედეგის მიუხედავადაც კი. მისი ვალდებულებაა არა რომელიმე მხარის, არამედ ქონების დაცვის მის მიერ ნაკისრი პაუსიხმგებლობის ერთგულება.<sup>203</sup> მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ქონების ღირებულების შემცირების საშიშროების არსებობის პირობებში მისაღებად მიჩნეულ იქნა მხოლოდ მმართველის დანიშვნა და ყველა სხვა ალტერნატიული საშუალება უარყოფილად გამოცხადდა.

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, დროებითი მმართველის

---

<sup>199</sup> [https://www.law.cornell.edu/wex/temporary\\_receivership](https://www.law.cornell.edu/wex/temporary_receivership)

<sup>200</sup> <http://legal-dictionary.thefreedictionary.com/Receivership>

<sup>201</sup> Levine v. Bess Eaton Donut co., 705 A.2d 980 (1998).

<sup>202</sup> Crippin Printing Corp. v. Abel, 441 N.E.2d 1002, 1007 (Ind Ct. App. 1982)

<sup>203</sup> DB ZWIRN SPECIAL v. Tama Broadcasting, Inc., 550 F. Supp. 2d 481 (S.D.N.Y. 2008) District Court, S.D. New York, Citibank, N.A. v. Nyland (GF8) LTD.

დანიშვნას მხოლოდ დამხმარე საშუალებად მიიჩნევს და მისი დანიშვნით არ ხდება მატერიალურ უფლებების საკითხის გადაწყვეტა და არავითარ შემთხვევაში არ მიიჩნევა მატერიალური უფლების დადგენის წინაპირობად.<sup>204</sup>

როგორც აშშ-ს კანონმდებლობიდან და სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ დროებითი მმართველის დანიშვნა სასამართლოს დისკრეციული უფლებაა, იგი ფლობს ფართო უფლებამოსილებას საქმის ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზების საფუძველზე, თავად განსაზღვროს მმართველის დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების საჭიროება, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხე მხარის უფლებების დაცვის და სამართლიანობის უზრუნველყოფის გარანტირების მიზნით, საჭიროა საქმეში აშკარად იყოს გამოკვეთილი ამ ინსტიტუტის გამოყენების წინაპირობები.

ასე მაგალითად, იმისათვის რომ სასამართლომ მიიღოს დროებითი მმართველის დანიშვნის გადაწყვეტილება, საჭიროა: 1. მისი გამოყენების უმთავრესი მიზეზი მდგომარეობდეს კანონიერი უფლების დაცვაში; 2. ასეთი გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სხვა ადეკვატური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა; 3. გამოკვეთილი უნდა იყოს, რომ აღნიშნული ღონისძიების გამოყენებლობით მხარეს შეუქცევადი ზიანის მიღების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.<sup>205</sup>

მხარეს, რომელიც აყენებს დროებითი მმართველის დანიშვნის მოთხოვნას, ევალება დროებითი მმართველის დანიშვნის ხელსაყრელობისა და აუცილებელობის დამტკიცება ერთ-ერთი ან (უკეთეს შემთხვევაში) ორივე მხარის ინტერესების დაცვის მიზნით.

დროებითი მმართველის დანიშვნის საჭიროება დგება მასინ, თავიდან იქნეს არიდებული ისეთი რისკები, როგორცაა: მოტყუება, დავის საგნის დაცვის აუცილებლობა, ქონების დაზიანება, განადგურება, ღირებულების შემცირება, გახარჯვა და ა.შ.<sup>206</sup> ასევე, არსებობს დროებითი მმართველის

<sup>204</sup> Pusey & Jones Ca. v. Harissen, 1923, 261 U.S. 491, 497, 43 S. Ct. 454, 456, 67 L. Ed. 763,771

<sup>205</sup> Wood v. Phillips, 823 So.2d 648 (Ala. 2001), Gray v. Council of Town of Newark, 79 A 739 (Del Ch. Ct. 1911)

<sup>206</sup> Browning v. Blair, 169 Kan. 139, 218 P.2d 233 (1950)

დანიშვნის პრაქტიკა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით.<sup>207</sup>

ამერიკულ სამართალწარმოებაში დროებითი მმართველის დანიშვნა დავის განხილვის ნებისმიერ სტადიაზეა შესაძლებელი: 1. მანამ, სანამ მოხდება გადაწყვეტილების გამოტანა ისეთ დავაზე, რომლის პირობებშიც მოსარჩელეს მხრიდან ცხადდება უფლებისა და ინტერესის გამოხატვა სადავო ქონებაზე, ვინაიდან დავის მიმდინარეობის პერიოდში იქმნება ქონების დაკარგვის, განადგურების ანდა დაზიანების საფრთხე; 2. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ქონების გადაწყვეტილების შესაბამისად განსაკარგავად ან დავის განხილვის პროცესში ქონების დაცვის მიზნით; 3. ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც აშკარად არის გამოხატული სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე ქონების დაცვის აუცილებლობა.<sup>208</sup>

როგორც წესი, დროებითი მმართველის უფლებამოსილებათა განსაზღვრის წესი განსხვავებულია სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში და განისაზღვრება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, თუმცა გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში აქვს ადგილი დროებითი მმართველისათვის საწარმოს მმართვეის ან წარმომადგენლობის, ასევე, საერთო კრების სრული უფლებამოსილების მინიჭების შესაძლებლობებიც.

აშშ-ის ერთ-ერთი სასამართლოს მიერ დროებით მმართველს მიენიჭა მოპასუხის დირექტორის, წევრების, მენეჯერებისა და პარტნიორების უფლებებთან გათანაბრებული სრული ძალაუფლება, უფლებამოსილება და პრივილეგიები<sup>209</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულის თანახმად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დროებითი მმართველის დანიშვნა, შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა სახის საჭიროებებიდან.

თანამედროვე ეკონომიკაში არსებული მძაფრი კონკურენციის პირობებში, ნებისმიერ საწარმოს სულ მცირე დროით გაჩერებაც კი, შესაძლოა,

---

<sup>207</sup> S.C. Code § 15-65-10

<sup>208</sup> Colo. R. Civ. Proc. 66(a).

<sup>209</sup> <http://www.zeekrewardsreceivership.com/pdf/Order.pdf>

მნიშვნელოვან ზიანისმომტან ფაქტორად იქცეს და იგი გადახდისუუნარობამდეც კი მიითვანოს. ამასთანავე, აუცილებელია გავითვალისწინოთ საწარმოს მიერ სხვადასხვა სახის სამართლებრივი ურთიერთობები და ვალდებულებების არსებობაც სხვა სუბიექტების წინაშე, რაც ყოველდღიურ კონტროლსა და ზედამხედველობას საჭიროებს.

დროებითი მმართველის ინსტიტუტის ზემოთ აღნიშნული ფუნქციების გარდა, გვინდა აღვნიშნოთ, ასევე მისი კიდევ ერთი პოზიტიური როლი, რაც მისი მხრიდან საწარმოს რეპუტაციის შენარჩუნებასა და კრედიტორების წინაშე მფლობელის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში მდგომარეობს. ეს განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ დავების არსებობა, ხშირად უარყოფით და გარკვეული საფრთხეების შემცველ მოვლენად აღიქმება პარტნიორებისა და კრედიტორების მიერ. დროებითი მმართველის დანიშვნით კი იქმნება საწარმოს სრულად ფუნქციონირების გარანტიები.

მოსარჩელის მიზანი, ზოგჯერ არამხოლოდ საკუთრების უფლების მიღებაში, არამედ გადახდისუუნარიანი და მომგებიანი საწარმოს წილზე საკუთრების უფლების მოპოვებაში მდგომარეობს. დავის მიმდინარეობის პერიოდში კი, სწორედ, სეკვესტრის დადგენით კი შესაძლებელი ხდება მოსარჩელის მატერიალურ უფლებათა სრულად და ეფექტიანად განხორციელება.

რიგ შემთხვევაში ხდება ისეთი საფრთხეების წარმოშობა, რომ დროებითი მმართველის არდანიშვნის შემთხვევაში საგრძნობლად შეიცვალოს მოპასუხის საქმიანობის ფორმატი გაუარესების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია ასევე, რომ, როდესაც დროებითი მმართველის დანიშვნის აშკარა საჭიროებისა და წინაპირობების არსებობით საფუძველზე სასამართლოს მიერ ხდება დროებითი მმართველის დანიშვნა, მის მიერ დანიშნულ მმართველს განესაზღვრება მისი უფლებამოსილების ფარგლები, უფლებები და მოვალეობები. ამის პარალელურად, ყველა იმ პირს, რომლებიც ფლობდნენ იმ უფლებამოსილებებს, რომელიც სასამართლოს მიერ ახლა უკვე დროებითი მმართველს მიენიჭა, უჩერდებათ აღნიშნული უფლებამოსილებები, რაც, საწარმოში ქაოსის თავიდან აცილების მიზნით არის განპირობებული. ამასთან

აუცილებლად გასატარებელი ზომაა, აღნიშნულის შესახებ, იმ მესამე პირთა, რომელთაც უფლებებიც დროებით მმართველს გაბესაზღვრა, დროულად ინფორმირება. აღნიშნულის ყველაზე ეფექტურ გზას კი სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი ჩანაწერის განხორციელება წარმოადგენს.

#### **4.7. სეკვესტრის ინსტიტუტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

სეკვესტრის ინსტიტუტზე მსჯელობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში პირველად 2005 წლის 28 ივლისს განხორციელდა, რაც ასახულია შესაბამის გადაწყვეტილებაში, რომელშიც მკაფიოდ არის ხაზგასმული სეკვესტრის მნიშვნელობა.<sup>210</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს მიე განიმარტა აღსრულების პროცესში არამხოლოდ მოსარჩელის, არამედ მოვალის ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობაც. მოქმედი კანონმდებლობით სეკვესტრი აუქციონის უწყინარ ალტერნატივადაა მიჩნეული, ისეთი პირობით, როდესაც ხდება ქონების არა რეალიზაცია, არამედ იგი მხოლოდ სამართავად გადაეცემა ნეიტრალურ პირს.<sup>211</sup>

მოგვიანებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიერ<sup>212</sup> საკუთრების უფლების დამცავ ნორმასთან მიმართებით ანტიკონსტიტუციურად იქნა აღიარებული საქართველოს სსკ-ში არსებული ჩანაწერები, კერძოდ, 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადება და 271-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გათვალისწინებული იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ღონისძიებით დაცული სიკეთე უზრუნველყოფის

---

<sup>210</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N1/4/184,228

<sup>211</sup> შ. ქურდაძე, გ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, სამოქალაქო სააღსრულებო სამართალი, გამომცემლობა იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“, 2017, გვ. 143-144

<sup>212</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/5/675,681

ლონისძიების გამოყენების შედეგად მოწინააღმდეგე მხარისათვის მიყენებულ ზიანზე მეტი არაა.

სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება საკუთრებით სარგებლობისა და მისი მართვის უფლებამოსილებები მიანიჭოს მის მიერ შერჩეულ პირს.

სეკვესტრის დადგენის პირობებში არა იურიდიულად, მაგრამ ფაქტობრივად, ხდება საკუთრების უფლების არსებული მესაკუთრიდან მესამე პირზე გადაცემა.

საკუთრების უფლების სხვა პირისათვის გადაცემა ყოფილი მესაკუთრის მიერ საკუთარი ქონების მართვისა უუნარობისა და სხვა უფლებების დროებით ჩამორთმევის განმაპირობებელი ხდება.

დროებითი მმართველის დანიშვნა უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსია, რომლის გამოყენების შემთხვევაში, კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს აქვს ვალდებულება დაადგინოს ყოველი ამ ღონისძიების გამოყენების კანონიერება და მათი გამოყენების აუცილებლობა. კანონიერებაში დარწმუნების შემდეგ იგი იძენს დროებითი მმართველის დანიშვნის უფლებამოსილებას და ახლა უკვე მის ვალდებულებას წარმოადგენს დროებითი მმართველისათვის მისი უფლებამოსილებების განსაზღვრა. ამასთან, მოსამართლეს უფლება აქვს თავად განსაზღვროს მმართველისათვის მისანიჭებელი უფლებამოსილების ფარგლები.

საყურადღებოა ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლში ჩამოთვლილი უზრუნველყოფის ღონისძიებებიც. მაგრამ მასში არაა პირდაპირ მითითებული სასამართლოს მიერ დროებითი მმართველის დანიშვნის უფლებამოსილების თაობაზე. მაგალითად, საქართველოს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონშიც და „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ კანონშიც არის განმარტებული ის სპეციალური ღონისძიებები, დროებითი ადმინისტრაციის ან მეურვის დანიშვნის სახით, რომლის მიზანიც მეანაბრებისა ან/და კრედიტორების ინტერესთა დაცვაში მდგომარეობს. მსგავსი ჩანაწერი კი არ არსებობს ამრიგად მნიშვნელოვანი უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ არსებულ.

საკუთრების უფლების შეზღუდვის გამართლების შემფასებელი სტანდარტი არის პროპორციულობის ტესტი. აუცილებლად მიგვაჩნია, კანონმდებლობაში განსიზღვროს ის კრიტერიუმი, რომელთა მიხედვითაც მოსამართლეს ექნება მოსარჩელისა და მოპასუხის ინტერესების გაანალიზებისა და, ასევე დავის საგნის ბუნების გათვალისწინებით კერძო და საჯარო ინტერესების განსაზღვრის ვალდებულება.

უნდა ითქვას, რომ ზოგადად, დროებითი მმართველის დანიშვნა, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიება, გამართლებულად არის მიჩნეული, თუმცა დროებითი მმართველის უფლებამოსილებები განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა განისაზღვროს, რათა თავიდან იქნას აცილებული ისეთი შეცდომის დაშვების ან თვითნებობის ფაქტის დადგომა, რაც საკუთრების კონსტიტუციური უფლებისათვის საფრთხეს შემქნელი გახდება.

კერძოსამართლებრივი დავების განხილვის დროს სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, საკანონმდებლო ნორმების ინტერპრეტირების დროს სასამართლოს მიერ გათვალისწინებული უნდა იქნას ის მოსალოდნელი შედეგი, რომელიც შესაძლოა დადგეს გადაწყვეტილების შედეგად და ესა თუ ის ზეგავლენა მოახდინოს კონსტიტუციურ ძირითად უფლებათა განხორციელებაზე. აღნიშნულის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ თავიდან იქნას აცილებული ერთი მხარისათვის სხვა პირების კონსტიტუციური უფლების გაუმართლებლად შეზღუდვის ხარჯზე სარგებლის მინიჭება.

ამრიგად, საპროცესო კანონი არ შეიცავს საკმარისად ცხად წესს, რაც ესოდენ მკაცრი ღონისძიების გამოყენებისათვის არის აუცილებელი, რაც შემდგომ დახვეწას მოითხოვს.

#### **4.8. აღმასრულებელი მმართველის როლში**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოითხოვს, რომ სეკვესტრის სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის სახით

გამოყენებისას, ქონება სამართავად გადაეცეს აღმასრულებელს, რაც პრინციპულად არასწორი დებულებაა. საქმე ის არის, რომ „მმართველის ფუნქციაა ყველა იმ ქმედების განხორციელება, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ სეკვესტრს დაქვემდებარებულმა ქონებამ შეინარჩუნოს თავისი სამეურნეო პოტენციალი და შესაძლებელი იყოს კანონის შესაბამისად მისი გამოყენება“.<sup>213</sup> სეკვესტრი გულისხმობს ქონების მართვას მესაკუთრის ნაცვლად, მის ნაცვლად ქონებით სარგებლობას. თავისი ფუნქცია-მოვალეობებით, აღმასრულებელი არ წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტს. გარდა ამისა, ქონების მართვა ზოგჯერ სპეციალურ ცოდნასა და უნარებს მოითხოვს. თავისი სტატუსიდან გამომდინარე, აღმასრულებელმა შეუძლებელია შეასრულოს ქონების მმართველის ფუნქცია. ამიტომ, სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის სიტყვასიტყვითი გაგება დაუშვებელია. მიზანშეწონილი იქნება, თუკი სეკვესტრის დადგენისას სასამართლო განსაზღვრავს აღსრულების გარკვეულ წესსა და საშუალებას, იმას, თუ როგორ უნდა აღსრულდეს სეკვესტრის გამოყენების შესახებ განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით.

სამწუხაროდ სასამართლოები ერთი მხრივ, არასწორად და სიტყვასიტყვით იგებენ 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის დანაწესს, მეორე მხრივ, არ იყენებენ ამავე მუხლის მე-3 ნაწილს. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სეკვესტრის გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველი, სხვა საფუძველებთან ერთად ისიც გახდა, რომ მოსარჩელე მოითხოვდა სეკვესტრის სახით ქონების გადაცემას ნეიტრალური პირისათვის, რომელიც არ წარმოადგენდა აღმასრულებელს.<sup>214</sup>

გარდა ამისა, ამ საქმეზე სასამართლომ ყადაღის არსებობის ფაქტი სეკვესტრის გამოყენება - არგამოყენების მიზანშეწონილობას დაუკავშირა და

<sup>213</sup> Hans Brox, Wolf-Dietrich Walker, L. Zwangs-vollstreckungsrecht, Carl Heymanns Verlag, 2008, 461

<sup>214</sup> თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 20 აგვისტოს განჩინება საქმეზე N 2/183-20. იგივენაირი ვიწრო გაგება მისცა 198-ე მუხლის მე-2 ნაწილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ თავის 2021 წლის 20 ივლისის საქმეზე N28/1023-20



უფრო მეტიც, სეკვესტრის გამოყენება - არგამოყენების განმაპირობებელ ფაქტად მიიჩნია, რაც არანაირად არ არის ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში და ეწინააღმდეგება როგორც სარჩელის უზრუნველყოფის მომწესრიგებელ ნორმებს (191-ე, 198-ე მუხლები), ისე სამოქალაქო მატერიალურ კოდექსს (მუხლი 151).

სასამართლომ კანონის დარღვევით დაავიწროვა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების საფუძვლები და განჩინებაში აქცენტი მხოლოდ აღსრულების შეუძლებლობაზე ან გამწვანებაზე გადაიტანა და აღნიშნა, რომ რადგან საქმეზე უკვე გამოყენებულია უზრუნველყოფის ისეთი სახე, როგორც ყადაღა, აღარ გახდებაო შეუძლებელი ან ძნელი აღსრულება.

სასამართლომ ასევე სრულიად უკანონოდ ჩათვალა, რომ ქონებაზე სარჩელის უზრუნველყოფის სახით სეკვესტრის დადგენა საჭიროებდა ქონების შეფასებას. ამით სასამართლომ გააიგივა სეკვესტრის, როგორც უზრუნველყოფის ინსტიტუტი, სამოქალაქო სააღსრულებო სამართალში გამოყენებულ სეკვესტრთან. სააღსრულებო სამართალში სეკვესტრის გამოყენებას მართლაც სჭირდება აღსასრულებელი მოთხოვნისა და სეკვესტრის საგნის ღირებულებათა თანაფარდობის დადგენა. სსსკ-ის 198-ე მუხლის შესაბამისად, რომელშიც ჩამოთვლილია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, არ არის გათვალისწინებული ქონების შეფასების აუცილებლობა სეკვესტრის გამოყენებისას ან გამოსაყენებლად. შესაბამისად, სასამართლომ უკანონო მოთხოვნა დაუწესა მოსარჩელეს და ისევ ყადაღას დაუკავშირა ამით სეკვესტრის გამოყენება. სეკვესტრის გამოსაყენებლად ქონების შეფასება, როგორც ითქვა, გათვალისწინებულია მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსასრულებლად.

თუკი ყადაღის დადებით სასამართლომ დავის საგანს იცავს განკარგვისაგან და ამით შესაძლებელი ხდება სარჩელი დაკმაყოფილების შემთხვევაში ქონების ნატურით მიღება, ამის საპირისპიროდ, ყადაღა ვერ უზრუნველყოფს მოსარჩელის, როგორც პოტენციური მესაკუთრის შესაძლებლობას, იღებდეს შემოსავალს ნივთიდან, რომელზეც კანონის ძალით

უკვე ეკუთვნის საკუთრების უფლება (დავის საგანს მოცემულ საქმეზე წარმოადგენდა სამკვიდროს მიკუთვნება, ასევე ზიანის ანაზღაურება. ამიტომ სასამართლოს ევალუბოდა გაეთვალისწინებინა დავის ხასიათი).

სსსკ-ის 198-ე მუხლის შესაბამისად, სეკვესტრი გულისხმობს მოპასუხისათვის ქონების ჩამორთმევას და სამართავად მმართველისთვის გადაცემას.

სასამართლო თავისუფალია მმართველის შერჩევის საკითხში. იგი მხარეთაგან სრულიად დამოუკიდებელი პირი უნდა იყოს.

აღმასრულებელი რომ მმართველის როლში ვერ მოგვევლინება, ამას არაპირდაპირ ის გარემოებაც ადასტურებს, რომ მაგალითად „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აღმასრულებელი თვითონ შეიძლება იყოს ქონების შემფასებელი, თუმცა, შეფასებას ახორციელებს სპეციალური სუბიექტი. აღმასრულებელმა სეკვესტრის განხორციელებისას შეიძლება მოიწვიოს და უნდა მოიწვიოს კიდევ მმართველი. სრულიად დასაშვებია აღსრულების ეროვნული ბიუროს შტატშიც იქნეს აყვანილი მმართველი.

#### **4.9. სეკვესტრისა და ყადაღის ღონისძიებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი**

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ყადაღის, ასევე სეკვესტრის შემთხვევაში მოპასუხის ქონებრივი უფლებები გარკვეულწილად არის შეზღუდული, მაგრამ ეს გარემოება ამ ორი ინსტიტუტის გაიგივების საფუძველი ვერ იქნება. დაუჩვენებლად მიგვაჩნია ფრანგული სამართლის მიდგომის გაზიარება სეკვესტრისა და ყადაღის გაიგივების შესახებ.<sup>215</sup> ყადაღის დადება დადებითი გავლენის მქონეა მოსარჩელის ინტერესების დაცვაზე, იმ შემთხვევაში, როდესაც სეკვესტრის ღონისძიების განხორციელება შესაბამისობაში მოდის ორივე მხარის ინტერესებთან. ყადაღის დადებაში, მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, იგულისხმება მისი აღსრულების

---

<sup>215</sup> Dalloz – Fiches d’orientation Janvier 2023 Séquestre - გამომცემლობა დალოზის ორიენტაციის კრებული, 2023 წლის იანვარი - სეკვესტრი - <https://www-dalloz-fr.ressources.univ-poitiers.fr/documentation/Document?id=DZ/OASIS/000985>

უზრუნველყოფა, რომლის დროსაც, როგორც წესი, მესაკუთრე უუქმდება ყადაღის საგანის მესაკუთრეობის უფლება. სეკვესტრის შემთხვევაში კი, პირიქით, მოპასუხეს საკუთრების უფლების შენარჩუნებაა შესაძლებელი.

ფრანული სამოქალაქო კოდექსი იცნობს ორი სახის: სახელშეკრულებო (შეთანხმებითი) სეკვესტრს და სასამართლოს მიერ დადგენილ სეკვესტრს, რაც 1955-ე მუხლშია მოცემული.

**შეთანხმებითი სეკვესტრი** (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1956-ე მუხლი) არის ხელშეკრულება ერთი მხრივ, მოდავე მხარეებსა და მეორე მხრივ, მესამე პირს შორის, რომლითაც მესამე პირი იღებს ვალდებულებას შეინახოს სადაო ნივთი და დაუბრუნოს იმ მხარეს, რომელიც ცნობილი იქნება მესაკუთრედ.<sup>216</sup>

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1957-ე მუხლის თანახმად, სეკვესტრი არის როგორც სასყიდლიანი, ასევე უსასყიდლო. ხოლო 1959-ე მუხლის მიხედვით, სეკვესტრის საგანი შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ნივთები.

სასამართლოს სეკვესტრი (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1961-ე მუხლი), არის მოსამართლის განკარგულების საფუძველზე მიღებული საპროცესო უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც უმეტეს შემთხვევაში პროცესის იმ მონაწილე მხარის მოთხოვნით დგინდება, რომლის მფლობელობაშიც არ არის საგანი და რომელიც შიშობს, რომ დაკარგავს მას.<sup>217</sup>

ქართულ სამართალშიც ყურადღება მახვილდება სეკვესტრის საგნის მოპასუხის მფლობელობაში არსებობის აუცილებლობის შესახებ. ერთ-ერთ საქმეზე, რომელზეც მოსარჩელე მოითხოვდა დაევალდებულენათ მოპასუხე გადაეცა მის მფლობელობაში არსებული ქონება აღმასრულებლისათვის (თბილისის სააღსრულებო ბიურო) სეკვესტრის (იძულებით მართვის) სახით, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული მოთხოვნა არ დაეკმაყოფილებინა,

---

<sup>216</sup> Dalloz – Fiches d’orientation Janvier 2023 Séquestre - გამომცემლობა დალოზის ორიენტაციის კრებული, 2023 წლის იანვარი - სეკვესტრი - <https://www-dalloz-fr.ressources.univ-poitiers.fr/documentation/Document?id=DZ/OASIS/000985>

<sup>217</sup> სერჟ ბრუდო (ვერსალის სააპელაციო სასამართლოს საპატიო მრჩეველი), კერძო სამართლის ენციკლოპედია - [www.dictionnaire-juridique.com](http://www.dictionnaire-juridique.com)

რადგან აღმასრულებელს სეკვესტრის სახით შესაძლოა გადაეცეს მოპასუხის მფლობელობაში არსებული ქონება, თუ იგი საჭიროებს იძულებით მართვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.<sup>218</sup>

ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, ტერმინ „სეკვესტრის“ გამოყენება ხდება როგორც პირის, ასევე სამართლებრივ ინსტიტუტის აღმნიშვნელადაც. სეკვესტრის განმახორციელებელია პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ განესაზღვრება საგნის შენახვის ან მისი მართვის ვალდებულება. სეკვესტრის დადგენა დროებითი უზრუნველყოფის საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ფოლადი თანხის ან მოძრავი/უძრავი ქონების მყისიერად ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევის მომენტამდე. სეკვესტრის გამოყენება ხდება პირებს შორის რაიმე ნივთის/ქონების მფლობელობასთან დაკავშირებული დავის არსებობის პირობებში.<sup>219</sup>

თუმცადა, ყადაღა არ წარმოადგენს მოსარჩელის (კრედიტორის) უფლებების საბოლოოდ დაკმაყოფილების უზრუნველყოფ საშუალებას. მაგალითად, მართალია, შესაძლებელია მოვალის საბანკო ანგარიშის დაყადაღება, მაგრამ აღნიშნულის განხორციელება შეიძლება მხოლოდ ქონების მოვალის საკუთრებაში დარჩენის პირობით. ამ შემთხვევაში მოვალე რჩება მიღებული შემოსავლების ამ ანგარიშზე არასახვის სხვადასხვა საშუალებები, სეკვესტრის შემთხვევა კი ითვალისწინებს არა მხოლოდ ქონების შენარჩუნების, არამედ შემოსავლების დაგროვებისა და შენარჩუნების უზრუნველყოფას. ყადაღის ინსტიტუტი გამოყენება მიზანშეწონილია ნებისმიერი მოთხოვნის საფუძველზე, იქნება ეს ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნისა, თუ რაიმე სახის სადავო საგნის დაბრუნების მოთხოვნის თაობაზე შეტანილი სარჩელი. სეკვესტრის დადგენისათვის კი

---

<sup>218</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 თებერვლის განჩინება საქმეზე: N 2/1596-13

<sup>219</sup> სერჟ ბრუდო (ვერსალის სააპელაციო სასამართლოს საპატიო მრჩეველი), კერძო სამართლის ენციკლოპედია - [www.dictionnaire-juridique.com](http://www.dictionnaire-juridique.com). სერჟ ბრუდო ამ დეფინიციის განსაზღვრისას, ეყრდნობა შემდეგ სადოქტორო ნაშრომს - ჟ. ბრუტინის სადოქტორო ნაშრომი - სეკვესტრის პირობა და ფასის გარანტია“; პარიზი, 1991 - J. Bruttin - la thèse „la Clause dite de séquestre et de nantissement du prix“; Paris, 1991

წინაპირობად განსაზღვრულია ისეთი დავის არსებობა, რომელსაც საგანიც ფულადი ვალდებულებაა. იმ შემთხვევაში, როდესაც დავის საგანს წარმოადგენს ერთდროულად ფულადი ვალდებულებაც და რაიმე სახის მატერიალური ნივთის დაბრუნება, უფრო უპრიანად სეკვესტრის გამოყენებაა მიჩნეული.

#### **4.10. სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებები**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დღევანდელი მდგომარეობით ითვალისწინებს რამდენიმე სახის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას, ესენია: მოპასუხის საკუთრებაში არსებული და უშუალოდ მის ხელთ ან სხვა პირთან არსებული ქონების, ფასიანი ქაღალდებისა თუ ფულადი სახსრების დაყადაღება; მოპასუხის მიერ გარკვეულ მოქმედებათა განხორციელების აკრძალვა; მოპასუხისათვის მის მფლობელობაში არსებული ნივთის აღმასრულებლისათვის სეკვესტრის სახით გადაცემის ვალდებულების დაკისრება; სხვა პირების მხრიდან მოპასუხესათვის ქონების გადაცემის ან მის მიმართ რაიმე სახის ვალდებულების შესრულების აკრძალვა; ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება, გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, მუნიციპალიტეტის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება; ისეთი საქმეების შესახებ სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება, რომელთა აღძვრის საფუძველს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენდა ან რომლის წარმოების განახლების თაობაზეც უკვე არის შეტანილი განცხადება; სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების პარტნიორისათვის წარმომადგენლობითი ან

ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებების ჩამორთმევის მოთხოვნით აღძრულ საქმეზე უფლებამოსილების შეჩერება.<sup>220</sup>

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახეებისა, სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სხვა ღონისძიება, თუ არსებობს ამის საჭიროება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით. ღონისძიების შერჩევა არამარტო მოსართლის დამოუკიდებელი გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება, არამედ მოსარჩელე სასამართლოსთვის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართვისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ასაბუთებს იმ ღონისძიებას, რომლის გამოყენებაც მიაჩნია მიზანშეწონილად.<sup>221</sup> დღესდღეობით პრაქტიკაში ყველაზე ხშირია ყადაღის დადების ღონისძიება<sup>222</sup>, რაც გულისხმობს მესაკუთრის მიერ ქონების განკარგვის აკრძალვას- გასხვისებას, დაგირავებას, ქირავნობას და სხვა. <sup>223</sup> ყადაღა გამოიყენება არამარტო ქონებრივ არამედ არაქონებრივ დავებშიც, სადაც მაგალითად მხარე ვალდებულია მეორე მხარეს მის სასარგებლოდ გადაუხადოს კონკრეტული თანხა და კრედიტორის სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ყადაღა დაედოს მოპასუხის უძრავ ქონებას.<sup>224</sup>

მიუხედავად იმისა, რომ კანონი არაერთ სარჩელის უზრუნველყოფის სახეს იცნობს და ითვალისწინებს, ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს სასამართლოს პრაქტიკაში გამოყენებულ აქტუალურ ღონისძიებებზე. თუ რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, კონკრეტული დავის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ქემდეგი არის მოპასუხისთვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა. [სასამართო იტოვებს უფლებამოსილებას აუკრძალოს მოპასუხეს იმ გარკვეული

<sup>220</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

<sup>221</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

<sup>222</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მე-2 გამოც., თბ., 2007, გვ.351.

<sup>223</sup> [http://nbe.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=344](http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=344)

<sup>224</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 12 თებერვლის განჩინება საქმეზე: N ას-1501-2019.

მოქმედებების შესრულება, რომელიც შეეხება დავის საგანს.<sup>225</sup> მუხლის ეს ქვეპუნქტი კონკრეტულად არ განმარტავს თუ რა ქმედების აკრძალვის უფლება აქვს სასამართლოს მოპასუხისთვის. მაგალითად, მოპასუხეს მოსარჩელის შუამდგომლობით შესაძლოა აეკრძალოს ქირავნობის ხელშეკრულების დადება სხვა პირებთან, ვინაიდან დავა წარმოიშვა გამქირავებლის (მოპასუხის) მიერ არამართლზომიერად საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად.

შემდეგი ღონისძიება არის მოპასუხისათვის მის მფლობელობაში არსებული ნივთის აღმასრულებლისათვის სეკვესტრის სახით გადაცემის ვალდებულების დაკისრება. ამ შემთხვევაში მმართველს ნიშნავს სასამართლო, რომელსაც მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სამართავად გადასცემს სხვა პირს. ქონების შენარჩუნება არის გარანტირებული და არ ხდება მისი რეალიზაცია.<sup>226</sup>

სასამართლო ასევე უფლებამოსილია სხვა პირს აუკრძალოს მოპასუხეს გადასცეს ქონება ან მის მიმართ განახორციელოს რაიმე სახის ვალდებულება. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია აკრძალვა მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის, ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მის მიმართ ვალდებულების შესრულება და სხვა. გორმაში ასევე შესაძლოა მოიაზრებოდეს ვალდებულებები, რომლებიც უშუალოდ არ გამომდინარეობენ ხელშეკრულებებიდან.

---

<sup>225</sup> ქურდაძე, გვ. 387

<sup>226</sup> სამოქალაქოს კომენტარი ლილუაშვილი, ხრუსტალი, გვ. 352

## დასკვნა

კვლევის შედეგები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგ დასკვნებსა და რეკომენდაციებში:

მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და განმტკიცება. სამართლებრივი უსაფრთხოება სწორედ დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და სამართლიან სამართალწარმოებაში ჰპოვებს ასახვას.

მიუხედავად იმისა, რომ სწრაფი მართლმსაჯულება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია, რამდენად სწრაფი და კანონიერიც არ უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილება, მართლმსაჯულების ძირითადი მიზანი განუხორციელებელი დარჩება, თუ უზრუნველყოფილი არ იქნა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მიზანშეწონილად არ არის მიჩნეული აღიარებითი სარჩელის ცნების დაფიქსირება. რაც შეეხება სარჩელის სახეებად დაყოფას, ეს დოქტრინის პრეროგატივას წარმოადგენს. მითუმეტეს, სარჩელის სახეებს არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნიათ მათზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. შესაბამისად, ნებისმიერი სარჩელის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა დასაშვებია.

საქართველოს სსკ-ის XXIII-ე თავში სარჩელის უზრუნველყოფის სახელწოდების სახის დასათაურებით იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს კანონმდებლის მიერ მხოლოდ მოსარჩელის უფლებათა უზრუნველყოფაა გათვალისწინებული. მართალია სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის დროს გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მექანიზმი გავაიგივოთ სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმთან. სარჩელის უზრუნველყოფა მხოლოდდამხოლოდ უზრუნველყოფის ღონისძიებების სისტემა ერთ-ერთ საპროცესო მოქმედებაა, რაც წარმოშობის სამოქალაქო



საპროცესო კოდექსის დასახელებული თავის ჩანაცვლების აუცილებლობას სხვა ახალი ინსტიტუტით „უზრუნველყოფის ღონისძიებების“ გამაერთიანებელი სახელწოდებით.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მექანიზმი უნდა გაფართოვდეს იმ თვალსაზრისით რომ ის გახდეს იმ მოპასუხის უფლებების უზრუნველყოფის საშუალებაც, რომლის სასარგებლოდაც გამოვიდა გადაწყვეტილება. ასეთი გადაწყვეტილებით შესაძლოა მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ ეკისრებოდეს სასამართლო ხარჯი, თუმცა არსებული წესის პირობებში მიმდინარე დავის ფარგლებში მოპასუხე მოკლებულია თავის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით მოპასუხის ინტერესების დაცვის ბერკეტად ვერ გამოდგება შებრუნებული უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსებობა, ვინაიდან მოსარჩელის სასარგებლოდ შესაძლოა სულაც არ იყოს მანამდე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის გარეშე არც შებრუნებული უზრუნველყოფის შესაძლებლობა არსებობს. ამრიგად მოპასუხის უფლებათა სამომავლო დაცვისთვის ნაკლებ არეალს ტოვებს უზრუნველყოფის დროს არსებული მოწესრიგება.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის განვითარების ტენდენციის მართებულობის დამადასტურებელია ის ასპექტი, რომ სსკ-ში შესულ ცვლილებათა მიზანი მოსარჩელის ინტერესთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებასა და სასამართლო აქტების აღსრულების გარანტიების გამყარებაში მდგომარეობს. აუცილებელია, რომ სამოქალაქო პროცესში უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტის განვითარება მოხდეს სამოქალაქო ბრუნვის თანამედროვე ასპექტების გათვალისწინებით. თუმცა ვფიქრობთ, ვერც მათ გაუაზრებლად გამოყენებას მივემხრობით, ვინაიდან ვინაიდან, შესაძლოა, კანონმდებლის ამა თუ იმ დანაწესის შემოღებით დასახულმა მიზნებმა აღარ გაამართლოს.

შეუძლებელია გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიებები ამომწურავი იყოს. გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ინსტიტუტის გამოყენება დასაშვებია უფლებრივი დავის გამო აღძრული ნებისმიერი კატეგორიის საქმეში და მისი გამოყენებით საქმის საბოლოო შედეგზე არანაირი გავლენის მოხდენა არ ხდება, ამასთან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ინსტიტუტი სასამართლოს მიერ დადასტურებული უფლების აღსრულებას რეალურს უნდა ხდიდეს ნებისმიერი იმ მხარისათვის, რომლის სასარგებლოდაც გამოვიდა გადაწყვეტილება. ამით ის განსხვავდება სარჩელის უზრუნველყოფისაგან, რომელიც მხოლოდ მოსარჩელეს იცავს. მაშასადამე, ხელს უწყობს საქმეზე აღსრულებადი გადაწყვეტილების გამოტანას.

თუკი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება დასაშვებად არის მიჩნეული ვარაუდის ხასიათის მქონე ფაქტების საფუძველზეც კი, მაშასადამე, ამგვარი არ არსებობს მათ დასასაბუთებლად მტკიცებულებების წარდგენის აუცილებლობაც და გადაწყვეტილების უზრუნველყოფა უშუალოდ საქმის შედეგზეა დამოკიდებული. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საფუძველებით ვერ ვიღებთ პასუხს ისეთ მნიშვნელოვან კითხვაზე, რომელიც მიმართულია იმ საკითხის გაკვევისათვის თუ რომელ სტადიაზე უნდა იქნას წარდგინილი სასამართლოს მხრიდან ესა თუ ის მტკიცებულება. ამასთან, თავად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების შუამდგომლობის მიზეზებად განსაზღვრული სავარაუდო გარემოებები დამოკიდებულია საქმის ხასიათზე, ამასთან, აღნიშნული სახის მიზეზი და გარემოება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს თავად მოპასუხის პიროვნებასთანაც კი.

ისევე როგორც სარჩელის უზრუნველყოფის, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შემთხვევაშიც შესრულებული საპროცესო მოქმედების მიზანი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებადობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს, თუმცა მისგან განსხვავებით მისი მიზანი არ არის ვიწრო კერძოდ მხოლოდ მოპასუხის მიერ ქონების რეალიზაციისაგან თავის დაზღვევა ან მოპასუხის სხვა არასასურველი, არაკეთილსინდისიერი

მოქმედებისაგან თავის დაზღვევა, დავის საგნის (დავის მატერიალური ობიექტის) შენარჩუნების გზით.

გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირისათვის, როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის სტატუსის განსაზღვრა იმის მიხედვით, თუ რომელი მხარის სასარგებლოდ არის გამოტანილი გადაწყვეტილება. თუ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ არის მიღებული გადაწყვეტილება ორივე მხარეს გააჩნია შემხვედრი უზრუნველყოფის წარდგენის უფლებამოსილება. ასევე ორივე მხარეს აქვს ეფექტიანი და პრევენციული დაცვის უფლება. ეფექტიანი დაცვა სარჩელით გულისხმობს მოთხოვნილი უფლების მოპოვებას, ხოლო პრევენციული დაცვის პირობებში აუცილებელია სამართლებრივი გარანტიის არსებობა, იმის თაობაზე, რომ უფლების აღდგენამდე, იარსებებს ამ უფლების გაუქმების პრევენციისაკენ მიმართული ღონისძიებები.

ასევე დასაშვებლად არის მიჩნეული, რომ საქმეზე ერთდროულად იქნას გამოყენებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფის რამდენიმე ღონისძიება, ოღონდ აუცილებლად უნდა იქნას დაცული პროპორციულობის/თანაზომადობის პრინციპი, ანუ უზრუნველყოფის შერჩეული ღონისძიება უნდა იყოს როგორც გონივრული, ასევე სარჩელის ფასის პროპორციულიც.

იმ თვალსაზრისით, აშკარად ხარვეზიანია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელიც პროპორციულობის დაცვის იმპერატივს უკავშირებს მარტოდენ ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევას, მაშინ როცა პროპორციულობის დაცვა საჭიროა ნებისმიერ შემთხვევაში, უზრუნველყოფის ნებისმიერი ღონისძიების გამოყენებისას. მითუმეტეს, უზრუნველყოფის მექანიზმს ფართო მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, დასახელებული ნორმა უნდა ჩამოყალიბდეს იმდაგვარად, რომ პროპორციულობა მოითხოვებოდეს ზოგადად უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას და არა მხოლოდ ყადაღის შემთხვევაში. აღნიშნული არა მარტო მხარეთა ინტერესებს დააბალანსებს, არამედ ხელს შეუწყობს საპროცესო

უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელებას სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების დროული და სწორი გამოყენების პირობებში უზრუნველყოფილია სამოქალაქო სამართალწარმოების ეფექტიანობა და პროცესის მიზნების რეალური განხორციელება. ასეთ პირობებში ასევე რეალური და აღსრულებადია საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებაც და უზრუნველყოფილია მოპასუხის უფლებების დაცვაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რომელი ღონისძიება და რომელ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით შეიძლება იქნეს გამოყენებული, რომ ამა თუ იმ ღონისძიებას პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხში, უზრუნველყოფის დანარჩენ ღონისძიებათა შორის და რომ სწორედ ეს ღონისძიება უპირატესად უნდა იქნეს გამოყენებული განსაზღვრული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე. როდესაც სასამართლო წყვეტს საკითხს, არსებობს თუ არა გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი და თუ არსებობს, რომელი ღონისძიება უნდა იქნეს შერჩეული, აუცილებლად მოცემულ შემთხვევაში, ყოველთვის ითვალისწინებს საქმის კონკრეტულ გარემოებებს.

გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ინსტიტუტი გამოყენებული უნდა იქნეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების მიმართ. მისი გამოყენება დაუშვებელია დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების მიმართაც. როგორც ძალაში შესულ, ისე დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებებზე გაიცემა სააღსრულებო ფურცელი და შესაბამისად, მათი უზრუნველყოფა ხორციელდება სააღსრულებო წარმოების ფარგლებში აღმასრულებლის მიერ შესაბამისი ღონისძიებების შესრულებით (ქონებაზე, მათ შორის მოთხოვნებზე ყადაღის დადებით და სხვა) და არა სასამართლოს მიერ.

კვლევაში განხორციელებული მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღუდავი უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული

ძირითადი პრობლემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია შემდეგი დასკვნების ჩამოყალიბება:

სასარჩელო წარმოება სამოქალაქო ბრუნვის დამაბრკოლებელ ან შემზღვეველ ფაქტორს არ წარმოადგენს, ვინაიდან სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემდეგაც კი მხარეები ინარჩუნებენ გარკვეული სხვა გზებით დავის საგნის გაყიდვის ან გასხვისებისა და მათი მხრიდან წაყენებული მოთხოვნის დათმობის უფლებას. ამასთანავე, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სავალდებულოობის კონსტიტუციური პრინციპის განხორციელების მიზნით, კანონმდებლის მიერ დაშვებულია საერთო წესიდან გადახვევის შესაძლებლობათა გამოყენება. მის მიერვეა დადგენილი უზრუნველყოფის სახით დროებითი ღონისძიებების გამოყენების წესი და გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობათა კონკრეტული მექანიზმი, რომლის გამოყენება პოტენციურად აღსრულებადს ხდის გადაწყვეტილებას და მოწინააღმდეგე მხარის არაკეთილსინდისიერი ქმედებებით განპირობებული დაბრკოლებების თავიდან აცილებას ემსახურება. უზრუნველყოფის აღნიშნული ბერკეტების გამოყენებით მოსარჩელე დაცულია გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მის აღსრულებაზე მოქმედი ობიექტური რის-კვაქტორებისაგან.

სასამართლო უნდა ითვალისწინებდეს ფაქტობრივ მოცემულობას და, მხარეთა ინტერესების დაბალანსების მიზნით, უზრუნველყოფის იმგვარ ღონისძიებას უნდა იყენებდეს, რომ უსაფუძვლოდ და მეტისმეტად არ შეიზღუდოს, როგორც მოვალის, ასევე, მესამე პირთა ინტერესები.

აუცილებელია, ასევე თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებაც. შესაბამისად, დაუშვებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებამ მხარის დასჯის მექანიზმის სახე მიიღოს და იგი კანონით ზუსტად გათვალისწინებულ შემთხვევების სამსახურში უნდა იდგეს. სარჩელის უზრუნველყოფის არსის თანახმად, მისი შერჩევა სასამართლო მიერ სასარჩელო მოთხოვნის ხასიათისა და მოცულობის შესაბამისად უნდა განხორციელდეს. ამასთანავე აუცილებელია უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლების

ადეკვატურობა სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით. დაუშვებელია უზრუნველყოფის ღონისძიებით ქონებრივი უფლების გაუმართლებლად შეზღუდვა და ამ თვალსაზრისით მხარეებისათვის არათანაბარი პირობების შექმნა.

მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღუდველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ძირითადი მიზანი მოსარჩელის დარღვეული უფლების იძულებითი აღდგენისათვის საპროცესო პირობების შექმნაში მდგომარეობს. ასეთი სახის პირობების შექმნისა და, შესაბამისად, უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს ყადაღის დადება მოპასუხის ქონებაზე.

ქონებაზე ყადაღის დადება არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი, იძულებითი უზრუნველყოფის საპროცესო საშუალება, რომლის სასამართლოს მიერ გამოყენებაც ხდება კანონით დადგენილი წესით, მისი გამოყენების საფუძვლის, პირობებისა და ქონების დაკარგვის თავიდან აცილების მიზნის არსებობის შემთხვევაში. ქონებაზე ყადაღის დადებით შესაძლებელი ხდება ქონების მფლობელისათვის ისეთი საფრთხეების თავიდან არიდება, რაც შესაძლებელია მომავალში ქონების დაკარგვის ან მის რაიმე სახით დაზიანების სახით შეიძლება გამოვლინდეს.

ქონებაზე ყადაღის დადება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მისი დადასტურებული აუცილებლობის შემთხვევებში ანუ სამოქალაქო საქმეში ისეთ კონკრეტულ გარემოებათა არსებობაში დარწმუნების შემდეგ, როდესაც აღნიშნული ღონისძიების გამოუყენებლობით საფრთხე ექმნება გადაწყვეტილების აღსრულებას: ცხადად არის გამოკვეთილი, რომ არსებობს მოცემული ქონების შემცირების ან მისი გასხვისების, დაკარგვის, განადგურებისა და სხვა სახის საფრთხეები.

უკვე წარდგენილი ან სამომავლოდ აღსაძრავი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქონებაზე ყადაღის დადების ფაქტობრივი საფუძველია როგორც დადასტურებული, ისე სავარაუდო გარემოებები. საუბარია გადაწყვეტილების აღსრულებლობის საფრთხეზე მიმანიშნებელ

ზემოაღნიშნულ გარემოებებზე, აგრეთვე სხვა მოქმედების შესრულებისა თუ მოვლენის წარმოშობის საფრთხეზე, რომელიც შეუძლებელს გახდის ან გაართულებს გადაწყვეტილების აღსრულებას ან მოსარჩელეს მიაყენებს აუნაზღაურებელ ზიანს.

ქონებაზე ყადაღის დადების ინსტიტუტის გამოყენების პირობას წარმოადგენს გარემოება, რომლის არსებობას ან არარსებობას კანონი უკავშირებს ქონებაზე ყადაღის დადების ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის გამოყენება პრობლემურია ისეთ შემთხვევებში, როდესაც უძრავი ნივთის ფორმალური მესაკუთრე გარდაცვლილია და ამ ნივთის გამო დავა მიმდინარეობს კრედიტორსა და მემკვიდრეს შორის, ან მემკვიდრეებს შორის. პრობლემას ქმნის როგორც ამ ნორმის ფორმულირება ისე მისი არასწორი განმარტება. შესაბამისად, მიზანშეწონილია ზემოაღნიშნულ ნორმაში სიტყვები: „ყადაღის დადება მოპასუხის ქონებაზე“ შეიცვალოს სიტყვებით : „ყადაღის დადება დავის საგნად ქცეულ ქონებაზე“. ამგვარი ფორმულირება შესაძლებლობას იძლევა დაყადაღდეს სადავო ქონება, რომელიც მართალია მოპასუხის სახელზე არ არის აღრიცხული საკუთრების უფლებით, მაგრამ მოპასუხეს შესაძლებლობა აქვს გაიფორმოს მასზე სამემკვიდრეო უფლება და განკარგოს და ამით კი, თავიდან აიცილოს ქონებაზე გადახდევინების მიქცევა.

არაეფექტიანია სეკვესტრის ინსტიტუტი. პრაქტიკულად განუხორციელებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესი სეკვესტრს დაქვემდებარებული ქონების სამართავად აღმასრულებლისათვის გადაცემის შესახებ. აღმასრულებლის დატვირთვა მმართველის ფუნქციით პრაქტიკულად წარმოუდგენელია. სეკვესტრის დადგენისას გასათვალისწინებელია სამართავი ქონების თავისებურება, რაც შესაძლოა მოითხოვდეს სათანადო ცოდნით აღჭურვილი პირის შერჩევას ასეთი პირი უნდა განსაზღვროს სასამართლომ.

ის დანაწესი, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები არაამომწურავად არის განსაზღვრული და მოსამართლეს აქვს ზოგადი

უფლებამოსილება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად გადაწყვიტოს სარჩელის უზრუნველსაყოფად საჭირო რომელი ღონისძიება გამოიყენოს, არ არის საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგო. სამოქალაქო ურთიერთობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, არაგონივრულია კანონმდებელს მოვთხოვოთ, წინასწარ მოახდინოს უზრუნველყოფის თითოეული შემთხვევის იდენტიფიცირება, მათი დეტალური გაწერა. საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა გააჩნდეს გარკვეული თავისუფლება, რათა თავად განსაზღვროს, რა ღონისძიება შეიძლება გახდეს საჭირო ამა თუ იმ სამოქალაქო საქმეზე. უზრუნველყოფის ღონისძიებების წინასწარ ამომწურავად განსაზღვრა წაართმევდა მოსამართლეს შესაძლებლობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაეწყვიტა უზრუნველყოფის აუცილებლობა და შესაძლოა წარმოიშვას სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საფრთხე, ვინაიდან მოსამართლეს არ ექნებოდა შესაძლებლობა, გამოეყენებინა სარჩელის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ესა თუ ის ღონისძიება.

ამავე დროს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას სასამართლო დისკრეცია ვერ იქნება უსაზღვრო. სასამართლო შეზღუდულია, ერთი მხრივ, კონსტიტუციური უფლებებითა და პრინციპებით, ხოლო, მეორე მხრივ, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესუალური ნორმებით. სამოქალაქო ურთიერთობების მრავალფეროვნების მიუხედავად, კანონმდებელმა მკაფიოდ და ამომწურავად განსაზღვრა საფუძვლები და კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოსაყენებლად. ეს უცვლელია იმისთვის, რათა შეცდომისა თუ თვითნებობის შედეგად არ მოხდეს საკუთრების უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა. სამოქალაქო ურთიერთობების მრავალფეროვნება არ ათავისუფლებს კანონმდებელს ვალდებულებისაგან, აჭლურვოს დავის განმხილველი სასამართლო შეძლებისდაგვარად მკაფიოდ გაწერილი სამართლებრივი ნორმებითა და განჭვრეტადი კრიტერიუმებით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს, სწორად შეარჩიოს, ხოლო



მხარემ შუამდგომლობის საფუძველზე მოითხოვოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის და 198-ე მუხლის მე-3 ნაწილი სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის უდგენს მხოლოდ „აუცილებლობის“ ტესტით ხელმძღვანელობის ვალდებულებას. ერთადერთი ნორმა, რომელიც მოპასუხის ინტერესების დაცვას ემსახურება, არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსირების საკითხს.

ქონებაზე ყადაღის დადების ინსტიტუტი დარგთაშორისი მნიშვნელობის ინსტიტუტია, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი ეფექტიანად გამოყენება ხდება არამხოლოდ სამოქალაქო საპროცესო და სააღსრულებო კანონმდებლობებში, არამედ სისხლის სამართლის პროცესსა და საარბიტრაჟო წარმოებაშიც. იგი მაღალეფექტიან საშუალება, პრევენციული ხასიათის ღონისძიებაა და, შესაბამისად, მისი გამოყენება მართლმსაჯულების მიზნების მიღწევის ხელშემწყობი ინსტიტუტია.

## **ბიბლიოგრაფია**

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14.11.1997წ
2. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2015.
3. სუხიტაშვილი დ., ვადები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, საქართველოს მაცნე, 2019.
4. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბილისი, 2014.

5. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2005
6. თოდუა მ., ქურდაძე შ., ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, საია, 2005.
7. თოდუა მ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, (GIZ), 2020
8. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამომუშავებული და შესწორებული გამოცემა, თბილისი, სამართალი, 2007.
9. კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003.
10. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონი. მე-19 მუხლი.
11. სუხიტაშვილი დ., ვადები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, საქართველოს მაცნე, 2019.
12. გაგუა ი., ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2017, 113.
13. მ. ცქიტიშვილი, სარჩელის პრობლემა სამოქალაქო პროცესში, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბ., 2021 წ.
14. შ. ქურდაძე, საპროცესო მოქმედების შესრულების თავისებურება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2010 წ.
15. თ. შოთაძე, სანივთო სამართალი, გამომც. „მერიდიანი“, 2014 წელი.
16. ზ. ძლიერიშვილი, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, სამართლის ჟურნალი №1, 2018 წ.
17. კ. საყვარელიძე, მხარეთა უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება სამოქალაქო პროცესში, დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბ., 2021.

18. ნ. ხუნაშვილი, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2016.
19. შ. ქურდაძე, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველო კანონის კომენტარი, ნაწილი I, გამომცემლობა „დანი“, თბ., 2018 წ.
20. შ. ქურდაძე, გ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, სამოქალაქო სააღსრულებო სამართალი, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2017.
21. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, გამომც. „ჯისიაი“, თბ., 2008
22. საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ავტორთა კოლექტივი, 2013.
23. გ. თუთბერიძე, საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, კომენტარი, გამომც. „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, თბ., 2017.
24. მეფარიშვილის ქ. მოპასუხის ქონებრივი უფლებების შემზღვეველი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებანი, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(79), 97
25. მეფარიშვილის ქ., უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სამოქალაქო პროცესში, თბილისი, მათლმსაჯულება და კანონი, N2(78), 95.

#### **1. სასამართლო გადაწყვეტილებები:**

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-1215-2018, 29 მარტი, 2019.
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ა-2968-შ-77-2021, 24 ივნისი, 2021.
28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება, II-30.
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 17 მარტი, 233-ე პუნქტი.
30. №ას-1297-2019, 31 იანვარი, 2020

31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017, 232-ე პუნქტი.
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 2 მარტი, 2017, 232-ე პუნქტი.
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-1215-2018, 29 მარტი, 2019.
34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-992-2020, 29 სექტემბერი, 2021.
35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ა-1133-შ-29-2020, 6 ივლისი, 2020.
36. „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №40765/02.
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ა-65-შ-1-2021, 17 მარტი, 2021.
38. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის საქმე „შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება, საჩივრის ნომერი 28537/02. §42.
39. ახალაძე მ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ კომერციული იურიდიული პირების მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზი (2016-2018 წლები, 2019 წლის პირველი ნახევარი), საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2020, 228.
40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება 12 სექტემბერი, 2018, #ას-609-609-2018.
41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება 16.06.2017, #ას-302-285-2017.
42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 30 მარტი, 2018, #ას-833-779-2017.
43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება 31 ივლისი, 2018, #ას-91-91-2018.

44. სუს-ს გადაწყვეტილება, 26 მარტი, 2018, #ას-1071-991-2017. ასევე იხ. სუს-ს გადაწყვეტილებები: 12 სექტემბერი, 2018, #ას-609-609-2018, 16 ნოემბერი, 2018, #ას-955-2018.
45. 2009 წლის ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N123 (მიკალეფი მალტის წინააღმდეგ – 17056/06, გადაწყვეტილება 15.10.2009 [GC]).
46. თბილისის საქალაქო სასამართლოს 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/34416-22;
47. თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის განჩინება საქმეზე №2/183-20;
48. თბილისის საქალაქო სასამართლოს 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე №2/36434-22
49. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს 1997 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება HORNSBY v. GREECE (ნომერი 18357/91); აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე შპს „იზა“ და მაკრაზიძე საქართველოს წინააღმდეგ.
50. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე N2/1510263-16
51. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 11 თებერვლის განჩინება საქმეზე N2/24198-21
52. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/1434,1466
53. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60
54. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43
55. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 ივლისის განჩინება საქმეზე N 2/18822-19

56. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 აგვისტოს განჩინება საქმეზე N2/5883-19
57. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 12 მარტის განჩინება საქმეზე N 664-635-2016 და სხვა
58. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 დეკემბრის განჩინება საქმეზე N2/21710-21
59. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 18 აპრილის განჩინებაში საქმეზე N 33 0217723007110604.
60. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება N 102022497920/4.
61. თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება საქმეზე N2/28156-22.
62. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება №ას-69-63-2015
63. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 05 ნოემბრის განჩინება 2/15651-15
64. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მაისი გადაწყვეტილება №ას-442-418-2013
65. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის განჩინება, საქმე- 28/7207-14
66. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N1/4/184,228
67. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/5/675,681
68. თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 20 აგვისტოს განჩინება საქმეზე N 2/183-20
69. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ თავის 2021 წლის 20 ივლისის საქმეზე N28/1023-20

70. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 თებერვლის განჩინება საქმეზე: N 2/1596-13

71. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 12 თებერვლის განჩინება საქმეზე: N ას-1501-2019.

## 2. უცხოური ლიტერატურა:

70. Walter Zeiss, Klaus Schreiber, 2003, Zivilprozessrecht, 10. Auflage, Mohr Siebeck. Tübingen.

71. ბოელინგი ჰ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003.

72. Мясникова Наталия Константиновна, Виды исков в гражданском судопроизводстве, 1999.

73. Макаров Вадим Владимирович, Теория иска в гражданском процессуальном праве России и Германии, 2006.

74. ჰაგენლოხი უ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, (GIZ), 2020

75. Schlosser P. 1966. Gestaltungsfragen und Gestaltungsurteile, Bielefeld:Gieseking. S.

76. Civil Procedure in Austria. Walter H. Rechberger. Wolters Kluwer.

77. Litigation in the Netherlands, Civil procedure, Arbitration and Administrative Litigation. Wolters Kluwer. 6.1.4.1.

78. შმიტი შ., რიჰტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, (GIZ), 2013.

79. ჰ. ბოელინგი, ჰ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, სიესტა, 2004-2009.

80. Кулахметов Шамиль Баязитович, Особенности рассмотрения арбитражными судами дел о защите прав и законных интересов группы лиц, АВТОРЕФЕРАТ, 2011.

81. Журбин Бронислав Александрович, Процессуальные особенности рассмотрения судами дел по групповым и производным искам, 2013.
82. Morrissey D.J, New rulings Threaten the Derivative Suit – Will the „Needed Policeman ”Keep Walking the Beat, South Carolina Law Review. Vol.36,1985.
83. A Comparative Look at Protection of the Shareholders' Interest: Variations on the Derivative Suit.
84. The Revival of the Derivative Suit.
85. The Survival of the Derivative Suit: An Evaluation and a Proposal for Legislative Reform.
86. Burdov v. Russia, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; Hornsby v. Greece, judgment of 19 March 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II, p. 510, §40 Hornsby; Mutishev and Others v. Bulgaria, 18967/03, §129, 3 December 2009; Antonetto v. Italy, no. 15918/89, §28, 20 July 2000).
87. Васильева Татьяна Андреевна, Косвенный иск в цивилистическом процессе: сравнительно-правовое исследование, 2019.
88. Zivilprozessrecht, Professor Dr. Christian Gomille, Universität des Saarlandes, 2020/2021.
89. Zivilprozessrecht: Erkenntnisverfahren, Arwed Blomeyer, Springer-Verlag GmbH Berlin Heidelberg, 1963.
90. Zivilprozessrecht, Irmgard Gleußner, Müller Jur.Vlg.C.F., 2018.
91. BVerfG 2002 - 02 - 27, Der Anspruch auf effektiven Rechtsschutz nach der Art, 19 IV GG
92. გერმანიის კონსტიტუცია.
93. ჰაინრიხ შნიტგერი, გაუმართლებელი უზრუნველყოფის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, 2020 წელი
94. Baumgärtel G. Treu und Glauben, gute Sitten und Schikaneverbot im Erkenntnisverfahren, ZZP. 1956, გვ. 101; Konzen H. Rechtsverhältnisse zwischen Prozeßparteien, Duncker&Humblot, Berlin, 1976



95. Stichelbrock B. Inhalt und Grenzen richterlichen Ermessens im Zivilprozess, Köln, 2002
96. BGH Beschluss 9.07.2007, II 95/06, <https://openjur.de/u/77182.html>
97. Zeiss W. Schadensersatzpflichten aus prozessualen Verhalten, NJW, 1967
98. Schuschke / Walker / Kessen / Thole, Vollstreckung und Vorläufiger Rechtsschutz. Kommentar, Köln 7. Auflage, Carl Heymanns Verlag, 1999
99. OLG Karlsruhe//NJW-RR. 14.11.1997. 10 U 169/97, - <https://dejure.org/dienste/vernetzung/rechtsprechung?Gericht=OLG%20Karlsruhe&Datum=14.11.1997&Aktenzeichen=10%20U%20169%2F97>
100. Teplitzky O., Arrest und einstweilige Verfügung, JuS 1980/12.
101. Morbach B., Einstweiliger Rechtsschutz in Zivilsachen: eine rechtsvergleichende Untersuchung. Frankfurt am Main, 1988 - <https://www.booklooker.de/B%C3%BCcher/Bertram-Verfasser-Morbach+Einstweiliger-Rechtsschutz-in-Zivilsachen-Eine-rechtsvergleichende/id/A02o5xpL01ZZ7?zid=0k96oo3e9t0qonkol88g71scku>
102. Foerste U., Vollstreckungsvorsprung durch einstweiligen Rechtsschutz//ZZP
103. Zoeller R., Zivilprozessordnung Kommentar. Köln, 2002, §917, sdb. 9
104. Council of Europe, Monika Carss-Srisk, The Right to Propetry, A guide to the implemenatation of Article No 1 to the European Convention of Human Rights. Human Rights handbooks; N4, 2001
105. Zivilprozessordnung Deutschlands - <https://dejure.org/gesetze/ZPO>
106. <http://www.cbh.com/guide/benefits-of-appointing-a-receiver-in-disputes-over-closely-held-asset>
107. <http://law.justia.com/cases/federal/appellate-courts/F2/156/908/1547978>, <http://lega-dictionary.thefreedictionary.com/receiver>
108. Simon Miller, COURT-APPOINTED RECEIVERS IN JUDICIAL DISSOLUTIONS OF LIMITEDLIABILITY COMPANIES AND PARTNERSHIPS, [https://nysba.org/app/uploads/2020/02/Receiver\\_Report\\_2010.pdf](https://nysba.org/app/uploads/2020/02/Receiver_Report_2010.pdf)

109. <http://www.cbh.com/guide/benefits-of-appointing-a-receiver-in-disputes-over-closely-held-assets/>
110. [https://www.law.cornell.edu/wex/temporary\\_receivership](https://www.law.cornell.edu/wex/temporary_receivership)
111. <http://legal-dictionary.thefreedictionary.com/Receivership>
112. Levine v. Bess Eaton Donut co., 705 A.2d 980 (1998).
113. Crippin Printing Corp. v. Abel, 441 N.E.2d 1002, 1007 (Ind Ct. App. 1982)
114. Supreme Court of Rhode Island. Michael LEVINE, Trustee, v. BESS EATON DONUT FLOUR CO., INC. No. 96-322- Appeal. Decided: January 15, 1998.
115. Modern Telecommunications, Inc. v. Dalessandro, 185, A.D. 2d 218, 587 N.Y.S. 2d 315, 318-19 (1992), Pisey & Jones Co. v. Hanssen, 261 U.S. 491, 43 S. Ct. 454, 67 L. Ed. 763.
116. DB ZWIRN SPECIAL v. Tama Broadcasting, Inc., 550 F. Supp. 2d 481 (S.D.N.Y. 2008) District Court, S.D. New York, Citibank, N.A. v. Nyland (GF8) LTD.
117. Pusey & Jones Co. v. Harissen, 1923, 261 U.S. 491, 497, 43 S. Ct. 454, 456, 67 L. Ed. 763, 771
118. Wood v. Phillips, 823 So.2d 648 (Ala. 2001), Gray v. Council of Town of Newark, 79 A 739 (Del Ch. Ct. 1911)
119. Browning v. Blair, 169 Kan. 139, 218 P.2d 233 (1950)
120. S.C. Code § 15-65-10
121. Colo. R. Civ. Proc. 66(a).
122. <http://www.zeekrewardsreceivership.com/pdf/Order.pdf>
123. Hans Brox, Wolf-Dietrich Walker, L. Zwangs-vollstreckungsrecht, Carl Heymanns Verlag, 2008
124. Dalloz – Fiches d’orientation Janvier 2023 Séquestre - გამომცემლობა დალოზის ორიენტაციის კრებული, 2023 წლის იანვარი - სექსტორი - <https://www-dalloz-fr.ressources.univ-poitiers.fr/documentation/Document?id=DZ/OASIS/000985>
125. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 815-6-ე მუხლი - [https://www.legifrance.gouv.fr/codes/section\\_lc/LEGITEXT000006070721/LEGISCT](https://www.legifrance.gouv.fr/codes/section_lc/LEGITEXT000006070721/LEGISCT)

A000006136538?etatTexte=VIGUEUR&etatTexte=VIGUEUR\_DIFF&anchor=LEGISC  
TA000006136538#LEGISCTA000006136538

126. სერჟ ბრუდო (ვერსალის სააპელაციო სასამართლოს საპატიო მრჩეველი),  
კერძო სამართლის ენციკლოპედია - [www.dictionnaire-juridique.com](http://www.dictionnaire-juridique.com)

127. [http://nbe.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=344](http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=344)